ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

2021 წელი

ქ. ზუგდიდი

შესავალი

- **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები**

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. ადგილობრივი თვითმმართველობა კი არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

- **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა**

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

- **მერის ანგარიში შედგენილია**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე.

- **ანგარიშის სტრუქტურა**

მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ბიუჯეტი როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, მათი კომპეტენციებისა და უფლებამოსილებების განხორციელების მთავარი ფინანსური ბერკეტია. ის, როგორც თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური გეგმა, უზრუნველყოფს მისი პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად მუნიციპალიტეტის სოციალური, ჯანდაცვის, კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, ახალგაზრდული და ინფრასტრუქტურული პროექტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებას. სწორედ ეს აღნიშნული სფეროები, პროექტები და პროგრამები, როგორც პრიორიტეტული მიმართულებები, განსაზღვრავენ ბიუჯეტის ხარჯვით პოლიტიკასაც. შესაბამისად, მერის ანგარიშის სტრუქტურა მოიცავს:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტსა და პრიორიტეტის დოკუმენტს;
- მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებას;
- კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, ახალგაზრდული პროექტებისა და პროგრამების დაფინანსებას;
- ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებას.

➢ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი და პრიორიტეტის დოკუმენტი

- **საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური**

მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული საწყისი ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 40.4 მილიონი ლარით, შემდგომ პერიოდში წინა წლის ბიუჯეტიდან 2021 საფინანსო წელში გარდამავალი ნაშთების, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ადგილობრივ ბიუჯეტზე გადაცემული სახსრების, ფინანსთა სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტზე გამოყოფილი დროებითი ფინანსური დახმარების თანხების, აგრეთვე 2021 საფინანსო წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით, ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი წყაროს დღგ-ის წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 2265.0 ათასი ლარით ზრდის და სხვა ფაქტორების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანმა მოცულობამ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის შეადგინა 60999.9 ათასი ლარი, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტის მოცულობამ 48570.8 ათასი ლარი.

მიმდინარე წლის 9 თვეში ადგილობრივი ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები შეადგენს 39927.1 ათას ლარს, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 70.1 %-ია, ხოლო შემოსავლების მოცულობამ შეადგინა 39210.4 ათასი ლარი, რაც წლიური პროგნოზით გათვალისწინებული მაჩვენებლის 78.4 %-ია. აქედან გადასახადების გეგმა პროგნოზის შესრულების მაჩვენებელმა თანხობრივად შეადგინა 26046.1 ათასი ლარი, რაც წლიური მაჩვენებლის მიმართ 73.7%-ია; განვლილ 9 თვეში ბიუჯეტმა მიიღო გრანტები (მიზნობრივი გრანტები დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, სპეციალური ტრანსფერი, კაპიტალური ტრანსფერი) თანხობრივად 9332.5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმა-პროგნოზის 89.8 %-ია. „სხვა შემოსავლების“ გეგმა-პროგნოზის შესრულებამ შეადგინა 3831.8 ათასი ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 89.4 პროცენტი, ხოლო 9 თვის მაჩვენებლის 125.7 პროცენტია.

უნდა აღინიშნოს, რომ 9 თვეში ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელების მთლიანმა მოცულობამ თანხობრივად შეადგინა 38026.0 ათასი ლარი, რომელიც მიზნობრივად მიიმართა სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამების, პროექტების, მუნიციპალური სფეროების და დარგების დასაფინანსებლად.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით გადასახდელების მოცულობა შეადგენს 30116.0 ათას ლარს, აღნიშნული თანხიდან 7003.4 ათასი ლარი მიიმართა ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის დაფინანსებაზე.

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პროგრამას მოხმარდა 5202.4 ათასი ლარი, მათ შორის ქალაქ ზუგდიდისა და მუნიციპალიტეტის სოფლის ზონის 48 ადმინისტრაციული ერთეულის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის ღონისძიებებს 3826.8 ათასი ლარი.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებზე, როგორც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტის დაფინანსების კუთხით გაიხარჯა 2824.4 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნა სოციალური დანიშნულების 14 პროგრამის, ასევე სამედიცინო დახმარების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

განათლების სფეროს დაფინანსებისათვის გამოიყო 7622.0 ათასი ლარი, აქედან აღნიშნული სფეროს ასიგნებათა ძირითადი ნაწილი, კერძოდ 4690.9 ათასი ლარი მიიმართა სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებაზე.

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტის სფეროების საბიუჯეტო ასიგნებამ შეადგინა 2919.2 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობას,

საბიბლიოთეკო დარგის განვითარებას, სპორტული და ახალგაზრდული პროგრამების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის, კულტურული ღონისძიებების, რელიგიის ხელშეწყობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებას.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე საერთო დანიშნულების ხარჯებისათვის 9 თვეში გამოყოფილი იქნა ასიგნებანი 6493.5 ათასი ლარი.

მიმდინარე საფინანსო წლის განვლილ 9 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებიდან 7910.9 ათასი ლარი მიიმართა ინფრასტრუქტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობასა და რეაბილიტაციაზე.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე განვლილ პერიოდში სახელმწიფო და ადგოლობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელდა 101 მსხვილი, საშუალო და მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი, რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტში 2019 წლიდან დანერგილია „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფორმირების პრაქტიკა. ეს ფინანსური სეგმენტი წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის უშუალო შემადგენელ ნაწილს. მასთან დაკავშირებული სამუშაო პროცესის კოორდინაციის მიზნით მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 ივლისის N24 დადგენილებით დამტკიცებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობის წესი, რომელიც შექმნილია საქართველოს კონსტიტუციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად და განსაზღვრავს საკრებულოს სათათბირო ორგანოს „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს“ კომპეტენციას.

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში 2021 წელს გათვალისწინებულია 1660.0 ათასი ლარი, რომელიც უნდა მოხმარდეს მიმდინარე წლის 22 და წინა წლიდან გადმოსული 8, სულ 30 საპროექტო ინიციატივის განხორციელებას. აქედან 16 პროექტი უკვე განხორციელებულია, 4 პროექტზე მიმდინარეობს პრაქტიკული სამუშაოები, უახლოეს პერიოდში დაიწყება კიდევ რამდენიმე პროექტის განხორციელება, რომელიც წლის ბოლოსთვის დასრულდება, მაგრამ კორონავირუსის პანდემიის მიზეზით გამოწვეული შეფერხებების გამო მიმდინარე წელს დაგეგმილი პროექტების გარკვეული ნაწილი სავარაუდოდ გადავა 2022 საფინანსო წელში, რომლებიც წინასწარი მონაცემებით დასრულდება პირველ კვარტალში.

უნდა ითქვას, რომ მომავალი წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესიც, დადებითი ტენდენციით ხასიათდება. უკვე მიღებულია 31 საპროექტო ინიციატივა, რომელთა უდიდესი ნაწილი ასახული იქნება მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში და ამ დანიშნულებით გამოყოფილი იქნება არანაკლებ 1,0 მილიონი ლარი. საპროექტო ინიციატივების უმრავლესობა შეეხება საშუალო და მცირე, მაგრამ მოსახლეობისათვის აქტუალური ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას როგორიცაა: მინი სპორტული მოედნების, სკვერების, ეზოების, ბავშვთა სპორტული და სატრენაჟორო-სავარჯიშო მოედნების, სანიაღვრე არხების მოწყობა, ქუჩების გამწვანება და სხვა.

ზემოთ აღნიშნული დადებითი ტენდენციების მიუხედავად უნდა ითქვას, რომ მუნიციპალიტეტის სოციალურ-კულტურული და ინფრასტრუქტურული განვითარების თვალსაზრისით არსებული საჭიროებების დაკმაყოფილება მოითხოვს მეტ ფინანსურ რესურსებს, ვიდრე ბიუჯეტს დღეს ამის შესაძლებლობები გააჩნია.აქვე გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ მმართველობის დეცენტრალიზაციის სახელმწიფო პროგრამის ეტაპობრივი განხორციელების შედეგად მუნიციპალიტეტს შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის კვალობაზე, ახლო პრესპექტივაში ექნება საკმაოდ მყარი ფინანსური ბაზა, რითაც შესაძლებელი

იქნება უფრო სრულად და მეტი მოცულობით დაფინანსდეს თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-კულტურული მშენებლობის და ინფრასტრუქტურული განვითარების რეალური საჭიროებები.

სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მონაცემები და სტატისტიკური მაჩვენებლები:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებზე დადებულმა ხელშეკრულებების ჯამურმა თანხამ 23646.4 ათასი ლარი შეადგინა. აქედან, ელქტრონულად განხორციელებული შესყიდვებით ხელშეკრულებები დაიდო 21424.1 ათას ლარზე, ხოლო გამარტივებული შესყიდვებით 1140,7 ათასი ლარის ოდენობის თანხაზე. ამასთან, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა 568.6 ათასი ლარის შესყიდვა. სულ მომზადდა 224 ხელშეკრულების პროექტი, რომლებიც მუნიციპალიტეტის მერიამ სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად გააფორმა მიმწოდებლებთან. აქედან, 40 ხელშეკრულება დაიდო საქონლის შესყიდვაზე, სხვადასხვა სახის მომსახურებაზე - 52, სამშენებლო სამუშაოებზე - 115, ხოლო საპროექტო მომსახურებაზე - 17 ხელშეკრულება.

საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული ტენდერების რაოდენობამ შეადგინა: 211, რომლის ჯამური სავარაუდო ღირებულებაა 24367,2 ათასი ლარი. შედეგად გაფორმდა 21929,7 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების ღირებულების კუთხით - 120,9 ათასი ლარი იქნა დახარჯული საქონლის, 384,6 ათასი ლარი სხვადასხვა სახის მომსახურების შესყიდვაზე. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს - 88,3 ათას ლარს, ხოლო სამშენებლო სამუშაოების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულების ჯამი შეადგენს 21335,7 ათას ლარს.

გამარტივებული შესყიდვით დაიდო 79 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 1128,1 ათასი ლარი, საიდანაც საქონლის შესყიდვაზე დაიდო 11 ხელშეკრულება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 16.9 ათასი ლარი, ხოლო მომსახურების შესყიდვაზე დაიდო 27 ხელშეკრულება, ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 449.9 ათასი ლარი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე დაიდო 2 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით - 32.5 ათასი ლარი, ხოლო სამშენებლო სამუშაოებზე დაიდო 43 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით - 661.2 ათასი ლარი. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მომზადდა 18 ხელშეკრულების პროექტი და განხორციელდა 568.6 ათასი ლარის შესყიდვა.

➢ მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსება

• სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

•

საანგარიშო პერიოდში სამსახურს დაემატა ახალი ფუნქცია-მოვალეობები, რამაც ხელი შეუწყო ახალი პროგრამებისა და აქტივობების ინიცირებას. კერძოდ, სოციალურ განყოფილებას დაემატა გენდერული თანასწორობის მიმართულება, მოხდა ბავშთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ფორმირება, დაგვემატა სოციალური მუშაკის ფუნქცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2021 წელს სამსახურმა პროგრამებში დანერგა გარკვეული სიახლეები და განახორციელა რამდენიმე პროგრამის ცვლილება:

- შშმ პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება ჩანაცვლდა კომუნალური ხარჯების თანადაფინანსებით (4 თვის განმავლობაში 25-25 ლარი);
- ამოქმედდება უკიდურესად შეჭირვებული ოჯახების (სარეიტინგო ქულა 35 000-მდე) გაზიფიკაციის პროგრამა;
- შეშის შესაძენად ერთჯერადი დახმარების თანხა ჩანაცვლდა კომუნალური ხარჯების თანადაფინანსებით (4 თვის განმავლობაში 25-25 ლარი);
- აბილიტაციის პროგრამაში ჩართული ბენეფიცირების რაოდენობის ლიმიტი გაიზარდა 70-მდე;
- ძვირადღირებული თერაპიის საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარადჭერის ქვეპროგრამამ გადაინაცვლა სოციალურიდან ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაში;
- ჯანსაღი ცხოვრების წესისა და კიბოს ადრეული გამოვლენის მნიშვნელობაზე საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები
- მოწყვლადი ჯგუფებისა და უფასო სასადილოს ბენეფიციარებისთვის განხორციელდა მუნიციპალური ტრანსპორთით შეღავათიანი მგზავრობის პროგრამა;
- თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს, რომლებიც სერვისის მისაღებად გადაადგილდებიან სხვა მუნიციპალიტეტებში, ყოველთვიურად ჩაერიცხათ 200 ლარი;
- გენდერული თანასწორობის საკითხებზე განსახორციელებელი აქტივობებისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა თანხა საინფორმაციო კამპანიისთვის 5000 ლარის ოდენობით.
- ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ მოახდინა თემატური მუნიციპალური პროგრამების ინიცირება და განხორციელება;
- ჩატარდა დაინტერესებული მხარეების ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრა არსებული პროგრამების დახვეწის მიზნით;
- COVID-19 ის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში, მოწყვლადი ჯგუფების სოციალური მხარდაჭერის მიზნით, სამსახური აქტიურად იყო ჩართული ზემოხსენებული პოპულაციის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის აქტივობაში.
- ქალთა საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების უწყებათაშორისი კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან დაინტერესებული მხარეები სხვადასხვა უწყებებიდან
- მომზადდა გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული მუშაობის ანგარიში.

შეუფერხებლად განხორციელდა სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული მუნიციპალური პროგრამები.

- **სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება**
-

საანგარიშო პეირიოდში სოციალური პროგრამებით ისარგებლა 5 319 ბენეფიციარმა, რაზეც გაიხარჯა 1 872 000 (ერთი მილიონ რვაასსამოცდათორმეტი ათასი) ლარი, რომელიც პროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა: -ამ პერიოდში 280 ბენეფიციარი უზრუნველყოფილ იქნა ცხელი სადილით ყოველდღიურად, უფასო სასადილო

ქალაქში-სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული პირები, მარტოხელა, უმუშევარი პენსიონერები, შშმ პირები და სხვა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოფელში მცხოვრები განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობების მქონე 413 ოჯახმა (შშმ პირები, მარტო მცხოვრები მოხუცები და ა.შ) მიიღო საკვები პროდუქტების პაკეტები ერთჯერადად რისთვისაც გაიხარჯა 193 000 (ასოთხმოცდაცამეტი ათასი) ლარი.

- **ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 24 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 40 000 (ორმოცი ათასი) ლარი, კერძოდ:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანთა კავშირისთვის ყოველთვიური სუბსიდია -1 806 (ერთი ათას რვაასექვსი) ლარი და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების პენსიაზე დანამატი 200 (ორასი) ლარი, ომის მონაწილის გარდაცვალებისას სარიტუალო ხარჯებისთვის 300(სამასი) ლარი.
- **ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 359 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 87 000 (ოთხმოცდაშვიდი ათასი) ლარი,** კერძოდ **:** მრავალშვილიანი ოჯახებისათვის- 18 წლამდე ასაკის 4 ბავშვზე – 200 ლარი; 5 ბავშვზე – 300 ლარი და ა.შ; პირველი–მეორე შვილის შეძენისას სოციალურად დაუცველ ოჯახებზე (სარეიტინგო ქულა 65001–ზე ნაკლები) – 200 ლარი; ტყუპის შეძენისას – 500 ლარი ; დედ–მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ყოველთვიური დახმარება 50 ლარის ოდენობით; მარტოხელა მშობლის ყოველთვიური დახმარება - 50 ლარის ოდენობით; ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100-800 ლარამდე ოდენობით.
- **შეზღუდული შესაძლებლობის და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სოციალური დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამა: ისარგებლა 826 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 206 000 (ორას ექვსი ათასი) ლარი, კერძოდ:** 18 წლამდე ასაკის შშმ და მძიმე ქრონიკული ავადმყოფობის მქონე ბავშვების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარი, სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსება შშმ მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე პირებისათვის 150 ლარი, შშმ პირთა მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 65001-ზე ნაკლები) პირთათვის თანადაფინანსება - 300 (სამასი) ლარი. სმენა და მხედველობადაქვეითებული, მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირებს კომუნალური გადასახედების თანადაფინანსებისთვის ფულადი დახმარება 25-25 ლარი 4 თვის მანძილზე. შშმ პირებს (მწოლიარე ან ეტლით მოსარგებლე), სოციალურად დაუცველ ოჯახებს (სარეიტინგო ქულა 65001-ზე ნაკლები), მოვლის საჭიროების მქონე პირთა დაფინანსება ყოველთვიურად 100 (ასი) ლარი.
- **მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 248 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.** მარჩენალდაკარგულ ოჯახებს, გაეწიათ ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულს 200 ლარის ოდენობით.
- **ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა: ისარგებლა 168 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 100 წელს გადაცილებულ პირთა ერთჯერადი 500 - ლარიანი დახმარება, სოციალურად დაუცველ (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) ადგილობრივ გარდაცვლილ ბენეფიციართა ოჯახისთვის - ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარი. მარტოხელა და მარტომცხოვრებ ხანდაზმულებს მიეწოდათ შინმოვლის სერვისი.

- **სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა: გახარჯულია 71 000 (სამოცდათერთმეტი ათასი) ლარი** - მე–2 მსოფლიო ომის მონაწილეების (ადგილობრივი და დევნილი), დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანი ოჯახების, 100 წელს გადაცილებული პირების, მზრუნველობამოკლებულთა სასადილოს და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებისთვის, განსაკუთრებით შეჭირვებული ოჯახების მხარდაჭერა (შობა – ახალი წელი და აღდგომა) საკვები პროდუქტებით. შშმ პირთა და ხანდაზმულთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა
- **ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა: ისარგებლა 345 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 77 000 (სამოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარი. კერძოდ:** ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების და პერიტონეალური დიალიზის პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხარჯების თანადაფინანსება: თითოეულს თვეში 50 - 100 ლარი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პერიტონიალური დიალიზის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისთვის, რომლებიც სერვისის მისაღებად გადაადგილებიან სხვა მუნიციპალიტეტის სამედიცინო ცენტრებში - ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება თვეში თითოეულს - 200 (ორასი) ლარი; სოციალურად დაუცველი სტუდენტების (სარეიტინგო ქულით 65001-ზე ნაკლები), მგზავრობის ხარჯების თანადაფინანსება წელიწადში ერთხელ 100 (ასი) ლარი; სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწირო პროგრამა - დღის ცენტრების ქვეპროგრამაში ჩართული შშმ ბავშვების თანმხლებ პირთა ტრანსპორტირების თანადაფინანსება.
- **სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა: ისარგებლა 277 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 181 000 (ასოთხომცაერთი ათასი) ლარი, კერძოდ:** ხანძრის შედეგად დაზარალებული უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება (3000 ლარამდე). დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება (3000 ლარამდე). მეწყერის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე - 500 ლარი. უსახლკაროდ დარჩენილი, ყველაზე მძიმე ეკონომიურ პირობებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების (სარეიტინგო ქულა 65001-მდე), ბინის ქირით უზრუნველყოფა- თითოეულ ოჯახზე 100 ლარი ყოველთვიურად.
- **დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა: ისარგებლა 393 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 39 000 (ოცდაცხრამეტი ათასი) ლარი,** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე დევნილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება 100 (ასი) ლარი წელიწადში ერთხელ.
- **სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფის და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მატერიალური და ფინანსური დახმარების პროგრამით ისარგებლა 1 534 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 283 000 (ორას ოთხმოცდასამი ათასი) ლარი,** კერძოდ: სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის (სარეიტინგო ქულა 35001-ზე ნაკლები) კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება 25-25 ლარით ოთხი თვის განმავლობაში; ბუნებრივი აირის შეყვანა ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 35000; განსაკუთრებით მძიმე სოციალური პირობების მქონე ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა წელიწადში ერთხელ 100-500 (ასი-ხუთასი) ლარის ფარგლებში.
- **სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების**

თანადაფინანსების პროგრამა: პროგრამა მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას პროექტებში,ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობას. წარმოდგენილი პროექტების შერჩევა ხდება მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ დებულების შესაბამისად (თითო პროექტზე არაუმეტეს 5000 ლარისა) საანგარიშო პერიოდში **6** პროექტის თანადაფინანსებისთვის გაიხარჯა 17 000 (ჩვიდმეტი ათასი) ლარი. მათ შორის გენდერულ ჭრილში დაფინანსდა:

- **„ბედნიერების ფონდი“** - "აივ პოზიტიური ბავშვებისა და მშობლების მხარდაჭერა და გაძლიერება" (5 000 ლარი). პროექტით მოსარგებლეთა რაოდენობა - 7;
- ასოციაცია **„მერკური“** - ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში(5000 ლარი). მიმდინარე წელს ისარგებლა 27-მა ბენეფიციარმა.

- **პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“** -საცხოვრისში ჩასახლებული 14 ოჯახისთვის კომუნალური ხარჯების ასანაზღაურებლად გაიხარჯა 3 000 (სამი ათასი) ლარი (იანვარი, თებერვალი, მარტის თვეებში თითოეულს 25 ლარის ოდენობით). საცხოვრისში ჩასახლებული სოციალურად დაუცველი უსახლკარო ოჯახების, კომუნალური გადასახადების თანადაფინანსება 25-25 ლარის ოდენობით ოთხი თვის განმავლობაში. ასევე საცხოვრისის ბაზაზე ხანდაზმულთა დღის ცენტრის ფუნქციონირების ფინანსური მხარდაჭერა.
- **უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა:** გაიხარჯა 606 000 (ექვსას ექვსი ათასი) ლარი - 2021 წლის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და ერთი თბილი ოთახის მოწყობაზე. კერძოდ: სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა, მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირებისათვის ერთი თბილი ოთახის მოწყობა (7 000 ლარის ფარგლებში)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტიის მერიასთან აქტიური თანამშრომლობით ქალთა გაძლიერების საკითხებში სამოქალაქო სექტორის მიერ გადამზადდა:

- ფერმერ ქალთა ასოციაციის მიერ გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები 23 მოხალისე ქალი;
- ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები 28 მოხალისე ქალი;
- გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები - 13 ქალი.

ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პრიორიტეტია:

- ქალთა საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების უწყებათაშორისი კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ აღნიშნულ საკითხებზე.
- 2015 წლიდან ხორციელდება სოციალური დაცვის პროგრამა - ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდასაჭერად, რომელიც ითვალისწინებს ძალადობის მსხვერპლთა ფულად დახმარებას 800 ლარამდე.
- მუნიციპალიტეტში ორი წელია ფუნქციონირებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრი, რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის და ქალთა საკონსულტაციო ცენტრი

„სახლის“ ერთობლივი პროექტია. 2020 წელს აღნიშნული კრიზისული ცენტრის სოციალური, ფსიქოლოგიური და იურიდიული მომსახურებით 67-მა ძალადობის მსხვერპლმა ისარგებლა. აქედან, 28 ბენეფიციარმა (22 ქალი, 6 ბავშვი) გაიარა რამოდენიმე კვირიანი რეაბილიტაცია, ხოლო, 37 ბენეფიციარს გაეწია ინდივიდუალური კონსულტაციები ძალადობის მსხვერპლზე მორგებული სერვისების მისაღებად.

- 2020 წელს ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრის სერვისით ისარგებლა - 28 (22 ქალი 6 ბავშვი) ბენეფიციარმა, ინდივიდუალური კონსულტაცია მიიღო 39-მა ბენეფიციარმა. ჯამში - მომსახურება გაეწია 67 ბენეფიციარს.
- 2021 წელს - ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრის სერვისით ისარგებლა - 8(1 ბავშვი) ბენეფიციარმა, ინდივიდუალური კონსულტაცია მიიღო 5-მა ბენეფიციარმა. ჯამში მომსახურება გაეწია 13 ბენეფიციარს.

- 2020 წლის ბოლოს სოციალური და გენდერული თანასწორობის განყოფილების მიერ პირველად შეჯამდა გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა. სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების მიერ მომზადდა 2020 წლისა და 2021 წლის 6 თვეში გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული მუშაობის ანგარიში.

- **ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება**

საანგარიშო პერიოდში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით ისარგებლა 4588 მოქალაქემ, რომელთაც საერთო ჯამში დაუფინანსდათ 2 067 000.00 (ორი მილიონ სამოცდაშვიდი ათასი) ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება.

დაფინანსებული მომსახურებები ქვეპროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად :

- **ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია) თანადაფინანსება გაეწია** 742 მოქალაქეს (328 000.00 (სამასოცდარვა ათასი) ლარი)
- **სტაციონარული სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) თანადაფინანსება/ დაფინანსება** - 419 მოქალაქეს (530 000.00 (ხუთასოცდაათი ათასი) ლარი)
- **აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში** ჩართულია 70 ბავშვი (287 000.00(ორასოთხმოცდაშვითი ათასი) ლარი)
- **სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე 0-18 წლამდე** 197 ბავშვს გაეწია სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსება (190 000.00 (ასოთხმოცდაათი ათასი)ლარი)
- **იშვიათი დაავადებების (ცელიაკია /ფენილკეტონურია/მუკოვისციდოზი) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების შესაძენი თანხით უზრონველყოფის ქვეპროგრამით** ისარგებლა 11 მოქალაქემ (თითოეულზე ყოველთვიურად: მუკოვისციდოზი-500 ლარი; ფენილკეტონურიია-500 ლარი; ცელიაკია -250 ლარი)- ჯამში ქვეპროგრამაზე გაიხარჯა 44 000.00 (ორმოცდაოთხი ათასი) ლარი.
- **ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსება** - 1 857 მოქალაქე (555 000.00 (ხუთასორმოცდათხუთმეტი ათსი) ლარი) .

- **პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის საშუალებების და სხვა შესაძენი თანხით უზრუნველყოფა** (ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარი) ისარგებლა 3 მოქალაქემ (7 000.00 (შვიდი ათასი) ლარი).
- **კოხლეარული იმპლანტის მქონე ან მაღალი ხარისხის (III-IV) სმენადაქვეითებული ნაოპერაციევი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვების სასმენი აპარატის/პროცესორის ღირებულების თანადაფინანსება -** თითოეულ ბავშვზე მაქსიმალური ლიმიტი 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი წელიწადში ერთხელ. ისარგებლა 2 ბავშვმა (30 000.00 (ოცდაათი ათასი) ლარი).
- **ძვირადღირებული თერაპიის საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამა**-ისარგებლა 314 მოქალაქემ (თითოეულს ერთჯერადად 200 (ორასი) ლარი) - 63 000.00 (სამოცდასამი ათასი) ლარი.
- **ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამაში ჩაერთო** 973 მოქალაქე (33 000 (ოცდაცამეტი ათასი) ლარი)

  განყოფილება აქტიურად მუშაობს არსებული პროგრამების დახვეწასა და ჯანმრთელობის კუთხით გამოწვევების ინიცირებაზე. მოქმედი პროგრამების ანალიტიკური შეფასების მიზნით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ადგილობრივ ნევროლოგებთან ფოკუს- ჯგუფის ფორმატში. მოხდა ინფორმაციის გაცვლა, გამოვლინდა ნევროლოგური სტატუსის პაციენტთა საჭიროებები,დაისახა სამომავლო პარტნიორობის სტრატეგია.

- **ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება**
-

განყოფილებამ ფუნქციონირება დაიწყო 2020 წლის 1 სექტემბრიდან. 2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ამ მიმართულების მუნიციპალური პროგრამები. მულტიდისციპლინარული ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტები სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ოჯახებში. მიმდინარე ქეისების რაოდენობა შეადგენს 19 (ცხრამეტი). საანგარიშო პერიოდში დაფინანსება გადანაწილდა შემდეგნაირად:

სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა: ისარგებლა - 22 ბენეფიციარმა (7 ოჯახი). ჯამში გახარჯულია 1 690 (ერთი ათას ექვსას ოთხმოცდაათი ლარი)

ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამა: დაუნის სინდრომთან დაკავშირებით „წინდა მინდა“-ს კამპანიის ფარგლებში შეძენილ იქნა წინდები 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის, ასევე საინფორმაციო კამპანიისათვის დაიბეჭდა შესაბამისი ინფორმაციის მატარებელი ბუკლეტები - 380 (სამას ოთხმოცი) ლარი. ჯამში გახარჯულია 880 (რვას ოთხმოცი ლარი) ლარი.

სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი წრეების დაფინანსების ქვეპროგრამა: ისარგებლა სულ - 8 ბენეფიციარმა (8 ოჯახი). ჯამურად გახარჯულია 5 470 (ხუთი ათას ოთხას სამოცდაათი ლარი).

გარდა ამისა, განყოფილება აქტიურად არის ჩართული მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების პროცესში. ამ მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში ჩატარდა შეხვედრები მოსწავლეებთან. ამ ეტაპისთვის მოცულია 9 სკოლა, 300-მდე ბავშვს მიეწოდა ინფორმაცია განყოფილების საქმიანობაზე, ბავშვის უფლებებზე, გენდერულ თანასწორობაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესებზე, აგრეთვე, ძალადობის ფორმებზე, სოციალური მუშაკის როლზე და ფსიქოლოგიური დახმარების სერვისებზე. შეხვედრები კვლავაც გაგრძელდება. განყოფილება ინტენსიურად მუშაობს ოჯახების გაძლიერების საკითხებზე.

- **კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, ახალგაზრდული პროექტებისა და პროგრამების დაფინანსება**

- **განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური**

განათლების განყოფილება

განათლების განყოფილების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, ნიჭიერი ახლაგაზრდების და საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე 2021 წლის ბიუჯეტით გამოიყო:

საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამით ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით გამოყოფილი თანხები მიიმართა სკოლების საშუალო და მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად (კოდი 0404) გამოყოფილი იყო **-250 000** ლარი.

2020 წლის გარდამავალი თანხა არის -**12 786 44 ლარი.** სულ ბიუჯეტი **262 786 44 ლარი.** ბიუჯეტი შემცირდა ორჯერ: **1.12 300 ლარით და 2. 13 000 ლარით.**

20 000 ლარი გადატანილ იქნა 0404 მუხლიდან 0405 მუხლში. სულ ბიუჯეტი გახდა 217 486 44 ლარი.

2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა **27** (ოცდაშვიდი) სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის ღირებულებამ შეადგინა **203314.26** (ორასსამი ათასსამასთოთხმეტი ლარი და 26 თეთრი) ლარი.

საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 0404): შემეცნებითი და საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული თანხები: წიგნების შესყიდვა 2850 ლარი; ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა(სიგელი, მისალოცი,მოსაწვევი,სასაჩუქრე ჩანთა) 204,6 ლარი; ყვავილები 100 ლარი.

ჯამი: 3154,60 ლარი. ბიუჯეტიდან თავისუფალი თანხა შეადგენს 11 017,58 ლარს

2021 წელს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად პროგრამის განსახორციელებლად შპს ,,მაიჯიპიეს“-თან 18 იანვარს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N3, რომლის ფარგლებში იანვარში შესრულებული მომსახურებისთვის გადაირიცხა 48 078.33 (ორმოცდარვაათასსამოცდათვრამეტი ლარი და 33 თეთრი) ლარი.

2021 წლის 18 თებერვალს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N26 ხელშეკრულება, რომლის სახელშეკრულებლო თანხა შეადგენდა 537 080,77 (ხუთასოცდაჩვიდმეტი ათას ოთხმოცი ლარი და 77 თეთრი) ლარს.

Covid-19 პანდემიის გამო მთავრობის გადაწყვეტილებით გამოცხადებული უქმე დღეებისა და ზოგიერთი საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში გადასვლის გამო 2021 წლის 27 მაისის N91/26 შეთანხმებით სახელშეკრულებლო თანხა შემცირდა და შეადგინა 502 842,28 (ხუთასორიათას რვაორმოცდორი ლარი და 28 თეთრი) ლარი.

2021 წლის იანვრიდან 2021 წლის სასწავლო წლის დასრულებამდე (15 ივნისი) შესრულებული ტრანსპორტირების მომსახურებისთვის გაიხარჯა 542671,58 (ხუთასორმოცდაორიათას ექვსასსამოცდათერთმეტი ლარი და 58 თეთრი) ლარი.

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის (კოდი 0405) ფარგლებში **48** სტუდენტს დანიშნული ჰქონდა მერის სტიპენდია. **გაიხარჯა: 96 000 ლარი.**

აღნიშნულ პერიოდში უცხოეთში გზავრობის ხარჯი და სწავლა დაუფინანსდა **24 ახალგაზრდას. სულ გადარიცხულია: 144 020,76 ლარი.**

საჯარო სკოლების 106 (ასექვსი) წარჩინებული კურსდამთავრებულების (მედალოსნების) დაჯილდოება - **10 580 ლარი. (წიგნი, სიგელი და თაიგული)**

სულ მუხლიდან გაიხარჯა: 154 600 76 ლარი.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა
კოდი 05 02 02

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თანხმობისა და აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ჭაქვინჯის ციხის არქეოლოგიური კვლევა-ძიება. 2019 წლიდან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებითა და მხარდაჭერით განახლდა ჭაქვინჯის ციხის არქეოლოგიური კვლევა.

წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ციხის შესასწავლად მნიშვნელოვანი ახალი გარემოებები და სეგმენტები გამოიკვეთა:

ა). დაფიქსირდა განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ახალი ნაგებობების ნაშთები და მათთან დაკავშირებული კულტურული ფენები;

ბ). ეკლესიის მიმდებარედ გამოვლინდა 6 სამარხი, დასავლეთ-აღმოსავლეთ ორიენტაციის და შესაბამისად დიდი ალბათობით ქრისტიანული. მათ შორის ორი ბავშვს ეკუთვნოდა, ერთი - ქალს, დანარჩენი სამი მამაკაცს. სამარხების ჩაჭრილი ჰქონდათ ადრეანტიკური ხანის ფენა და ბუნებრივი კონგლომერატი;

გ). თხრილის აღმოსავლეთ კიდესთან დაფიქსირდა კიდევ ერთი სამარხის ნაშთი. მიცვალებული საბვარაუდოდ სამხრეთჩრდილოეთ ორიენტაციით იყო დაკძალული. მას სამარხში ჩატანებული ჰქონია სამაჯური, მძივები, წრიული და მშვილდ-საკინძი. ასევე, შესაძლოა მინის ჭურჭელი და თიხის ფირფიტა;

დ). თხრილის აღმოსავლეთ კიდეზე დაფიქსირდა ოთხი სამეურნეო ორმო. მათგან ერთში, ქვევრი იყო ჩასმული;

ე). თხრილის მთელ ფართობზე დაფიქსირდა ზღვიური კონგლომერატის ბუნებრივი ფენა, რომელზეც ციხის ციტადელი აუშენებიათ. დადგინდა კონგლომერატის ფენის გავრცელების არეალი და სიღრმეები;

ვ). თხრილში გამოვლინდა ადრეანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების კერამიკული ჭურჭლის მრავალფეროვანი ფრაგმენტები (სურ. 21-41) აღმოჩნდა. მათი კამერალური დამუშავება და დეტალური ანალიზი სრულყოფილ ინფორმაციას მოგვცემს თხრილში გამოვლენილი ფენების ქრონოლოგიის შესახებ.

თხრილში გამოვლენილი თითოეული სეგმენტი აღიწერა და აღინუსხა სპეციალურ საველე ბლანკებში. თითოეული ფენა, ნაგებობა და სამარხი აიზომა, ჩაიხაზა (სურ. 52-57), მოხდა მათი დეტალური ფოტოგრაფირება, მათ შორის აეროფოტო გადაღებებიც, რის საფუძველზეც მომზადდა თხრილის ორთოფოტოები და სამგანზომილებაინი მოდელები (სურ. 50-51).

სეზონის დასასრულს, მოხდა თხრილის რეკულტივაცია, მის ცენტრალურ და სამხრეთ მონაკვეთებში 2019-2021 წლებში გამოვლენილი ნაგებობები დაკონსერვდა პოლიეთილენის საფარით და დაიფარა მიწის სქელი ფენით (სურ. 58-59).

2. ევროკაშირის მიერ გამოცხადებულ ,,EU4Culture" საკონკურსო პროექტში, რომელიც ითვალისწინებს აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორ ქვეყნებში კულტურის სტრატეგიის შემუშავებას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა წარმატებით დაძლია პირველი ეტაპი, მოიპოვა 1000 ევროს გრანტი და მეორე ეტაპისთვის მომზადდა სრული განაცხადი.
3. ევროკავშირის მიერ ინიცირებული მერების პროექტების ფარგლებში საგრანტო კონკურსში წარდგენილ იქნა საპროექტო წინადადება : ჭაქვინჯის ციხის ისტორიულ-კულტურულ ასპექტში ტურისტული ინდუსტრიის მოწყობის შესახებ.
4. ამჟამად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №161 02.09.2021 წ. საფუძველზე მიმდინარეობს 1924 წლის აჯანყების მსხვერპლთა მემორიალის დამცავი ზონების კეთილმოწყობა, რომელიც ითვალისწინებს ძეგლის დამცავი ზონის - მისასვლელი ბილიკების, მინათების, დესკრიფციული აბრისა და გამწვანების სამუშაოების უზრუნველყოფას, პროექტის ღირებულებაა 7171 (შვიდი ათას ასსამოცდათერთმეტი) ლარი.
5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გაიგზავნა საპროექტო წინადადება ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის მთავარ შესასვლელ ჭიშკართან ისტორიული სამართლის ძეგლის ,,ქვატახტის" მოწყობის დაკავშირებით, სახელოვნებო-საექპერტო საბჭოს მიერ შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის შესახებ (პროექტის ღირებულებაა 30436.38 (ოცდაათი ათას ოთხასოცდათექვსმეტი ლარი და ოცდათვრამეტი თეთრი) ლარი.
6. ჩვენს მიერ ორჯერ მომზადებულ იქნა სატენდერო განაცხადი , ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, რომელიც ითვალისწინებდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, კერძოდ ქ. ზუგდიდში არსებული მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლების (ძვ. წელთაღრიცხვის გვიან ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის პერიოდის მხედარი ქალის ქანდაკება, მერაბ კოსტავას ბიუსტი და სხვ) დამცავი ზონების კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვას. აღნიშნული წინადადება ორჯერვე ჩაიშლა შემსყიდველების მიერ მონაწილეობის მიღების გარეშე.

- **კულტურის განყოფილება**

2021 წელს კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისთვის მიმართული იყო 120 000 ლარი. მთელი წლის განმავლობაში აღნიშნული თანხა გაიხარჯა შემდეგი სახის ღონისძიებებზე:

- **დედის და ქალთა დღე ,,მარტის თვეა შენი ..."** ამ დღესთან დაკავშირებით ზუგდიდის ქუჩებში შემხვედრი ქალბატონებისთვის 3 მარტს სასაჩუქრედ 35 ცალი მინდვრის ყვავილების პატარა თაიგულის შეძენა , ასევე ამ პროექტის ფარგლებში სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარი ქალბატონებისთვის სასაჩუქრედ 8 მარტს 10 ცალი სასაჩუქრე ყუთი/კალათის შეძენა **(ბიუჯეტი: 600 ლარი).**
- **31 მარტი-პირველი ქართული რეფერენდუმისა და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე -** საქართველოს პირველი ქართული რეფერენდუმისა და დამოუკიდებლობის აღდგენის 30

წლისთავთან დავშირებით, მცირე მხატვრული პროგრამა და ბიუსტების შესამკობად გვირგვინების შეძენა **(ბიუჯეტი:360 ლარი)**

- **საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და 9 აპრილის ტრაგედიის დღე** - 9აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით,დაღუპულთა მემორიალის შესამკობად ყვავილების გვირგვინის შეძენა **(ბიუჯეტი:175 ლარი)**
- **საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი.** საქართველოს დამოუკიდებლობის დღესათან დაკავშირებით , საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ძეგლების შესამკობად 2 ცალი ყვავილების გვირგვინის შეძენა **(ბიუჯეტი: 240 ლარი).**
- **„სუფთა რეგიონი“** - გარემოს დაცვის მსოფლიო დღესათან დაკავშირებით, კონკურსში „სუფთა რეგიონი 2020“ ნომინაციაში გამარჯვებულთა გადასაცემად , გვირგვინების შეძენა - **(ბიუჯეტი: 270 ლარი).**
- **სსიპ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დასის განახლებისა და ხელშეწყობის მიზნით, ზუგდიდის მკვიდრი, სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სამი სტუდენტის დაფინანსება (ბიუჯეტი: 2250 ლარი).**
- **უგზოუკვლოდ დაკარგულთა მემორიალის შესამკობად ყვავილის გვირგვინის შეძენა . (ბიუჯეტი :110 ლარი)**
- **საუკეთესო მასწავლებლის ტიტულის მფლობელის დასაჯილდოვებლად თაიგულების შეძენა (ბიუჯეტი 270 ლარი)**
- **პროექტი „ღამის შოუ გიორგი გაბუნიასთან ერთად“ შემოქმედებითი ჯგუფის მუსიკალურ-იუმორისტული გასარტობი ღონისძიების ორგანიზება (ბიუჯეტი 19 000 ლარი)**
- **8 აგვისტოს ომში დაღუპულთა მემორილიალის შესამკობად 1 ცალი გვირგვინის შეძენა (ბიუჯეტი 110ლარი)**
- **ზუგდიდის საპატიო მოქალაქისა და საპატიო ზუგდიდელის წოდების მინიჭებასთან** დაკავშირებით საზეიმო კონცერტი და დაჯილდოვების ცერემონილი **(ბიუჯეტი 25688ლარი)**
- **6 სექტემბერს 1924 წლის აჯანყებაში** დაღუპულთა მემორიალის შესამკობად ყვავილის გვიტგვინის შეძენა **.(ბიუჯეტი :110 ლარი)**
- **სოხუმის დაცემის დღესათან დაკავსირებიტ საზღვრისპირა სოფლებში ჩატარდა ღონისძიებები (ბუიუჯეტი: 675 ლარი)**

ზემოაღნიშნულ ღონისძიებებზე სულ გაიხარჯა 49 858 ლარი.

სპორტისა და ახაგაზრდულ საქმეთა განყოფილება

- შშმ და სოციალურად დაუცველი სპორტსმენების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და შემდგომი ზრდის მიზნით, შშმ და სოციალურად დაუცველი სპორტსმენებისთვის 2021 წლის განმავლობაში სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებებით გათვალისწინებული ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამოიდან, საქართველოს უსინათლოთა ფეხბურთის ნაკრების წევრს ბაჩუკი ხასაიას გამოეყო **2000 (ორი ათასი)** ლარი.‘ ზუგდიდის ჭიდაობის სასპორტო სკოლის ძიუდოისტ ანანო მორგოშიას გამოეყო **350 (სამას ორმოცდაათი)** ლარი.
- ახალგაზრდული მედია-კავშირის“-ს ორგანიზებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საყოველთაო პროექტის, აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაას ფარგლებში, სპორტულ-

გასართობი ღონისძიებების ორგანიზების ხარჯებისთვის გამოეყო **2960 (ორი ათას ცხრაას სამოცი)** ლარი.

- საქართველოს კრივის ეროვნულ ფედერაციას“ ბელორუსიის ქალაქ მინსკში ა/წ 20-30 აპრილს დაგეგმილ ერთობლივ საწვრთნელ შეკრებებსა და ამხანაგურ შეხვედრებზე, გოჩა გორდულავას მივლინების მიზნით გადაერიცხა **2932 (ორი ათას ცხრაას ოცდათორმეტი)** ლარი.
- ახალგაზრდული პროექტების დაფინანსებისა და თანადაფინანსების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა- ახალგაზრდული იდეებისა და მათ მიერ დაგეგმილი აქტივობების, შინაგანი მოტივაციის ზრდის, ახალგაზრდების აქტიურად საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის და ხელშეწყობის მიზნით:
  - **1.1** მომავალ მეწარმეთა კლუბი -ააიპ „საერთაშორისო ბიზნეს სკოლას“ გამოეყო- **3550 (სამი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარი**
  - **1.2** ქუჩის მხატვრობის ხელოვნება- ააიპ „ახალგაზრდები სამეგრელოს განვითარებისათვის“ გამოეყო: -**1980 (ათას ცხრაას ოთხმოცი) ლარი**
  - **1.3** ზუგდიდის საჩოგბურთო სამოყვარულო ტურნირის ჩატარების მიზნით- ააიპ„ზუგდიდის ჩოგბურთის სამოყვარულო კლუბს“ გამოეყო:-**1522 (ათას ხუთას ოცდაორი)ლარი**
  - **1.4** სამოყვარულო თამაშების კლუბი- ააიპ „საზოგადოებრივი სახლი ოდას“გამოეყო:-**1551,15 (ათას ხუთას ორმოცდათერთმეტი ლარი და თხუთმეტი თეთრი) ლარი**
  - **1.5** მოხალისეები პროგრესისთვის- ააიპ „საერთაშორისო ბიზნეს სკოლას“ გამოეყო:-**4960 (ოთხი ათას ცხრაას სამოცი) ლარი**
  - **1.6** ქართული კულტურის დღეები მესტია 2021 - შპს „აი სიი იუ ქემფს“ ახალგაზრდებში მენეჯერული უნარების განვითარების, ლიდერობის, გუნდურობისა და ლიდერების აღმოჩენის მიზნით გამოეყო: -**3348 (სამი ათას სამას ორმოცდარვა) ლარი**
  - 1.7 **„RITA-„**რეგიონი გარადამავალ პერიოდში“-ააიპ „სამოქალაქო აქტივობისა და თანასწორობის ცენტრი“ -**4960 (ოთხი ათას ცხრაას სამოცი) ლარი**

    პროექტებზე სულ გაიხარჯა: 21 871 ლარი და 15 თეთრი
- (ა)იპ ამპუტანტი ფეხბურთელების გუნდი „ოდიშს“- შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და შემდგომი ზრდის ფინანსური ხელშეწყობისთვის გამოეყო 34 000 **(ოცდათოთხმეტი) ლარი.**
- ააიპ „დასაქმებისა და გადამზადების ცენტრს“ ახალგაზრდული სათათბიროს ჩამოყალიბების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის და ახალგაზრდული სათათბიროსთვის შესაბამისი სივრცის მოწყობის მიზნით გამოეყო **10 000 (ათი ათასი)** ლარი
- ააიპ „ახალგაზრდები ცვლილებისათვის 2018“ სკაუტური ბანაკი „ავატარი კორას“ ახალგაზრდებში სკაუტინგის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებისა და ახალგაზრდებში ისეთი უნარების განვითარების, როგორიცაა მცირე მეწარმეობა, სასოფლო -სამეურნეო საქმიანობა, მენეჯერული უნარები,თვთგადარჩენა, ლიდერობა, გუნდურობა, პიონერინგი (საზღვაო კვანძების შეკვრა) და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა, შესაბამისი პირობების უზრუნველყოფისა და ხელშეწყობის მიზნით გამოეყო **5000 (ხუთი ათასი)** ლარი.
- ძიუდოს (ჭაბუკთა შორის) რესპუბლიკური ტურნირის „მერიის თასი 2021“ - სმონაწილეებისათვის დამზადდა 22 (ოცდაორი) ერთეული ბრენდირებული მაისური, ღირებულებით: **660 (ექვსას სამოცი)** ლარი

- ბადრი დარასელიასა და ზვიად ქაძანაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის მონაწილეებისათვის დამზადდა 25 (ოცდახუთი) ერთეული მაისური ღირებულებით: **750 (შვიდას ორმოცდაათი)** ლარი
- საცხენოსნო კლუბი „ხარებას“სპორტსმენებისთვის დამზადდა 6 (ექვსი) ერთეული ბრენდირებული მაისური ღირებულებით: **180 (ას ოთხმოცი)** ლარი
- ინტელექტუალური თამაშების (ბრეინ-რინგი)საქართველოს ჩემპიონატზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ინტელექტუალური კლუბის „ელარჯის“ წევრების, ქალაქ ბათუმში გამგზავრებასტან დაკავშირებით , ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით ინტელექტუალური კლუბის ხელმძღვანელს გენადი ბჟინავას გამოეყო: **800 ლარი**

  სულ: 81 503, 15 ლარი. პროგრამული კოდი: (05 03)
- ა(ა)იპ „საცხენოსნო კლუბ ხარებას“ საცხენოსნო სპორტის განვითარებისა და სპორტული ზრდისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის მიზნით გამოეყო: **80 000 (ოთხმოცი ათასი**) ლარი.

➢ **ინფრასტრუქტურის განვითარება**

- **ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური**

❖ ***ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილება***

<u>რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტები</u>

➢ 2020 წლის 31 დეკემბერს რეგიონული განვითარების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის N2685 (2021 წლის 29 ივლისის N1297 ცვლილება) განკარგულებებით გამოყოფილ იქნა 8 801 567 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან, თანადაფინანსებისათვის, გამოიყო 463 981 ათასი - ჯამში ყველა პროექტის ღირებულებამ შეადგინა 9 265 548 ლარი;

აღნიშნული თანხით განხორციელდა, დაგეგმილია ან მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

1. **გზების რეაბილიტაცია - 7 228 674 ლარი: (2022 წელს მრავალწლიანი პროექტების ასანაზღაურებლად საჭიროა 3 682 544 ლარი;**

- ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში. ნარაზენის ცენტრალური გზიდან ოფაჩხაფუს ცენტრამდე საავტომობილო გზისრეაბილიტაცია - 130 000 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში სამაქაცარიოს (წმინდა გიორგის ეკლესიამდე მისასვლელი გზა) უბნის გზის რეაბილიტაცია - 290 303 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხეცერას ადმინისტრაციულ ერთეულში ი. მეუნარგიას ქუჩის (საფირცხელო-სამელიოს უბანი) გზის რეაბილიტაცია - 682 002 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შამგონას ადმინისტრაციულ ერთეულში ნაფატუს უბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 420 000 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუსთაველის ქუჩიდან ორდე დგებუაძის ქუჩამდე გზის საფარისა და გარე განათების მოწყობა - 298 865 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯუმის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯუმი-ახალსოფლის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის (ცაბაძის, ყაზბეგის და ჯიქიას ქუჩები) სარეაბილიტაციო (II ეტაპი) სამუშაოები - 270 000 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, წმინდა ნინოს ქუჩაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მონაკვეთის (II ეტაპი) სარეაბილიტაციო სამუშაოები - 300 000 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია, პროექტი მრავალწლიანია 2021-2022, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება 735 000 ლარი)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუხისა და ახალაბასთუმნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო (II ეტაპი) სამუშაოები - 269 357 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, გუგუჩიას ქუჩაზე (საგუგუჩიოს უბანი) გზის (II ეტაპი) სარეაბილიტაციო სამუშაოები - 300 000 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია, პროექტი მრავალწლიანია 2021-2022, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება 714 994 ლარი)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კოკის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოკი-ახალკახათის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო (II ეტაპი) სამუშაოები - 600 000 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს, პროექტი მრავალწლიანია 2021-2022, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება 1 212 984 ლარი)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოირემეს და დავითიანის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო (II ეტაპი) სამუშაოები - 186 000 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცვანეს ადმინისტრაციულ ერთეულში, ერგეტის ცენტრიდან ცვანეს ცენტრამდე და ცვანეს ცენტრიდან ანაკლიის ზღვის სანაპირომდე გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 388 000 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაცატუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ზუგდიდი-წალენჯიხის ცენტრალური გზიდან, ნაცატუს მიმართულებით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზღვრამდე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 300 000 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკუტალიო-სამოლაშხიოს უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 400 000 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია, პროექტი მრავალწლიანია 2021-2022, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება 780 000 ლარი)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭავჭავაძის და დადიანის ქუჩებზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 300 000 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ორსანტიის ადმინისტრაციულ ერთეულში ქიაჩელის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 190 100 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)

- ზუდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, საროგაოს უვბანში, უჩაშონას დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 968 441 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში, თამარ მეფის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 410 000 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დიდინექის ადმინისტრაციულ ერთეულში, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიამდე მისასვლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 117 342 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
- ზუდიდის მუნიციპალიტეტის ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკალანდიოს უბანში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 210 900 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს, პროექტი მრავალწლიანია 2021-2022, პროექტის მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება 961 366 ლარი)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერგეტას ადმინისტრაციულ ერთეულში, ერგეტას ცენტრიდან ბუის გავლით დიდგვიმარას უბნამდე გზის საფარის (I ეტაპი) სარეაბილიტაციო სამუშაოები - 210 900 ლარი; (ტენდერი გამოცხადებულია, პროექტი მრავალწლიანია 2021-2022, გათვალისწინებულია 1 300 000 ლარი)

2. **მრავალბინიანი ეზოების კეთილმოწყობა - 497 979 ლარი;**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში პეტრიაშვილის ქუჩის 30 და გორის 2 ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს კეთილმოწყობა - 74 077 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
- ქ. ზუგდიდში, ჩიქოვანის ქ. №36, №38, №39, №40, №41, №40/1, №40/2-ში და ი. ჭავჭავაძის ქ. №16-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები - ჩიქოვანის ქ. №36 – 93 903 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ქ. ზუგდიდში, ჩიქოვანის ქ. №36, №38, №39, №40, №41, №40/1, №40/2-ში და ი. ჭავჭავაძის ქ. №16-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები - ჩიქოვანის ქ. №38 – 89 456 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ქ. ზუგდიდში, ჩიქოვანის ქ. №36, №38, №39, №40, №41, №40/1, №40/2-ში და ი. ჭავჭავაძის ქ. №16-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები - ჩიქოვანის ქ. №40 – 89 456 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ქ. ზუგდიდში, ჩიქოვანის ქ. №36, №38, №39, №40, №41, №40/1, №40/2-ში და ი. ჭავჭავაძის ქ. №16-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები - ჩიქოვანის ქ. №40/2 – 81 072 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ქ. ზუგდიდში, თამარ მეფის ქუჩა №8, №10-ში და ჯანაშიას ქუჩა №9-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები - თამარ მეფის ქუჩა №10 – 74 326 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)

3. **წყალმომარაგება - 2021 წელი 928 250 ლარი, 2022 წელი 583 782 ლარი:**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ალერტკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკანკიოს უბანში წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 336 000 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს, უახლოეს მომავალში ტენდერი გამოცხადდება II ეტაპის სამუშაოებზე, სავარაუდო ღირებულებით 126 306 ლარი)

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭაქვინჯის (ბაღმარანის უბანი) და ნარაზენის (საბეჭვაიოს უბანი) ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები - 396 188 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს, პროექტი მრავალწლიანია 2021-2022, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება 979 970 ლარი)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, პაპავების უბანში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები (II ეტაპი) - პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილია 196 062 ლარი;

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოხუმის ქუჩის მე-6 შესახვევში,ავტობუსების სადგომისა და დამხმარე შენობა-ნაგებობების მოწყობის სამუშაოები 455 000 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)

5. <u>დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში სკოლების რეაბილიტაცია:</u>

- 2021 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის N147 განკაგულებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების სარეაბილიტაციოდ გამოეყო 377 354 ლარი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2 საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად.
  - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, კახათის №1 საჯარო სკოლის გათბობის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოები - 199 896 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რიყის ადმინისტრაციულ ერთეულში, რიყის საჯარო სკოლის შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 139 763 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)

6. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 ივნისის N909 განკარგულებით გამოეყო თანხა 368 771 ლარი შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად;
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, საშენგელიოს უბანში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 253 818 ლარი; (სამუშაოების შესრულებაზე ტენდერის გამოცხადება დაგეგმილია)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლომონოსოვის და გრიბოედოვის ქუჩებზე რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 128 243,11 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)

- ***სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები - 26 370***

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 სექტემბრის N1856 განკაგულებით სტიქიის შედეგების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარეობს:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, გ. ბრწყინვალეს ქუჩა №47-ის მიმდებარედ, მდ. სინწაზე, ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები - 50 005 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ***სოფლის მხარდაჭერის პროგრამა***

  სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 48 ადმინისტრაციულ ერთეულს ჯამში გამოეყო 948 000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღნიშნული პროექტების თანადაფინანსებისათვის გამოიყო 344 217 ლარი. ამ ეტაპზე

განხორციელებულია 7 პროექტი, სამუშაოები მიმდინარეობს 30 პროექტზე, წლის ბოლომდე დაგეგმილია კიდევ 52 პროექტის განხორციელება.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი - ლარი

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, ქ. ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახ. N1 საჯარო სკოლის (საკადასტრო კოდი: 43.31.67.061) და ქ. ზუგდიდის N12 საჯარო სკოლის (საკადასტრო კოდი 43.31.64.027) რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, 7 293 588.59 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტი-სოფ.ჯიხაშკარის (N43.05.42.197) საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, 3 212 649.11 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ზუგდიდში სპორტული კომპლექსის მშენებლობა - 11 366 421.17 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- შავი ზღვის აუზის მდინარეებზე, დასავლეთ საქართველოში, სოფელ ანაკლიიდან ქალაქ ქობულეთის ჩათვლით, ნატანდამჭერი სისტემის მიწოდებისა და თანმდევი მომსახურების (მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვა, 8 747 206 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ქალაქ ზუგდიდში, ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირის (UEFA) სტანდარტების შესაბამისი საფეხბურთო სტადიონის მშენებლობისათვის არსებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ცვლილების (მოდიფიკაცია/ადაპტაცია) და მოდიფიცირებული/ადაპტირებული დოკუმენტაციის საფუძველზე, სამშენებლო სამუშაოებისათვის საავტორო ზედამხედველობის გაწევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა - 248 500 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის N185 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის - „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, Design-Build მეთოდით, სარეაბილიტაციო ობიექტებისათვის (ხობის, სენაკის, აბაშის, ზუგდიდის ლოკაციები) დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების შესრულება - 20 000 000 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი აზიის განვითარების ბანკისგან (the Asian Development Bank) „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა თანაბარი განვითარებისთვის“ პროგრამის განსახორციელებლად და ამ სახსრების ნაწილი გამოყენებულ იქნება “ზვიად გამსახურდიას სახელობის ახალგაზრდული ცენტრის, საპრეზიდენტო ბიბლიოთეკისა და მუზეუმის მშენებლობა ქ.ზუგდიდში“ – 12 824 350 ლარი; (პროექტი შერჩევა/შეფასების ეტაპზეა)
- საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი აზიის განვითარების ბანკისგან (the Asian Development Bank) „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა თანაბარი განვითარებისთვის“ პროგრამის განსახორციელებლად და ამ სახსრების ნაწილი გამოყენებულ იქნება “საბავშვო ბაღის მშენებლობის განსახორციელებლად რუხში (ზუგდიდი)“ – 4 084 240 ლარი; (პროექტი შერჩევა/შეფასების ეტაპზეა)
- საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი აზიის განვითარების ბანკისგან (the Asian Development Bank) „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა თანაბარი განვითარებისთვის“ პროგრამის განსახორციელებლად და ამ სახსრების ნაწილი გამოყენებულ იქნება “საბავშვო ბაღის მშენებლობის განსახორციელებლად ჭითაწყარში (ზუგდიდი)“ – 4 084 240 ლარი; (პროექტი შერჩევა/შეფასების ეტაპზეა)
- საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი აზიის განვითარების ბანკისგან (the Asian Development Bank) „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა თანაბარი განვითარებისთვის“ პროგრამის განსახორციელებლად და ამ სახსრების ნაწილი

გამოყენებულ იქნება "საბავშვო ბაღის მშენებლობის განსახორციელებლად დარჩელში (ზუგდიდი)" – 3 129 325 ლარი; (პროექტი შერჩევა/შეფასების ეტაპზეა)

- საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი აზიის განვითარების ბანკისგან (the Asian Development Bank) „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა თანაბარი განვითარებისთვის" პროგრამის განსახორციელებლად და ამ სახსრების ნაწილი გამოყენებულ იქნება "საბავშვო ბაღის მშენებლობის განსახორციელებლად შამგონაში (ზუგდიდი)" – 3 779 589 ლარი; (პროექტი შერჩევა/შეფასების ეტაპზეა)

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ახალაბასთუმანი-რუხის გზის რეაბილიტაცია - 4 565 900 ლარი; (ტენდერი გამოცხადებულია)

<u>საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი - 25 227 535 ლარი.</u>

- ქალაქ ზუგდიდის ბარამიას ქუჩის 1.25 კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, 1 255 000 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ზუგდიდში თავისუფლების ქუჩაზე გამავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 3 კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, 3 477 462 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ზუგდიდში პუშკინის ქუჩაზე გამავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 1.5 კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, 1 585 262 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-8) ზუგდიდი - ანაკლიის საავტომობილო გზის კმ 3.5 - კმ 7 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, 6 044 915 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ქალაქ ზუგდიდის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (17 ქუჩა) პროექტირება-რეაბილიტაციის სამუშაოები - 4 000 000 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- №22 ზონაში არსებული საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები, ასევე სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისას, აღნიშნული ზონის მიმდებარედ, ზუგდიდის, სენაკის, ხობის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები - 4 934 400 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ჭაქვინჯის ადმინისტრაციული ერთეულის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ ხიბულასთან დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მონაკვეთის (სავარაუდო სიგრძით 2 კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოები - 1 106 999 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძველი ხიბულადან (საქანთარიოს უბანი) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭაქვინჯის ადმინისტრაციული ერთეულის მიმართულებით ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მონაკვეთის (სიგრძით 3.5 კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოები - 2 823 497 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)

<u>სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" – 3 746 907 ლარი.</u>

- სსიპ ქ. ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზისა და ფასადის ნაწილის სარეაბილიტაციო და სსიპ. ქ. ზუგდიდის N9 საჯარო სკოლის ხელოვნურ საფარიანი კომბინირებული სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, 236 231 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 2020-2021 წლის ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულიშკარის საჯარო სკოლის შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სახელმწიფო შესყიდვა, 712 026 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)

- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 2020 წლის ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო შენობის სამშენებლო სამუშაოების ერთობლივი სახელმწიფო შესყიდვა, 1 449 996 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ნარაზენის საჯარო სკოლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 111 644 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 837 873 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლის, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის N1 საჯარო სკოლის, სსიპ ქალაქ ზუგდიდის N4 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 135 503 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების ცაიშისა და ახალი აბასთუმანის საჯარო სკოლების ტერიტორიაზე ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედნების სამშენებლო სამუშაოები - 216 326 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
- სსიპ „საგანმანთლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს მიერ 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლის, სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის, სსიპ - ქალაქ თბილისის N86 საჯარო სკოლისა და სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 (დიდი დიღმის ფილიალი) საჯარო სკოლისთვის საჭირო ვერტიკალური და ჰორიზონტალური ჟალუზების სახელმწიფო შესყიდვა - 47 308 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)

<u>საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია - 5 462 994 ლარი:</u>

- ქალაქ ზუგდიდის არარეაბილიტირებული უბნებისთვის წყალარინების სისტემის მოწყობის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები - 3 799 914 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ქ. ზუგდიდში წყალსადენის ქსელზე ინდივიდუალური განშტოებებისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბუმეს წყალმომარაგების სისტემის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები - 678 195 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ქ.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირება-მშენებლობა - 984 885 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)

<u>ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 5 157 449.69 ლარს:</u>

1. ***გზების რეაბილიტაცია - 3 345 334.74 ლარი.***
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო (ორმული შეკეთება) სამუშაოები - 200 000 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოხუმის ქუჩის მე-6 შესახვევში, ავტობუსების სადგომთან მისასვლელი გზის საფარის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოები - 165 000 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზის საფარის სარეაბილიტაციო (მოხრეშვა) სამუშაოები - 80 001 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზის საფარის სარეაბილიტაციო (მოხრეშვა) სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა - 120 001 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ქ. ზუგდიდში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (8 მარტის ქ, კუბის ქ, ქორთუას ქ, გამსახურდიას ქ. I შესახვევი, ჟორდანიას ქუჩა ჩიხით) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა - 643 604 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (ხერგიანის ქუჩა ჩიხით, გრიბოედოვის ქუჩა და დ.თავდადებულის ქუჩა ჩიხით) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა - 430 269 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- "ქ. ზუგდიდში ადგილობრივი მნიშვნელობის თაბუკაშვილის ქუჩიდან დევნილების მრავალსართულიან დასახლებამდე მონავეთის და ამ მონაკვეთიდან შ. ქირიას ქუჩის გადაკვეთამდე, ც. დადიანის ქუჩის I შესახვევის (იონა მეუნარგიას ქუჩიდან თეატრის ქუჩის პირველ შესახვევამდე), თეატრის ქუჩის I შესახვევის (ც. დადიანის ქუჩის კვეთამდე), ც. დადიანის ქუჩის (ც. დადიანის I შესახვევიდან თეატრის ქუჩის კვეთამდე, წრიულამდე), ლაზის ქუჩის (რუსთაველის ქუჩიდან ც. დადიანის ქუჩის I შესახვევამდე) და თეატრის ქუჩის ჩიხის მონაკვეთების რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა - 356 680 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შამგონას ადმინისტრაციულ ერთეულში, ნაფატუს უბანში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო (III ეტაპი, პკ 17+00-დან პკ 18+46) სამუშაოების შესყიდვა - 78 040.95 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შამგონას ადმინისტრაციულ ერთეულში, ნაფატუს უბანში საავტომობილო გზის (300 მეტრიანი მონაკვეთის) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების და სამუშაოების შესყიდვა - 115 000 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ი.ჭავჭავაძის, ცოტნე დადიანის და კ.გამსახურდიას ქუჩებზე (ჭავჭავაძის ქუჩა, პკ. 0+00-დან პკ. 4+70-მდე) საავტომობილო გზის I ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 290 040.9 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრალური გზიდან სასაფლაომდე მისასვლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 300 000 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სობოგას უბანში საავტომობილო გზის (I ეტაპი, პკ. 0+00-დან პკ. 4+50-მდე) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 266 697.89 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოსტავას ქუჩაზე საავტომობილო გზის (I ეტაპი, პკ.0+00-დან პკ.8+00-მდე) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 300 000 ლარი; (ტენდერი გამოცხადებულია)

2. **საცხოვრებელი სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია და ერთი თბილი ოთახის მოწყობა - 611 894.05 ლარი:**
   - უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის, ყულიშკარის და კორცხელის ადმინისტრაციულ ერთეულებში სამი სამოთახიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოები - 82 949,75 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)

- უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში ორი სამოთახიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოები - 53 599.81 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში სამი სამოთახიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოები - 84 999.81 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
- უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აბასთუმნის და ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულებში ერთი სამოთახიანი და ერთი ოროთახიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოები - 58 390.71 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ეგრისის ადმინისტრაცუულ ერთეულში (სოხუმის ქუჩა №193-ში) და ასევე რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოები - 91 602.99 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოირემეს და დიდინეძის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულებში საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოები - 87 776.98 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლისა (ჯუმის) და ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულებში საცხოვრებელი სახლების დარჩენილი სამშენებლო სამუშაოები - 77 537 ლარი; (ტენდერი გამოცხადებულია)
- უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ქ. ზუგდიდის ბუდაპეშტის ქ №5 და სოხუმის მე-3 შეს-ში საცხოვრებელი სახლების დარჩენილი სამშენებლო სამუშაოები - 56 050 ლარი; (ტენდერი გამოცხადებულია)

- უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცვანეს, განმუხურის და ახალკახათის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე საცხოვრებელი სახლებში „ერთი თბილი ოთახის" მოწყობის სამუშაოები - 18 987 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)

3. **გარე-განათება - 188 771.98 ლარი.**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი ხიდიდან ზღვის სანაპირო ზოლამდე გარეგანათების მოწყობის სამუშაოები - 125074.98 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯ. ნარმანიას ქუჩაზე გარეგანათების მოწყობის სამუშაოები - 52 667 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში, თავისუფლების ქუჩაზე გარეგანათების მოწყობის სამუშაოები - 11 030 ლარი; (ტენდერი გამოცხადებულია)

4. **სანიაღვრე სისტემების მოწყობა- რეაბილიტაცია - 124 438.88 ლარი.**
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხურჩას ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 86 853.97 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, რ. ზარანდიას საკარმიდამო ნაკვეთში გამავალი სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 37 584.91 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)

5. **საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია - 7 964 ლარი.**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდში, ჯანაშიას ქუჩა №11-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოში გარე საკანალიზაციო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 7 964 ლარი; (ტენდერი გამოცხადებულია)

6. **მინი სპორტული მოედნების მოწყობა -რეაბილიტაცია - 85 385.49 ლარი.**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში თედო სახოკიას ქუჩაზე ბავშთა გასართობი სივრცის მოწყობის სამუშაოები - 43 935.85 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული მინი საფეხბურთო სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 41 449.64 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)

7. **სადარბაზოების და ლიფტების რეაბილიტაცია: - 192 739.3 ლარი. (ამხანაგობა)**
   - ქ. ზუგდიდში, სანკტ-პეტერბურგის ქუჩა N25-ში მდებარე N2 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამგზავრო ლიფტის შახტის რეაბილიტაციისა და ახალი ლიფტის მოწყობის სამუშაოები - 109 374.38 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, კ. გამსახურდიას ქუჩა №217-ში და ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში ც. დადიანის ქუჩა №6-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს შესასვლელში რეგულირებადი შლაგბაუმების მოწყობის სამუშაოები - 8 584.95 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ბ. ბერანძეს ქუჩა N30-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის I-II სადარბაზოების სარეაბილიტაციო და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - 14 743 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
   - ქ. ზუგდიდის ქუჯის ქუჩა №10-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მე-2 სადარბაზოში არსებული ელექტრონული ლიფტის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 18 251.97 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ი. ჭავჭავაძის ქუჩა №95-ში მდებარე №1 და №2 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 41 785 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)

8. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ი. ზარქუას და ბუდაპეშტის ქუჩების კვეთაზე არსებული ეზოს საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 35 780 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)
9. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ცენტრში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 118 615 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
10. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენის ხარჯმა შეადგინა - 161 159 ლარი;

- **სამოქალაქო ბიუჯეტი - 285 367.25 ლარი.**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2020-2021 წელს განხორციელდა ადგილობრივი მოსალეობის მიერ ინიცირებული პროექტები:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, №17 კორპუსთან, საკალათბურთო მოედნის მოწყობის სამუშაოები - 40 189,99 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ქ. ზუგდიდში, ბადრი ბერანძის ქუჩა №11-ში, აკაკი წერეთლის ქუჩა №8-ში და ასევე თბილისის ქუჩა №1-ში სპორტული მოედნების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები - 136 776,1 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ქ. ზუგდიდში, თამარ მეფისა და მაია წყნეთელის ქუჩების კვეთაზე სკვერის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები - 77 977,16 ლარი; (სამუშაოები მიმდინარეობს)
- ქ. ზუგდიდში, 25 დეკემბრის ქუჩა №15-ის ეზოს ღობის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 30 424 ლარი; (სამუშაოები დასრულებულია)

❖ *არქიტექტურის განყოფილება*

2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით გაიცა: 154 მშენებლობის ნებართვა; 47 შეთანხმების ბრძანება; 77 მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები; 22 შენობა-ნაგებობის დემონტაჟი. 2020 წლის მშენებლობის მოსაკრებელი შეადგენს 168 896.54 ლარს

➢ **ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსება**

- **ზედამხედველობის სამსახური**

საორგანიზაციო განყოფილება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საორგანიზაციო განყოფილებამ თავისი უფლება-მოვალეობის ფარგლებში, აღნიშნული პერიოდისათვის, განახორციელა შემდეგი:

მერიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე შედგა ინფორმაციული ელექტრონული ბაზა, სადაც მოცემულია ჯამში ხელშეკრულებების რაოდენობა - 182.

განხილულ იქნა და მომზადდა აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაცია და გადაეგზავნა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს; მათ შორის საბანკო გარანტიის საფუძველზე მოთხოვნილი თანხების წინასწარი ანაზღაურების მიზნით საჭირო დოკუმენტაცია; აგრეთვე საზედამხედველო ორგანოს - შპს „ექსპერტ ჰაუსი“-ს მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების მიზნით სათანადო დოკუმენტაცია;

აყვანილ იქნა კონტროლზე აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი ვადები. ვადაგადაცილებით შესრულებულ სამუშაოებზე შედგა სათანადო დოკუმენტაცია და მასალა გადაეგზავნა იურიდიულ განყოფილებას სათანადო რეაგირებისათვის, რის შემდეგაც განხორციელდა საჭირო პროცედურები. ვადაგადაცილებით შესრულებული ობიექტების რაოდენობაა აღნიშნული პერიოდისათვის 56 (ორმოცდათექვსმეტი) და ჯამში საჯარიმო თანხამ შეადგინა 270614,79 (ორასსამოცდაათი ათას ექვსას თოთხმეტი ლარი და 79 თეთრი) ლარი;

აყვანილ იქნა კონტროლზე ყველა ხელშეკრულების მოქმედების ვადები. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების საჭიროების შემთხვევაში, ვადის გაგრძელებაზე ეცნობა საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს;

განხილულ იქნა და მომზადდა სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, ფაქტიური გარემოებებიდან გამომდინარე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებში და ხელშეკრულებებში საჭირო ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაციები;

აღნიშნული პერიოდისათვის საორგანიზაციო განყოფილებაში ყველა შემოსულ კორესპონდენციას გაეცა დროულად სათანადო პასუხი;

მიეწოდა ინფორმაცია მერიის სხვადასხვა სამსახურებს (მათი საჭიროების მიხედვით), ობიექტებზე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ; აგრეთვე დაფინანსების წყაროების მიხედვით დარჩენილი ნაშთის (სახელშეკრულებო ღირებულებასა და ფაქტიურ ღირებულებას შორის სხვაობა) შესახებ.

სამშენებლო ინსპექტირების განყოფილება

აღნიშნული პერიოდისათვის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ობიექტების რაოდენობა შეადგენს 182 (ასოთხმოცდაორი). მათ შორის:

50 000,0 ლარზე მეტი ღირებულების 22 (ოცდაორი) ობიექტი ტექნიკური ზედამხედველობისათვის გადაეცა საზედამხედველო ორგანოს - შპს „ექსპერტ ჰაუსი“-ს; აქედან დასრულებულია - 19 (ცხრამეტი), მიმდინარე - 3 (სამი). აღნიშნულ ობიექტებზე განხორციელდა საზედამხედველო ორგანოს მიერ გაწეულ მომსახურებაზე ინსპექტირება და შედგა ინსპექტირების ჯგუფის აქტები (შუალედური/საბოლოო).

ჩვენ მიერ ინსპექტირებული ობიექტების (50 000,0 ლარზე ნაკლები ღირებულების) რაოდენობაა აღნიშნული პერიოდისათვის შეადგენს სულ 160 (ასსამოცი), აქედან დასრულებულია 72 (სამოცდათორმეტი), მიმდინარე - 88 (ოთხმოცდარვა); აგრეთვე შეწყვეტილი - 6 (ექვსი). შედგა ინსპექტირების ჯგუფის აქტები (შუალედური/საბოლოო).

სამუშაოებზე განსაზღვრული ვადების კონტროლის შედეგად დაფიქსირდა სულ 56 (ორმოცდათექვსმეტი) ვადაგადაცილებით შესრულებული ობიექტი, მათ შორის შპს „ექსპერტ ჰაუსი“-ს ზედამხედველობის ქვეშ მყოფ ობიექტებზე, რაზეც მიმწოდებლებს დაეკისრათ საჯარიმო სანქციები.

განხილულ იქნა სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, აუცილებლობიდან გამომდინარე, ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული საკითხები;

საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ექსპლუატაციის პერიოდში (საგარანტიო პერიოდი), ობიექტების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად ჩატარდა საჭირო პროცედურები;

მიეწოდა ინფორმაცია მერიის სამსახურებს, მათი საჭიროებიდან გამომდინარე, ობიექტებზე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ (მათ შორის შუალედურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის პროცენტული მაჩვენებელი);

მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში ყველა მშენებლობადამთავრებული ობიექტი.

რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება

2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 11 ოქტომბრამდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილებამ სულ გამოავლინა 21 (ოცდაერთი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რაზეც შედგა შესაბამისი ოქმი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან შემოსავალი შეადგენს- 420 (ოთხ ას ოცი) ლარს.

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გადაგზავნილია 11 (თერთმეტი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმე განსახილველად.

ასევე სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით მიღებული დადგენილებით გადახდილი თანხა შეადგენს:

- უნებართვო მშენებლობა/დემონტაჟზე -23 000 ლარს,
- სანებართვო პირობების დარღვევაზე -2400 ლარს

სანქციებიდან სულ ჯამში შეადგენს - 25 400 (ოცდახუთი ათას ოთხ ასი) ლარს.

ყველა სანქციებიდან შემოსული ჯამური თანხა შეადგენს - 25 820 (ოცდახუთი ათას რვა ას ოცი) ლარს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შ.პ.ს. ვექტრა-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულების საფუძველზე გაყვანილ იქნა ცხოველთა თავშესაფარში 180 (ას ოთხმოცი) მიუსაფარი და უპატრონო ძაღლი მათი შემდგომი კასტრაცია, ვაქცინაცია, სტერილიზაცია, დაბირკვის და შემდეგ თავისუფალ არეალში დაბრუნების მიზნით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონადირეებთან ხელშეკრულების საფუძველზე გარემოდან ჩასაფრების წესით ამოღებულია მგლის 5 და ტურის 10 ინდივიდი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შ.პ.ს. ,,ზუგდიდდეზინფექცია''-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სამ ეტაპად განხორციელდა შ.პ.ს. ,,ზუგდიდდეზინფექციი-''ს მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სადერატიზაციო, სადეზინფექციო და ქვეწარმავლების საწინააღმდეგო ღონისძიებები.

ავარიულ და გამხმარ მდგომარეობაში მყოფი ხეებისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების კომისიამ განიხილა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებები, რომლებსაც გაეცა სათანადო პასუხი.

2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილებაში შემოსულ კორესპონდენციებს გაეცა სათანადო პასუხი.

განყოფილება ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებდა და ახორციელებს ზედამხედველობას და კონტროლს:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქალაქო მეურნეობის კეთილმოწყობის, გარე იერსახის, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის, გარე ვაჭრობის და ავტოტრანსპორტის პარკირების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების, დადგენილებების, ბრძანებების, განკარგულებების, ინსტრუქციებისა და წესების შესრულებაზე.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა სახის სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე და აღნიშნულ საქმიანობაზე, დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე.
- პროექტის, სანებართვო პირობების დარღვევით მშენებარე ობიექტების მშენებლობის შეჩერებასთან/და დემონტაჟის განხორციელებაზე, ასევე მათ მიმართ საჯარიმო სანქციები ს გამოყენებაზე.
- რეკლამის, აბრის განთავსების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე, მათ დადგენილ წესებთან შესაბამისობაში მოყვანაზე. აგრეთვე, რეკლამაზე, აბრაზე სახელმწიფო ენის დაცვის მოთხოვნებისა და ტრანსლიტერაციის შესაბამისობაზე.
- უკანონო, უსახური და ამორტიზებული ჯიხურების, პავილიონების, მცირე არქიტექტურული ფორმის მანქანა-დანადგარების, დახლების, სხვადასხვა

კონსტრუქციების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, აბრების, აფიშების, პლაკატებისა და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენაზე, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელებაზე.

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე.
- ხეების და მწვანე ნარგავების გეგმაზომიერ განვითარებაზე, მათ მოჭრაზე, ამოძირკვაზე და დაზიანებაზე.
- მშენებარე შენობა-ნაგებობების საპროექტო, ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტაციებთან შესაბამისობაზე.
- უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ კომისიაზე დოკუმენტების მომზადებაზე.
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ვადა გადაცილებით შესრულების შემთხვევაში(წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე) სათანადო დოკუმენტაციის მომზადებასა და საჭირო პროცედურების განხორციელებაზე.
- კანონმდებლობით დადგენილი წესით წესრიგის დაცვას მშენებლობის დაწყებასა და მის დასრულებაზე.
- არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილების დამრღვევისათვის კანონმდებლობით დადგენილი ჯარიმების დაკისრებაზე.

მსოფლიოში განვითარებული პანდემიის პერიოდში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, სადღეღამისო რეჟიმში, ყოველდღიურად ახორციელებდა და ახორციელებს ზედამხედველობას და კონტროლს საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, ზოგადი რეკომენდაციების დაცვაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებულ სავაჭრო და კვების ობიექტებზე.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებაზე, განყოფილება ახორციელებდა კონტროლს ახალი კორონა ვირუსით გარდაცვლილი ადამიანიდან ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მსოფლიოში განვითარებული პანდემიის პერიოდში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, სადღეღამისო რეჟიმში, ყოველდღიურად ახორციელებდა და ახორციელებს ზედამხედველობას და კონტროლს საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, ზოგადი რეკომენდაციების დაცვაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებულ სავაჭრო და კვების ობიექტებზე.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივის ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებაზე, განყოფილება ახორციელებდა და ახორციელებს კონტროლს ახალი კორონავირუსით ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაშიც ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

- ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“

2020 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში ცენტრის მიერ შესრულებული ბიუჯეტი შეადგენს 1 824 606 ლარს, მათ შორის შრომის ანაზღაურება - 453 966 ლარი, სხვა დანარჩენი ოფისის ხარჯები, საქონელი და მომსახურება (მათ შორის ელ. ენერგიისა და აკაენერჯის თანხა - 275 975 ლარი) - 1 349 740 ლარი, საახალწლო ღონისძიებისთვის გაწეული ხარჯები - 20 900 ლარი. ცენტრის მიერ, 2020 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობითი სამუშაოები: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხურჩას ადმინისტრაციულ ერთეულში, ასევე ბერიას, ლაღიძის, ქობალიას, თათარიშვილის აღმაშენებლის და წერეთლის ქუჩებზე ჩატარდა სანიაღვრე არხების ამოწმენდისა და მიმდებარე ტერიტორიების მოწესრიგების სამუშაოები, აღდგენილ იქნა დაზიანებული სანიაღვრე არხები. ტყაიასა და დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ასევე სოხუმის ქუჩაზე რეაბილიტირდა დაზიანებული საავტომობილო ხიდი და შეიღება ხიდის მოაჯირები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა რუსთაველის ქუცაზე არსებულ მოსაცდელებს. აღდგენილ იქნა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში არსებული დაზიანებული ქვაფენილები.
მუნიციპალიტეტში ცენტრალური ქუჩების საახალწლოდ მოსართავად ცენტრის მიერ განხორციელდა სხვადასხვა კეთილმოწყობითი სამუშაოები, შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის საახალწლო განათებები, მავთულები, ბაგირები, იზოლირებული კაბელები, ფოიერვერკები, მიმდებარე ტერიტორიაზე დაიყარა დეკორატიული ქვის ნამცეცი.

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მართვის ცენტრის 2021 წლის ბიუჯეტი, 2021 წლის იანვრის თვეში დამტკიცდა 4 200 000 ლარით, ხოლო 2021 წლის 26 ივნისის მდგომარეობით დაზუსტდა 5 029 200 ლარით. მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 2 565 000 ლარი, ტრანსპორტისა და ტექნიკა დანადგარების მოვლა შენახვის ხარჯი - 367 800 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი - 302 400 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში - 293 500 ლარი, ოფისის ხარჯი - 1 500 500 ლარი (მათ შორის გარე განათების ელ. ენერგიის ხარჯი - 1 064 300 - ლარი).

2021 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით შესრულებული ბიუჯეტი შეადგენს 3 697 046 ლარს. მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 1 904 771 ლარი, ტრანსპორტისა და ტექნიკა დანადგარების მოვლა შენახვის ხარჯი - 269 125 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი - 208 638 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში - 60 964 ლარი, ოფისის ხარჯი - 1 253 548 ლარი (მათ შორის გარე განათების ელ. ენერგიის ხარჯი - 947 020 - ლარი).

ცენტრის მიერ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 53 ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობითი სამუშაოები. შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული ხარჯი შეადგენს სულ 814 294 ლარს (მათ შორის, მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე შესრულებული სამუშაოები, რომელიც 2021 წლის წლიურ გეგმაში არ იყო გათვალისწინებული, შეადგენს 190 000 ლარს), კერძოდ:

- აღდგენილ იქნა დაზიანებული წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელი ხელაიას, თამარ მეფის, ჯანაშიას ქუჩებზე და ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, შეიცვალა სასმელი წყლის მილები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაზიანებულ წყალსაქაჩ ტუმბოებს. შეიცვალა დაზიანებული და ამორტიზირებული წყალსაქაჩი ტუმბოები ნარაზენის, ჭკადუაშის, ინგირის და ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულებში. ამოიწმინდა საკანალიზაციო ჭები და საკანალიზაციო მილები. ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში თამარ მეფისა და ჯანაშიას ქუჩებზე განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების საკანალიზაციო სისტემების ახალ ქსელზე დაერთება.

- ეტაპობრივად მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შადრევნების მოვლა - პატრონობა, რეაბილიტაცია და შეღებვა.

- გარე-განათების მოვლა/პატრონობის მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიცვალა დაზიანებული გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები, დენის გამანაწილებელი კაბელები, ამომრთველები და კონტაქტორები.
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა ცენტრალური ბულვარის ტერიტორიაზე არსებულ დაზიანებულ სანათებს და ბოძებს.
- შეკეთდა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნები.

- ცენტრის სარგებლობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების და ტექნიკის მიერ ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: სანიაღვრე არხების ამოწმენდა - რეაბილიტაცია, შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, გზების მოსწორება/მოხრეშვა, მიწაყრილების მოსწორება, მდინარეების კალაპოტის ამოწმენდა, ნაპირსამაგრების მოწყობა და სანაპირო ზოლების მოწესრიგება. სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე საჭირო გახდა შესაბამისი ტექნიკის დაქირავება. ცენტრის მიერ, ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა მდინარე ენგურისა და ზღვის შესართავთან ნაპირსამაგრი და კალაპოტის გაფართოების სამუშაოები, ასევე ჩატარდა კალაპოტის შეცვლის სამუშაოები, რომელიც დაზიანდა სტიქიის შედეგად. ასევე, ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე თიკორზე ჩატარდა არხის გაჭრის სამუშაოები.

- ცენტრალურ ქუჩებში, ტექნიკისთვის მიუვალ ადგილებში ცენტრის თანამშრომლების მიერ განხორციელდა სანიაღვრე არხების ამოწმენდა, შეიცვალა დაზიანებული საკანალიზაციო ჭის ხუფები;
- ჭაქვინჯის, ჩხორიას, ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ასევე კობახიძის ქუჩაზე მოეწყო დახურული სანიაღვრე არხები;
- სისტემატიურად ხორციელდებოდა ადმინისტრაციული ერთეულის შენობების, ბაღების, საცხოვრებელი კორპუსების ეზოების, ყველა ადმინისტრაციული ერთეულის ქუჩების და ცენტრალური ტრასების (ზუგდიდი - ანაკლია, ზუგდიდი - ცაიში, ზუგდიდი - რუხი) სკვერების, პარკების, ცენტრალური ბულვარის, დადიანების ისტორიულ - არქიტექტურული მუზეუმის ეზოს მოთიბვა/მოწესრიგება, ასევე მწვანე ნარგავების გასხვლა/ფორმირება, შეწამლვა სხვადასხვა აგროქიმიური პროდუქტებით;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გამხმარი და ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ხეებისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების კომისიის სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა გამხმარი და ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ხეების და ასევე, სტიქიის შედეგად წაქცეული და დაზიანებული ხეების მოჭრა, გასხვლა, გადაბელვა.
- რეაბილიტირდა და შეიღება ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებსა და პარკებში განთავსებული ბაღის სკამები;
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ დაზიანებულ საფეხმავლო და საავტომობილო ხიდებს და ხიდბოგირებს;
- მოვლა პატრონობის სამუშაოები განხორციელდა მუნიციპალიტეტში არსებულ სასაფლაოებზე. გაიწმინდა სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიები სარეველებისა და ეკალ-ბარდებისგან. მოიხრეშა სასაფლაოებამდე მისასვლელი გზები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ.ზუგდიდის N1 ცენტრალური სასაფლაოს წინა ფასადის დაზიანებულ ღობეს. ასევე აღდგენილ იქნა სასაფლაოების დაზიანებული შესასვლელი რკინის კარები და ცხაურები.

- აღდგენილ იქნა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ქვაფენილები და ბეტონის ბორდიურები.
- ახალი რკინა - ბეტონის დამცავი ბარიერები დამონტაჟდა რუსთაველისა და მეუნარგიას ქუჩების კვეთაზე, აღმაშენებლის ქუჩაზე ზუგდიდის შემოსასბლელთან, რუსთაველისა და ზვ. გამსახურდიას ქუჩების კვეთაზე, ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში თამარ მეფის ქუჩაზე, ც. დადიანის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ეზოს შესასვლელთან და რუსთაველის ქუჩაზე იაკობ გოგებაშვილის სახელობის სკვერთან.
- სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები დამონტაჟდა რუხის, ახალაბასთუმნის, ორსანტიის, ორულუს ადმინისტრაციულ ერთეულებში, ასევე სანკტ-პეტერბურგის, იმედი გოროზიას, ფაზისის, ერისთავის, ჭყონდიდელის, ლაზის, მანჯგალაძის, ესებუას და ბაქოს ქუჩებზე, ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში კიროვისა და თამარ მეფის ქუჩებზე.
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დაზიანებულ საგზაო ნიშნებს და ასევე, დამონტაჟდა ახალი საგზაო ნიშნები.
- ეტაპობრივად განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხეების კირით შეთეთრება.
- ზუგდიდის შემოსასვლელში განთავსდა ახალი დეკორატიული სკამები და ურნები, ასევე დაირგო 3 ძირი დეკორატიული მცენარე.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თაბუკაშვილის, თამარ მეფის, და კ. გამსახურდიას ქუჩებზე ჩატარდა ქუჩების გამწვანების სამუშაოები.
- ქალაქის ცენტრალურ ნაწილში დაირგო სეზონური ყვავილები.

- 2021 წელს, კოვიდ 19-ის გავრცელების საწინააღმდეგო პრევენციული ხასიათის ღონისძიებების გატარების ფარგლებში, ცენტრის მიერ განხორციელდა რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ბლოკ-პოსტებთან კოვიდ-ცენტრების მოსაწყობად კარვების გაშლისა და პავილიონების განთავსების, მათი ტრანსპორტირების მიზნით ტექნიკის დაქირავებისა და საველე ლაბორატორიის მოწყობის სამუშაოები.
- ცენტრი აქტიურად იყო ჩართული მერიის მიერ მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობებისა და კულტურული ღონისძიებების ჩატარებაში.

დღეის მდგომარეობით, ცენტრის მიერ გრძელდება წესდებით გათვალისწინებული და ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობითი სამუშაოების განხორციელება.

❖ ადმინისტრაციული სამსახური

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად კვლავაც გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა რჩება. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტი არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. მუნიციპალიტეტის მერია, კვარტალში ერთხელ გამოსცემს გაზეთს სახელწოდებით -„ახალი ზუგდიდი,'' სადაც მოცემულია დასრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პროექტები, ამავე გაზეთის მეშვეობით ადგილობრივები იღებენ ინფორმაციას, მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების შესახებ.

პერიოდულად (სხვადასხვა მედია საშუალებებით, ინტერნეტ გამოცემა, ტელევიზია და რადიო) საინფორმაციო გამოშვებებში შუქდება ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დასრულებული და მიმდინარე პროექტების შესახებ.

მერიაში მოქმედ ვებ.გვერდზე და ფეისბუქ გვერდზე გამოიყენება ორმხრივი კომუნიკაციის ისეთი საშუალებები, როგორიცაა-„დაუკავშირდი ხელისუფლებას,'' „მიიღე მონაწილეობა ბიუჯეტის პრიორიტეტების შერჩევაში", „შექმენი პეტიცია", „მოითხოვე ინფორმაცია,'' „ელ.ფოსტა'', ამ საშუალებებით მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ ნებისმიერი სახის საჯარო ინფორმაცია და წარმოადგინონ მათთვის საინტერესო წინადადებები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოიყენება მოქალაქეთა ჩართულობის ისეთი ფორმები, როგორიცაა „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანო-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო", „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მომუშავე საბჭო'' (ზემოაღნიშნული საბჭოების მუშაობაში ჩართულნი არიან საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები), სამოქალაქო ბიუჯეტი (რომელიც მოიცავს ქალაქ ზუგდიდის ხუთივე ადმინისტრაციულ ერთეულს), ასევე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით ჩატარდა დასახლების საერთო კრებები და ამომრჩევლებთან კონსულტაციები.

მოქალაქეებისთვის, მომავალი წლის ბიუჯეტში საკუთარი პრიორიტეტული მიმართულების განსასაზღვრად, პირველად შეიქმნა ელექტრონული კითხვარი.

მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდის სტატისტიკა მზარდია, რაც ხელს უწყობს მოქალაქეების ინფორმირებულობას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში საანგარიშო პერიოდში შემოვიდა-23265 კორესპონდენცია, მერიიდან გასული კორესპონდენციის რაოდენობამ შეადგინა-15020, შიდა კორესპონდენციის რაოდენობამ შეადგინა-7680.

ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობის კოორდინაციის განყოფილებამ უზრუნველყო სხვადასხვა სახის ინფორმაციის მომზადება და გადაგზავნა უწყებებსა და ორგანიზაციებში. მათ მიერ 2020 წლის 1 ნოემბრიდან 2021 წლის 18 ოქტომბრამდე მომზადდა პასუხი 211 წერილზე აქედან 145 წერილი ეხებოდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში გაცემას.

განყოფილების მიერ განხორციელდა დასახლების საერთო კრებებისა და კონსულტაციების ჩატარების პროცედურული საკითხების ორგანიზება.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოდან პერიოდულად ხდება გეოლოგთა ჯგუფის გამოძახება დაზიანებული სახლების მდგომარეობის შესწავლის მიზნით. მიმდინარე წელს შემოწმდა 24 ოჯახი აქედან 24-ვეს მიენიჭა შესაბამისი კატეგორია, მათ შორის 7 ოჯახს პირველი კატეგორია.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტების (მერის ბრძანებები) რაოდენობა 2020 წლის 01 ნოემბრიდან 2021 წლის 11 ოქტომბრამდე შეადგენს 1 325 (ერთი ათას სამასოცდახუთი) სამართლებრივ აქტს.

2020 წლის 01 ნოემბრიდან 2021 წლის 11 ოქტომბრამდე მერიაში ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა კონკურსი 10 ვაკანტურ პოზიციაზე, აქედან 6 ღია კონკურსის წესით, 3 შიდა კონკურსის და 1 დახურული კონკურსის წესით.

2020 წლის 01 ნოემბრიდან 2021 წლის 11 ოქტომბრამდე ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა პროფესიული გადამზადების მიზნით ჩატარდა სხვადასხვა მიმართულების (მათ შორის ონლაინ სწავლების ფორმით) 100 - მდე ტრენინგი.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება გარდა ელექტრონულად განხორციელებული ვიზებისა უზრუნველყოფს სამსახურების მიერ შემუშავებული ყველა მემორანდუმის, ხელშეკრულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი, წერილების შეთანხმებას და მათ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას,

განყოფილება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვას სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოებში, სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

განყოფილების მიერ მომზადებულია სხვადასხვა ტიპის ბრძანებების და დადგენილებების პროექტები, იურიდიული დასკვნები.

იურიდიული განყოფილება კონსულტაციას უწევს მერიის დაქვემდებარებაში შემავალ ყველა შპს-სა და ა(ა)იპ-ის, სტრუქტურულ ერთეულებს, საჯარო მოსამსახურეებს და მერის წარმომადგენლებს. სისტემატიურად ეხმარება მოქალაქეებს ისეთი ტიპის საკითხებში, როგორიცაა: ქონებრივი დავა, განქორწინება, შვილად აყვანა, კერძო საკუთრების დარეგისტრირება, პირადი საბუთების მოწესრიგება და სხვა.

განყოფილება უზრუნველყოფს თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ მომსახურებას. განყოფილების სპეციფიკიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე ჩართულია ყველა სტრუქტურის ფუნქციური პრობლემების გადაჭრასა და მოგვარებაში.

საანგარიშო პერიოდში განყოფილებაში შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა შეადგენს 277, გასული კორესპონდენციის რაოდენობა-266, შიდა წერილი 838, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების რაოდენობა-116, სასამართლო პროცესების რაოდენობა კი-38, ვიზა დადებული დოკუმენტი-6575.

- **ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე“**

➢2020 წლის 12 მარტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში შედგა ჩეხური საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციის PEOPLE IN NEED პროექტის ,,დემოკრატიის გაძლიერება მედიაწიგნიერების ამაღლებით“ (ფასილიტატორები: მედეა თორია და ნანი მოსიძე) პრეზენტაცია. პროექტი დაფინანსებულია ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და USAID-ის მიერ. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი მედიის გაძლიერებას, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლას, ახალგაზრდებში მედიაწიგნიერების ამაღლებას დოკუმენტური ფილმებით და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 5 დოკუმენტური ფილმის ჩვენება და ვორკშოპების ჩატარება.
2020 წლის 20 დეკემბერს ხელი მოეწერა მემორანდუმს ჩეხური საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია PEOPLE IN NEED -სა და ა(ა)იპ ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების სასახლე“-ს შორის, რომლის თანახმად PIN გადასცა სასახლეს ფულად სახსრები. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებაა 12000 ლარი, რომელიც შემდეგნაირად გაიხარჯა: ფასილოტატორებისა და ბუღალტრის ჰონორარები (4800 ლარი), ფერადი A3 ფორმატის მრავალფუნქციური პრინტერი (4400 ლარი), საკანცელარიო ნივთები (1777 ლარი), პროექტის მონაწილეთა სიმბოლური დასააჩუქრებ (598 ლარი), პროექტის დახურვა (დაჯილდოება და ლანჩი - 425 ლარი). პროექტს ახორციელებს ჩეხური საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია PEOPLE IN NEED. დაფინანსებულია ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და USAID-ის მიერ და გრძელდება 2021 წლის მაისის ჩათვლით.2020 წლის დეკემბერში ონლაინ ჩატარდა ფასილიტატორებისათვის 5 დღიანი ტრენინგი. პროექტში ჩართულია 21 ახალგაზრდა.პროექტის ,,დემოკრატიის გაძლიერება მედიაწიგნიერების

ამაღლებით“ ფარგლებში ჩატარდა პროექტის პრეზენტაცია. დაგეგმილი ფილმების ,,ახალი ამბები“ , ,,რა გვაიძულებს დაწკაპუნებას“ , ,,გამო(მ) იწერე" ,,გენერალური გეგმა" , ,,პირველი არჩევანი" ჩვენება და ვორქშოპები. სასახლის ახალგაზრდა ჟურნალისტთა კლუბში, ,,მედიაწიგნიერების მუზეუმის“ შექმნის პირველი ნაბიჯები გადაიდგა. „მედიაწიგნიერების მუზეუმი'' იქმნება პროექტის ,,დემოკრატიის გაძლიერება მედიაწიგნიერების ამაღლებით“ ფარგლებში. 27 მაისს ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში პროექტის ,,დემოკრატიის გაძლიერება მედიაწიგნიერების ამაღლებით" დახურვის ცერემონია გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ჩეხური საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციის PEOPLE IN NEED მენეჯერი, კოორდინატორი, პროექტის მონაწილეები, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და სასახლის წარმომადგენლები. სულ 30 პიროვნება.

- დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის კვირეულთან დაკავშირებით, სასახლემ დღის ცენტრ ,,ნერგების'' ბენეფიციარებს უმასპინძლა, ღონისძიების ფარგლებში ბავშვებმა სხვადასხვა გასართობ აქტივობებში მიიღეს მონაწილეობა.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ორგანიზებით ინტელექტუალური შეჯიბრი გაიმართა, რომელიც საერთო სახალხო რეფერენდუმისა და დამოუკიდებლობის აღდგენის თემას მიეძღვნა. ინტელექტუალურ თამაშში საჯარო სკოლების 12 გუნდი მონაწილეობდა. გამარჯვება მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ ზუგდიდის №2 საჯარო სკოლის გუნდმა ,,7 მნათობი“ მოიპოვა. გამარჯვებულ გუნდს ფულადი ჯილდო და საჩუქრები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე კონსტანტინე კაკავამ და საკრებულოს წარმომადგენლებმა გადასცეს
- სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლმა "ყილოშტყებამი" (ახალკახათის თემი. ქორეოგრაფი გიორგი სურმავა) ღია გაკვეთილი ჩაატარა.
- სასახლის, ახალგაზრდული პროგრამების მართვისა და სტრატეგიული განვითარების განყოფილებამ, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა ჩაატარა, სადაც განყოფილების მიერ მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები წარმოადგინეს.
- არასამთავრობო ორგანიზაცია ''სენის'' ინიციატივით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის თანამონაწილეობით, კოკის ტყე-პარკში დაიგეგმა დასუფთავების აქცია, რომელიც მიეძღვნა დედამიწის საერთაშორისო დღეს. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ:სამეგრელოს სკაუტური მოძრაობის წევრები, ახალაბასთუმნის, რუხის, კოკის, ახალკახათის საჯარო სკოლები და პრინც მიურატის ფრანგულ-ქართული კოლეჯი. ეროვნული სატყეო სამსახურის მხარდაჭერით, აქციის მონაწილეებს გადაეცათ ნერგები, რომელიც დაირგა კოკის ტყე-პარკში, ხურჩის საბავშვო ბაღსა და ბიბლიოთეკის ეზოში.
- სასახლის ბიბლიოთეკაში, წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დისკუსია ''ჩემი საყვარელი წიგნი'' ჩაატარა. წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სასახლის ინტელექტკლუბმა ''რა ?სად? როდის?'', (ხელმძღვანელი: ჯენეტ ქვარცხავა), ტურნირი ''მოაზროვნე'' ჩაატარა, სადაც V საჯარო სკოლის გუნდი სასახლის ინტელექტკლუბს დაუპირისპირდა.
- სამეგრელო ზემო სვანეთის ქორეოგრაფიული კავშირის ორგანიზებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრში, რეზო ბულიას სახელობის ხელოვნების IV ფესტივალი " ქართული ცეკვა სული ერისა" ჩატარდა. ფესტივალში მონაწილეობდნენ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლები "თუთარჩელა" (ხელმძღვანელი: მალხაზ გვარამია) და "ყილოშტყებამი" (ხელმძღვანელი: გიორგი სურმავა) ანსამბლებს სიმბოლურად დიპლომები გადაეცათ.
- ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, კელი დეგნანი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ზუგდიდის ამერიკულ კუთხეს სტუმრობდა. ელჩმა, განახლებული სივრცის დათვალიერების შემდეგ, ბოტანიკურ ბაღში გადაინაცვლა და

ამერიკული კუთხის მიერ ორგანიზებულ კონცერტს დაესწრო, რომელშიც ადგილობრივ მომღერლებთან ერთად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ.

- სასახლის მუსიკალურ-თეატრალური სტუდიის ანსამბლ "გინცი-ს" სოლისტი ანანო ჯაბუა მონაწილეობდა საერთაშორისო ხელოვნების ონლაინ კონკურსში ,,GOLDEN TIME TALENT ", ნომინაციაში საესტრადო ვოკალი. (სტუდიის ხელმძღვანელი და კონსულტანტი ნინო მამფორია, პედაგოგები: ნათია ზარანდია და ეკა კერესელიძე) კონკურსი სხვადასხვა ქვეყნიდან კომპეტენტურმა ჟიურიმ შეაფასა და ანანო პირველი ადგილის მფლობელი გახდა. მადლობის წერილი ოფიციალურად გამოეგზავნა ქალბატონ ნინო მამფორიას.
- სასახლის მუსიკალურმა ბენდმა "ზუგდიდი" და სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ანსამბლმა "ეზი" ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გამართა.
- სასახლეში უმცროსკლასელთა ინტელექტკლუბმა (ხელმძღვანელი: ჯენეტ ქვარცხავა) ჩაატარა ინტელექტუალური თამაში ,,ყველაზე ჭკვიანი“.’ყველაზე ჭკვიანის’’ ტიტული, მერაბ კოსტავას სახელობის II საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლე რეზი კიკალიამ მოიპოვა. მონაწილეებს კი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისგან სამახსოვროდ წიგნები გადაეცა. ასევე ცატარდა ინტელექტუალური თამაში ტურნირი ,,მოაზროვნე’’ ჩაატარა. ‘’მოაზროვნის’’ სტატუსი მერაბ კოსტავას სახელობის II საჯარო სკოლის, VII კლასის მოსწავლემ გიგი მოლაშხიამ მოიპოვა.
- ბოტანიკურ ბაღში მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ახალგაზრდა ჟურნალისტთა კლუბი ‘’სარკმელი’’-ს რეგიონალური ლიტერატურული კონკურსი ‘’PEN მარათონი“ გაიმართა.მარათონში მონაწილეობდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მცხოვრები 40-მდე ახალგაზრდა. სასახლის ახალგაზრდა ჟურნალისტთა კლუბი ‘’სარკმელი’’-ს პროექტი ‘’ ახალი სახეები’’ გაიმართა. მსმენელის წინაშე საკუთარი შემოქმედებით წარსდგა ქ. ზუგდიდის X საჯარო სკოლის, XII კლასის მოსწავლე მარიამ კუტალია. პროექტი მიზნად ისახავს, ნიჭიერ, შემოქმედებით ბავშვებთან შეხვედრას.
- საქართველოს ცეკვისა და სპორტული ცეკვის პროფესიონალთა ეროვნული საბჭოს საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. კონკურსში მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ანსამბლი ‘’ეზი’’-ს (ხელმძღვანელები: გოჩა კაპანაძე, მაია შამათავა) აღსაზრდელები მონაწილეობდნენ. ‘’ეზიმ’’ ჩემპიონატში წარმატებულად იასპარეზა.
- ბოტანიკურ ბაღში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ერთობლივი პროექტის ‘’იცოდე შენი ქვეყნის ისტორია’’ ფინალი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების მოსწავლეებისგან შექმნილი გუნდები. გამარჯვებული გუნდის წევრები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ ფასიანი საჩუქრებითა და დიპლომებით დააჯილდოვა. მონაწილეებს გადაეცათ სიგელები.
- სასახლეში Fox News-ს პოლიტიკის პროდიუსერი ნანა საჯაია ჟურნალისტთა კლუბის ‘’სარკმელი’’ ახალგაზრდა ჟურნალისტებსა და ახალგაზრდული სათათბიროს წევრებს შეხვდა. ამერიკაში მოღვაწე ჩვენმა თანაქალაქელმა, თანამედროვე მსოფლიოში ჟურნალისტიკის გამოწვევებსა და საკუთარ გამოცდილებაზე ისაუბრა.
- სასახლის დრამატული სტუდია "შთამომავლების" სპექტაკლის ,,დიდრო“ (რეჟისორი ნონა ტოტოჩავა) პრემიერა გაიმართა. ‘’MegoBar’’-ში მიერ, მხატვრული კითხვის კონკურსი: ‘’ ლექსო, ამოგთქომ, ოხერო’’ გაიმართა. ღონისძიების დასასრულს კონკურსის მონაწილეებს, სამახსოვრო დიპლომები გადაეცათ
- სასახლის ‘’საყმაწვილო თეატრის’’(პედაგოგი: მერაბ კაკალია) პატარა მსახიობების მიერ, საბავშვო ზღაპარის მიხედვით სპექტაკლი ‘’სამი გოჭი’’ გაიმართა.

- სასახლეში, ქართული ხალხური სიმღერებისა და საკრავების შემსწავლელი სტუდიის ხალხურ საკრავთა ორკესტრის ,,მაფშალია'' და ფოლკლორული გუნდის ''მახარია '' (ხელმძღვანელები: ქეთევან კილასონია, ნონა მაქაცარია), საანგარიშო კონცერტი გაიმართა.
- ა(ა)იპ ხელოვნების და კულტურის ცენტრის ინიციატივითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მხარდაჭერით ფესტივალი ,,ქARTული'' დაფუძნდა.ფესტივალის მიზანია შემოქმედებითი ჯგუფების წარმოჩენა და მათი პოპულარიზაცია. ფესტივალს ,,ქARTული'', რომელსაც საფუძველი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ჩაეყარა, მიენიჭება ქალბატონ ნინელი ჭითანავას სახელი და ყოველწრიულად ჩატარდება.
- სასახლეში გაიმართა სასახლის მხატვრული კოლექტივების წლის შემაჯამებელი, საანგარიშო კონცერტი.
- სასახლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიირეს ანაკლიის აკვაპარკის საზაფხულო სეზონის გახსნაზე.
- სასახლის თეატრალურ-მუსიკალური სტუდია "რიბირაბო" საანგარიშო კონცერტი ჩაატარა.
- სასახლეში ახალგაზრდული სათათბიროს წევრებმა, სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტების პრეზენტაციები წარადგინეს.
- გუდაურში, ჩეხური საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია PEOPLE IN NEED-ის ორგანიზებით, ,,დემოკრატიის გაძლიერება მედიაწიგნიერების ამაღლებით" პროექტის მეორე ეტაპი გაიმართა. შეხვედრა მიზნად ისახავდა ახალგაზრდებისა და მედიის წარმომადგენლების მიერ საერთო ინიციატივების განხორციელებას. ტრენინგ-სემინარში მონაწილეობდნენ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის , ახალგაზრდა ჟურნალისტთა კლუბის ,,სარკმელი" წევრები.
- ბათუმში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ '' მტრედების'' ხელმძღვანელი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ ''ჩელას''-ს ქორეოგრაფს გურგენ სამუშიას, საერთაშორისო ფესტივალში ''არტ-ფოლკ ფესტ'' მონაწილეობისა და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისთვის ლაურეატის წოდება მიენიჭა. ქორეოგრაფი, ამავე ფესტივალში, კულტურისა და ხელოვნების განვითარების კავშირისგან, ''ხელოვნების ალამდარის ორდენით'' დაჯილდოვდა.
- სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი „თუთარჩელა", ქ. ბათუმში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში „არტ-ფოლკ ფესტ" მიიღო მონაწილეობა. ანსამბლს, ფესტივალში მონაწილეობისა და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისთვის ლაურეატის წოდება მიენიჭა.
- სასახლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიირეს გადაცემაში "პრაიმ შოუ".
- სასახლის, სტუდია "რიბირაბოს" აღსაზრდელი ქეთა ჯიქიას საერთაშორისო ონლაინ კონკურსის ,,GOLDEN TIME" პირველი ადგილის მფლობელი გახდა.
- სასახლის, სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდია "ეზი" მონაწილეობდა "Argo Dance Festival 2021" ფესტივალში.

სასახლის ახალგაზრდული პროგრამების მართვისა და სტრტეგიული განვითარების განყოფილებისა და ახალგაზრდული სათათბიროს ერთობლივი ღონისძიებები:

ზუგდიდის მუნიცუპალიტეტის მოსწვლე-ახალგაზრდობის სასახლეში ახალგაზრდული პროგრამების მართვის და სტრატეგიული განვითარების განყოფილება რამდენიმე თვეა რაც არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიური პერიოდი დაემთხვა განყოფილების ჩამოყალიბებას ამას ხელი არ შეუშლია საქმიანობაში.

საქმიანობა:

- განყოფილების ინიციატივით გაფორმდა მემორანდუმი სამ პარტნიორ ორგანზიაციასთან (“წარმატების გზა”, “დასაქმების და გამაზადების ცენტრი”, “ბიზნეს სკოლა”), წლის ბოლომდე იგეგმება საქმიანი და თანამშრომლობაზე დამყარებული მემორანდუმის გაფორმება რამდენიმე ორგანიზაციასთან;
- განყოფილება პარტნიორ ორგანზიაციებთან ერთად ახორციელებს რამდენიმე პროექტს. დასაქმების და გადამზადების ცენტრთან თანამშრომლბით ხორციელდება პროექტი “ახალგაზრდული სათათბირო”, რომელიც რეგიონის მასშტაბით პირველი პროექტია, რომლის მიზანიც არის ახალგაზრდების განვითარება, გაძლიერება და მათი მონაწილეობის გაზრდა გადაწყევტილების მიღების პროცესში. ახალგაზრდული სათათბირო დაკომპლექტდა 12 ახალგაზრდისგან, რომლებიც წარმოადგენენ განსხვავებულ 6 კომიტეტს, ხოლო კომიტეტებში მათ შემოიერთეს თანამოაზრეები. სათათბირო დღეს 70-მდე ახალგაზრდას აერთიანებს, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება;
- ბიზნეს სკოლასთან თანამშრომლობითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ბიბლიოთეკების მართვის ცენრტთან პარტნიორობით განყოფილება ახორციელებს პროექტს “მოხალისეები პროგრესისთვის”, რომლის მიზანიც არის მოხალისეობის კულტურის გაძლიერება და სოფლად არსებული ბიბლიოთეკების გააქტიურება-გაძლიერება მოხალისეების დახმარებით.
- წარმატების გზასთან თანამშრომლობა პანდემიის პერიოდში ონლაინ სივრცით შემოიფარგლა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზდრობის სასახლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მაკა სამუშის მიწვეული იყო როგორც წარმატებული ადამაინი და ის ახალგაზრდებს მისი წარმატების ისტორიის შესახებ ესაუბრა.

გახორციელებული აქტივობები:

1. 20 aprili - 31 მაისი, 2021 - ახალგაზრდული სათათბიროს და მოხალისეთა კლუბის შესარჩევი კონკურსი - განყოფილების მიერ შემუშავდა ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა, რომლის დახმარებითაც გასაუბრების ეტაპი 60-ზე მეტმა ახალგაზრდამ გიარა. 60 ახალგარზდიდან შეირჩა 12 ახალგაზრდა ახალგაზრდულ სათათბიროში, ხოლო 15 ახალგაზრდა მოხალისეთა კლუბის პროექტში;
2. 16 ივნისი, 2021 - განყოფილების ინიციატივით ჟურნალისტიკით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის ჩატარდა შეხვედრა Fox News-ის პოლიტიკის პროდიუსერ ნანა საჯაიასთან. შეხვედრაზე ნანამ ახალგაზრდებს გამოცდილება გაუზიარა და უპასხუა მათთვის საინტერესო შეკითხვებს. შეხვედრას 25 ახალგაზრდა დაესწრო.
3. 25 ივნისი, 2021 -მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში პროექტის Compass4all-ის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: ''კონფლიქტის მართვა და მშვიდობის მშენებლობა ''(ტრენერები: ანა ცირდავა და ანანო გვილია). ტრენინგი მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლებას მშვიდობის მშენებლობის პროცესში და კონფლიქტის მოგვარების არაძალადობრივი გზების ხელშეწყობას. აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობდნენ, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სათათბიროსა და ათინათის ახალგაზრდული ცენტრის წევრები.
4. 28 ივნისი, 2021 - მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ახალგაზრდული სათათბირო დღეს ოფიციალურად პირველად შეიკრიბა.შერჩეული 12 მონაწილე პროექტის პრეზენტაციას გაეცნო. მათ მიიღეს დეტალური ინფორმაცია ახალგარდული სათათბიროს სტრუქტურის, მუშაობისა და სამომავლო გეგმების შესახებ. შეხვედრის ბოლოს მონაწილეებთან ერთად შეირჩა 6 სფერო,

რომლის ფარლებშიც შეიქმნება სამუშაო ჯგუფები და დაიგეგმება განსახორციელებელი პროექტები.

5. 6 ივლისი, 2021 - მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ახალგაზრდული სათათბიროს წევრებმა, სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტების პრეზენტაციები წარადგინეს. შეხვედრა მიზნად ისახავდა, ახალგაზრდული სათათბიროს წევრებს შეესწავლათ პროექტების განხორციელების პროცესების დაგეგმვა, ურთიერთთანამშრომლობა, შედეგების მართვა და სხვა საჭირო უნარ-ჩვევები. პრეზენტაციის დასასრულს ახალგაზრდებმა, პრეზენტატორებს შეკითხვები დაუსვეს, ერთმანეთში იმსჯელეს და დასახული გეგმების განხორციელების მექანიზმები შეიმუშავეს.
6. 8 ივლისი, 2021 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოსწავლე ახალგაზრდული სასახლის ახალგაზრდული პროგრამების მართვისა და სტატეგიული განვითარების განყოფილების შუამდგომლობით, საერთაშორისო ბიზნეს სკოლის პროექტის ''მოხალისეები პროგრესისთვის ''პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის მიზანია, მოხალისეთა გადამზადება და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სასოფლო ბიბლიოთეკების ახალგაზრდულ სივრცეებად გარდაქმნა.
7. 12 ივლისი, 2021 - მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის, ახალგაზრდული სათათბიროს წევრებთან მორიგი საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა ჩატარდა. ამჯერად სათათბიროს წევრებმა, მოისმინეს სემინარი პროექტის წერის შესახებ. შეხვედრები მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს მონაწილეებში იმ საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომელიც აუცილებელია ეფექტური პროექტების წერისათვის.
8. 27 ივლისი, 2021 - მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში , ორგანიზაცია World Vision საქართველოსა და Gesellschaft fuer Europabildung (GEB) წარმომადგენლებმა, ახალგაზრდული პროგრამების მართვისა და სტრატეგიული განვითარების განყოფილებისა და ახალგაზრდული სათათბიროს წევრებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე, სტუმრებმა ახალგაზრდებთან ერთად, იმსჯელეს სამომავლო პროექტებსა და გეგმებზე, რომელიც ახალგაზრდების განვითარებას და სხვადასხვა პროექტში აქტიურად ჩართულობას უკავშირდება.
9. 2 აგვისტო, 2021 - მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ახალგაზრდული სათათბიროს წევრები, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსს, ნინო სიჭინავას შეხვდნენ. შეხვედრაზე, სათათბიროს წევრებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილ აქტივობებსა და ღონისძიებებზე და ერთობლივად შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა, რომელსაც ურთიერთთანამშრომლობის გზით სამომავლოდ განახორციელებენ.
10. 3 აგვისტო, 2021 - ახალგაზრდული სათათბიროს ჯანსაღი ცხოვრების წესის კომიტეტის თავმჯდომარე ილარიონ ფიფია, ა(ა).ი.პ. საფეხბურთო კლუბ ''ოდიში-1919 ''დირექტორს შოთა ფარცვანიას შეხვდა. შეხვედრაზე, წარმომადგენლებმა იდეები გაცვალეს და რამდენიმე სპორტული აქტივობა დაგეგმეს, რომლის განხორციელებას ახალგაზრდული სათათბირო უახლოეს მომავალში დაიწყებს.
11. 10 აგვისტო, 2021 -ახალგაზრდული სათათბიროს ეკოლოგიური განყოფილების წარმომადგენლები, გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს იურისტს დალი სულაშვილს შეხვდნენ. შეხვედრაზე ორივე მხარემ, განიხილა და იმსჯელა სათათბიროს ეკოლოგიური მიმართულების წევრებთან ერთად სამომავლო გეგმებსა და აქტიურ ჩართულობაზე.
12. 23 აგვისტო, 2021 - უგდიდის ბოტანიკურ ბაღში მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ახალგაზრდული სათათბიროს ''ჯანსაღი ცხოვრების წესის ''კომიტეტის ხელმძღვანელმა ილარიონ ფიფიამ და რესტორან ''აქ დადიანის ''მენეჯერმა იაგო ფასანძემ ფოტოკონკურსი ''ჯანსაღი ცხოვრება ერთ კადრში ''გამარჯვებული დააჯილდოვა. კონკურსის საუკეთესო

ნამუშევარი წინასწარ შერჩეულმა ჟიურიმ გამოავლინა, სადაც გამარჯვებული თამარ ყალიჩავა დასახელდა, რომელსაც ''აქ დადიანის ''ადმინისტრაციამ სამახსოვრო პრიზი გადასცა.

13. 30 აგვისტო, 2021 -ახალგაზრდული სათათბიროს ,,არაფორმალური განათლების" კომიტეტის ორგანიზებით ონლაინ რეჟიმში ჩატარდა ,,სპიკერების კონკურსი" სადაც მონაწილეობას იღებდა 10 სპიკერი, სპიკერებმა თავიანთი სურვილით აარჩიეს საპრეზენტაციო თემა საზოგადოებაში აქტუალურ და საჭირო თემებზე, მონაწილეები შეაფასა სპეციალურად მოწვეულმა ჟიურიმ, გამოვლინდა 3 გამარჯვებული;
14. 10 სექტემბერი, 2021. - ახალგაზრდული სათათბიროს წევრები პლატფორმა ზუმის მეშვეობით სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს სამმართველოს კოორდინატორს ლევან პაპავას შეხვდნენ. დღევანდელი შეხვედრის მიზანი იყო ახალგაზრდების,როგორც მომავალმა ამომრჩევლების ცნობიერების ამაღლება არჩევნების შესახებ. შეხვედრაზე ახალგაზრდებმა მიირეს ინფორმაცია არჩევნების მნიშვნელობაზე, გაეცნენ ტერმინოლოგიას, პროცედურებს და სხვა. შეხვედრა საინტერესო და ინფორმაციული აღმოჩნა ახალგაზრდებისთვის.
15. 13 სექტემბერი, 2021 - ახალგაზრდული სათათბიროს არაფორმალური განათლების კომიტეტის მიერ ჩატარებული " სპიკერების კონკურსის" დაჯილდოება გაიმართა. ღონისძიებაზე სპეციალურმა ჟიურიმ გამარჯვებულები გამოავლინა. ადგილები ასე გადანაწილდა: I ადგილი: თათა აქუბარდია, II ადგილი: ნინო ჯაკონიაIII ადგილი: ანანო ბენდელიანი.
16. 14 სექტემბერი, 2021 - ახალგაზრდული სათათბიროს განათლების კომიტეტმა ''ესეების კონკურსის ''დაჯილოდება ჩაატარა. ესეების კონკურსის გამარჯვებულები რეპეტიტორმა და პედაგოგმა ფატი წირღვავამ გამოავლინა.
17. 19-21 სექტმბერი, 2021 - საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision საქართველო მხარს უჭერს რეგიონებშიახალგაზრდული საბჭოების განვითარებას და გაძიერებას. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სათათბიროს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგების კურსში, სადაც მათ გაიუმჯობესეს უნარები და აიმაღლეს ცოდნა.
18. 21 სექტემბერი, 2021 - ახალგაზრდული სათათბიროს წევრებმა შეხვედრა გამართეს სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს, სტუ-ს ასოცირებულ პროფესორ და თსუ-ს მოწვეულ ლექტორთან ბატონ დავით მახვილაძესთან . შეხვედრისას სათათბიროს წევრებმა ისაუბრეს სათათბიროს საქმიანობის და კომიტეტების მიმდინარე პროექტების შესახებ . ბატონ დავითს გააცნეს დეტალურად სათათბიროს მიზნები და დაგეგმილი ღონისძიებები . მიიღეს უკუკავშირიც , რომელსაც აუცილებლად გაითვალისწინებენ ახალგაზრდები და გამოიყენებენ სამომავლოდ .
19. 22 სექტემბერი, 2021 - ახალგაზრდული სათათბიროს წევრებისთვის საინტერესო შეხვედრა გაიმართა!შეხვედრას უძღვებოდა კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი "სოხუმის" წარმომადგენელი ანა ანიკო თოდუა კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი "სოხუმი" ახორციელებს ევროპაში წარმატებული მოდელის "ონლაინ ამომრჩევლის რჩევის "აპლიკაციის დანერგვას საქართველოში. ეს აპლიკაცია გულისხმობს ონლაინ პლატფორმის შექმნას, სადაც მოქალაქეებს, აპლიკაციაში ასახულ კითხვებზე პასუხების გაცემის გზით შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ იგივე კითხვაზე საარჩევნო სუბიექტების პოზიციას და შეხედულებას.
20. 24 სექტემბერი, 2021 - ახალგაზრდული სათათბიროს წევრებმა ზუმის პლატფორმის მეშვეობით სამუშაო შეხვედრა გამართეს.შეხვედრაზე სათათბიროს სხვადასხვა კომიტეტების წევრებმა ერთმანეთს გაუზიარეს მათ მიერ დაგეგმილი ღონისძიებები და ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე.
21. 25 სექტემბერი, 2021 - ახალგაზრდული სათათბიროს პროფესიული განვითარების კომიტეტი ბატონ ალექსანდრე თოლორაიას შეხვდა. პროფესიული განვითარების კომიტეტის წევრებმა ბატონ ალექსანდრეს გააცნეს კომიტეტის მიზნები და სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებები. მიიღეს უკუკავშირი რომელსაც ახალგაზრდები აუცილებლად გაითვალისწინებენ.

22. 28 სექტმებერი, 2021 - გაიმართა შეხვედრა ახალგაზრდული სათათბიროს ,,არაფორმალური განათლების" კომიტეტის წევრებთან, სადაც კომიტეტის წევრებმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს და დაგეგმეს ძალინ საინტერესო და შედეგის მომცემი აქტივობები. ახალგაზრდები ბევრ აქტივობებში აქტიურად არიან ჩართულები და რაც მთავარია არიან ძალიან მოტივირებულები.
23. 8 ოქტომბერი, 2021 - ახალგაზრდულმა სათათბირომ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან ერთად გამართა ღია კარის დღე, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო დეტალური ინფორმაცია მიეღო ახალგაზრდული სათათბიროს მიერ განხორციელებული თუ მიმდინარე პროექტების შესახებ. ამავე დღეს გაიმართა ფოტოკონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება, მონაწილეები დასაჩუქრდნენ ფასიანი პრიზებითა და სერტიფიკატებით.

- **ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის განვთარების ცენტრი“**

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ფუნქცია მრავალმხრივია რომლის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე კულტურული სივრცის შექმნა ქართული ფოლკლორის, თეატრალური ხელოვნების, ადგილობრივი მუზეუმების, ზუგდიდელ მხატვართა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა, ხელშეწყობა და განვითარება ღვაწლმოსილი ხელოვანი ადამიანების წარმოჩენა -პოპულარიზაცია.

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრს დაგეგმილი ქონდა ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები. მსოფლიოში განვითარებული პანდემიის გამო, სამწუხაროდ სრულად ვერ მოხერხდა მათი განხორციელება.

წარმოგიდგენთ იმ მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებების ჩამონათვალს რომელიც 2021 წლის იანვრიდან დღემდე განხორცილდა:

- ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი სლოგანით ,,მადლობა მედიკოსებს."
- ფესტივალ ,,Art-გენი 2021“ ფოლკლორული ანსამბლი ,,ოდოია" ერთ საათიანი პროგრამით მონაწილეობდა.
- ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმში ფოლკლორის ცენტრის ინიციატივით და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ფესტივალ ,,ხალხური საღამოების" ფარგლებში ფოლკლორული ანსამბლების, ,,ოდოიასა" და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქართული ტრადიციული სიმღერისა და გალობის ანსამბლ ,,ნადურის" ერთობლივი კონცერტი.
- ფოლკლორის ცენტრის ინიციატივითა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ფესტივალ ,,ხალხური საღამოების" ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ფოლკლორული ანსამბლ ,,ოდოია-ს" და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქართული ტრადიციული სიმღერისა და გალობის ანსამბლ,,ნადური"-ს მორიგი ერთობლივი კონცერტი ზუგდიდის მუნციპალიტეტის ჩხორიის ადმინსტრაციულ ერთეულში ეთნო-სოფელ ,,სისატურაში"

- გამოიცა ფოლკლორულ ანსამბლ ,,ოდოია“-ს აუდიო-დისკი.

ჩატარდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიება: ჩხორიის სამოყვარულო თეატრის სპექტაკლის ჩვენება, მუზეუმების განყოფილების მიერ განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიება, ზუგდიდელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა, გასვლითი და ადგილობრივი კონცერტები.

- **ზუგდიდის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი**

ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის ქსელი მოიცავს 31 ბიბლიოთეკას:
ცენტრალური ბილიოთეკა-1; საქალაქო ბიბლიოთეკა ფილიალი-3; სასოფლო ბიბლიოთეკა ფილიალი-27.
2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 600 000 ლარით. აგვისტოს თვეში ბიუჯეტი გაიზარდა 70 000 ლარით. დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 670 000 ლარს.
მკითხველთა რაოდენობა -4275. წიგნადი ფონდისა და ინფორმაციის გაცემა - 35295. დამსწრეთა რაოდენობა- 22134.
2021 წელს სულ ქსელში შემოტანილ იქნა - 685 ცალი ახალი წიგნი, თანხით- 5123.38 ლარის. აქედან: საჩუქრის სახით 245 ცალი ახალი ლიტერატურა, თანხით 1477,20 ლარის. შესყიდულ იქნა 440 ცალი, თანხით 3646,18 ლარის.

2021 წელს ბიბლიოთეკების მართვის ცენტრმა მნიშვნელოვანი ახალი პროექტები განახორციელა:

დააფუძნა წიგნის მოყვარული ახალგაზრდების საინიციატივო **ჯგუფი B 612**, რომლის სლოგანია, **,,ემეგობრე წიგნების პლანეტას.“**
B612 -ის მონაწილეობით განხორციელდა მრავალი ღონისძიება:
1. ,,ვეფხისტყაოსნის“ საჯაროდ კითხვის დღე გახდა B612-ის დაფუძნებისა და პირველი აქტივობის დღე ცაიშში, იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმში, სადაც პირველად ფრანგულ ენაზე ითარგმნა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა.
ახალგაზრდებმა ,,ვეფხისტყაოსანი“ წაიკითხეს ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, თურქულ, უკრაინულ, ესპანურ და რუსულ ენებზე.

2. **პირველი ერთდღიანი ბარბექიუ ტური** წიგნის მკითხველთათვის ჩხორიაში, XIX საუკუნის ეთნოგრაფიულ ნამოსახლარში მოეწყო.

3. საინიციატივო ჯგუფ B612-ის პროექტი - **საოჯახო ბიბლიოთეკის გიდი,** საოჯახო ბიბლიოთეკების წარმოჩენის მიზნით:
გიდი თეკლე ჩარკვიანი სტუმრად ინჟინერ თამაზ ჩარკვიანის საოჯახო ბიბლიოთეკაში (ვიდეო სიუჟეტი)
4. **დარჩი ღამე ბიბლიოთეკაში** - ორდღიანი თაფლის ტური თაფლივით ტკბილ წიგნებთან ერთად. დილიდანვე ტურის მონაწილეები წიგნების საკითხავად განაწილდნენ ცაიშის სასოფლო ბიბლიოთეკის ეზოში.
ცხელი ზაფხულის ამ ორი დღის მანძილზე იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმისა და სასოფლო ბიბლიოთეკის ეზო იყო ახალგაზრდული სივრცე კარვებით, გირლიანდებით, კოცონითა და აქტივობებით.

საღამოს გაიმართა **გიორგი კეკელიძის საჯარო ლექცია - ,,წიგნი და წიგნიერება“** - ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფ B612-ის წევრებისათვის. ახალგაზრდების წინაშე **საინტერესო მოხსენებით ასევე წარსდგა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე - მირიან ხოსიტაშვილი.**

ახალგაზრდებმა ეროვნული ბიბლიოთეკისაგან საჩუქრად მიიღეს წიგნები.

მთელი ღამე დაიტვირთა საინტერესო აქტივობებით - დებატები აქტუალურ თემებზე, დისკუსია ძალადობასა და ქალთა უფლებებზე, საუბარი საყვარელ წიგნებზე, შეხვედრა ახალგაზრდა პოეტებთან.

ასევე მოეწყო თაფლისა და სიმინდის ფართი, თაფლის სანთლის დამზადების მასტერკლასი. ტურის მონაწილეები აისს წიგნებით ხელში შეხვდნენ.

ღონიძიების მხარდამჭერი იყო ავეჯის კომპანია ,,მარგი დიზაინი“

განათლებისა და წიგნიერების ყველაზე გამორჩეული გამავრცელებლის, ქომაგის [გიორგი კეკელიძე • Giorgi Kekelidze](#) შეფასება ჩვენი საოცარი ახალგაზრდებისა

,,თქვენით და თქვენგან წიგნიერება იზეიმებს ქალაქსა და ქვეყანაში.

B612 ❤️“

5. ფილმების ჩვენებები და განხილვები ჩვენების შემდეგ;

ეს მოკლე ჩამონათვალია იმ საქმიანობის რასაც აპირებენ ახალგაზრდები ბიბლიოთეკების მართვის ცენტრთან თანამშრომლობით.

6. წიგნის მოყვარული ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფის ახალი ონლაინ პროექტი - B612 გირჩევთ.

1. თიკო ნარმანიას რჩევები ჯონ მაქსველ კუტზეეს წიგნზე „მაიკლ კეის ცხოვრება და დროება.“
2. ნინუცა ზარანდიას რჩევები ამერიკელი მწერლის შერონ დრეიპერის რეალისტურ წიგნზე ,,გონების მიღმა."

7. წიგნების ონლაინ პრეზენტაციები:

ისტორიის დოქტორი დავით ჭითანავა საუბრობს ორ ახალ წიგნზე: დავით ჭითანავა, ბეჟან ხორავა, ქეთევან ციმინტია, იოსებ შენგელია - სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა.

8. დაიწყო მნიშვნელოვანი პროექტი ,,საზღვაო ბიბლიოთეკა გემზე“ - განმუხურში, სანაპიროზე გამორიყულ გემზე საზღვაო ბიბლიოთეკის მოწყობის პროექტისათვის მხარდამჭერების მოძიების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები:

პროექტს აქტიურად დაუჭირა მხარი პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ, ჩამოვიდა განმუხურში, სატელევიზიო გადაცემაში ისაუბრა ამ პროექტის მნიშვნელობაზე და ბიზნესმენებს მოუწოდა მხარდაჭერისკენ.

ასევე, საზღვაო ბიბლიოთეკას მიეძღვნა სიუჟეტი რუსთავი-2-ის გადაცემაში „დილა მშვიდობისა საქართველო“ [22 სექტემბერი, 11:31-ზე](#). ·

დაწყებულია გემბანის დამუშავებისა და შეღებვის სამუშაოები.

9. ლიტერატურული კონკურსი -,,საზაფხულო განწყობის რომანი“ ზუგდიდის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრისგან.

კონკურსში მონაწილეობენ 15- დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე და მისი მოცულობა შეადგენდეს -100 დან 200 გვერდს.

ნამუშევრების მიღების ბოლო ვადა იყო 10 სექტემბერი.

საუკეთესო რომანის ავტორს კომპეტენტური ჟიური შეარჩევს.
ნოემბრის თვეში ჩატარდება კონკურსის მონაწილეები დაჯილდოება სამახსოვრო საჩუქრებით.
10. წლის განმავლობაში , ონლაინ რეჟიმში ტარდებოდა საუბრები რელიგიაზე **,,მოძღვრის საათი“** (კვირაში ერთხელ დეკანოზი ანდრია კემულარიას საუბარი სხვადსხვა თემებზე). ჩარადა 14 საუბარი.

11. **მხარეთმცოდნეობითი ლექციების სამი პროექტი (ვიდეო სიუჟეტები):**

ა. ლაშა ჯიქიას პროექტი - „ზუგდიდის არქეოლოგია". ჩატარდა 9 ლექცია;
ბ. . შაკო გორდულავას პროექტი „ფოლკლორული ფოლიანტების კვალდაკვალ"-4 სიუჟეტი;
გ. . იოსებ შენგელიას ეთნოგრაფიული ჩანაწერები-9 სიუჟეტი.
2021 წელს თბილისი გამოცხადდა წიგნის მსოფლიო ქალაქად, დაიგეგმა სხვადასხვა ღონისძიებები, რომლის ფრგლებშიც ზუგდიდში ჩატარდა შეხვედრები ავტორებთან.
პროექტს ,,თბილისი წიგნის მსოფლიო ქალაქი“ გამოეხმაურა ამერიკის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი და გამოაცხადა საზაფხულო კითხვის წამახალისებელი კონკურსი საქართველოს ბიბლიოთეკების, ამერიკული კუთხეების მკითხველებისათვის, რომელშიც ზუგდიდის მკითხველებმაც მიიღეს მონაწილეობა, მკითხველები დაჯილდოვდებიან ოქროსა და ვერცხლის სიგელებით, ზუგდიდელ მკითხველებს სიგელები გადაეცემათ ზუგდიდის ამერიულ კუთხეში.
ცენტრს გააჩნია მასობრივი ღონისძიებების დაწვრილებითი, კალენდარული ჩამონათვალი .

- **ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის "სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"**

საბავშვო ბაღების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად დაიგეგმება: სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამის (მეთოდოლოგის) დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, რათა შეიქმნას სტანდართების შესაბამისი გარემო მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის .

კვების ხარისხის ამაღლების მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად საბავშვო ბაღებში გახორციელდა სამზარეულოს და საწყობების სტანდარტის შესაბამისად მოწყობა.

62 საბავშვო ბაღებში ძალაში დარჩა მენიუ სამჯერადი კვებით, რაც ერთობლივად იქნა შედგელი და შეთანხმებული ააიპ ზუგდიდის ჯანდაცვის ცენტრთან. კვების თანხა განისაზღვრებოდა თვეში ერთ ბავშვზე 40 ლარით, ხოლო მ/წლის 1.იანვრიდან გაიზარდა 50 ლარამდე.

გავრცელებული კორონავირუსის *პანდემიის პირობებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საბავშვო ბაღებში, შეწყვეტილი სააღმზრდელო პროცესის პერიოდში გაიცა* აღსაზრდელებისთვის განკუთვნილი 489 856 ლარის ღირებულების კვების პროდუქტები.

ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად შესაფერისი გარემოს შექმნის მიზნით, განხორციელდა ს/ბაღების შენობების რეაბილიტაცია. 2020 წელს 20 საბავშვო ბაღს ჩაუტარდა 243,268.91 ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო მიმდინარე წელს:

- შესრულდა N16 საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაო - 102 052 ლარის ღირებულების;
- შესრულდა N14 საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაო -69 755 ლარის ღირებულების;

განხორციელდა ს/ბაღების აღჭურვა ტექნიკით, ინვენტარითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით: 2020 წელს შესყიდულია მანქანა-დანადგარები და ინვენტარი - 90 431 ლარის ღირებულების, ხოლო მიმდინარე წელს 169 804 ლარის ღირებულების.

- **ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის "სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი"**

ააიპ "სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს 2020 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენდა 947,0 ათ ლარს. აქედან, შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 678,4ათ.ლარი, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე 422 ათ.ლარი, ოფისის ხარჯებისთვის 50,0 ათ.ლარი, მივლინების ხარჯებზე 1,6. კვების ხარჯების(სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით) 11,5 ათ.ლარი, შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯებისათვის 73,9ათ.ლარი, საწვავის ხარჯებისათვის 8,4 ათ.ლარი. არაფინანსური აქტივის ზრდის ხარჯებისათვის- 21,8ათ. ლარი.

ხარჯები ცალკეული მუხლების მიხედვით ათვისებულია დაზუსტებული გეგმის შესაბამისად.

ასევე მოგახსენებთ, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრის მ/წლის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 950.0 ათ. ლარს , ხოლო ამავე პერიოდის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 980.0 ათ. ლარს. ხოლო შესაბამისი 9 თვის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 738.2 ათ. ლარს. აქედან შრომი ანაზღაურების ხარჯებისთვის მიმართულია 512.0 ათ. ლარი. მათ შორის დანამატის გასაცემად (დამსახურებული სპორტსმენებისთვის.) 5.0 ათ. ლარი, საქონელი და მომსახურეობების ხარჯებისთვის მიმართულია 215.7 ათ. ლარი. აქედან შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე უნდა დაიხარჯოს 46.3 ათ. ლარი. სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით მოვლინების ხარჯებისთვის 14.8 ათ.ლარი, ოფისის ხარჯებისთვის 34.7 ათ. ლარი, სპორტსმენთა სპორტულ ღონისძიებაზე მივლინებასთან დაკავშირებით კვების ხარჯებისთვის 18.0 ათ. ლარი. სამედიცინო ხარჯებისთვის 18,0 ათ. ლარი, სპორტული ინვენტარების შეძენასთან დაკავშირებით 9.0 ათ. ლარი, ტრანსპორტირების მომსახურებაზე და საწვავზე 15.0 ათ. ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე 78,8 ათ. ლარი.

9 თვეში ფაქტიურად დახარჯულია 652.3 ათ. ლარი ანუ 85.9 ათ. ლარით ნაკლები. აქედან შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 469.1 ათ. ლარი ანუ 42.9 ათ. ლარით ნაკლები. ხოლო საქონელ და მომსახურებაზე დაიხარჯა 183,2 ათ. ლარი, გეგმაზე 32,5 ათ. ლარით ნაკლები. აქედან ოფისის ხარჯებისთვის დახარჯულია 24.8 ათ. ლარი, რბილი ინვენტარი, უნიფორმა და პირადი ჰიგიენის მოვლა შენახვის ხარჯებისთვის 4.9 ათ. ლარი, ტრანსპორტის მომსახურება და საწვავის ხარჯებისათვის 15.4 ათ. ლარი, და სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯებისთვის 76.9 ათ. ლარი.

საბიუჯეტო სახსრების აუთვისებლობა გამოწვეულია შექმნილი სიტუაციის შედეგად, პანდემიის გამო. მ/წლის სპორტული ღონისძიებების კალენდარული გეგმის შესაბამისად ღონისძიებების ჩაუტარებლობით და მასთან დაკავსირებული სხვადასხვა შეზღუდვებისთვის.

აქედან გამომდინარე , მიუხედავად შეზღუდვებისა მ/ წლის 9 თვეში , ცენტრის სპორტულ სკოლებში მოსწავლე სპორტსმენებმა ევროპის ჩემპიონატში მიღწეული წარმატების შედეგად მიაღწიე მნიშვნელოვან შედეგებს და დაიკავეს პირველი, მეორე და მესამე სასპორტო ადგილები შემდეგ სახეობაში: ძალოსნობა, კრივი, კარატე დო, სამბო.

- **ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-მა 2020 წლის ნოემბერ-დეკემბერში განახორციელა სოფ. ჭითაწყარში მდებარე საფეხბურთო მოედანზე მთელი რიგი სამუშაოები, ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, კერძოდ, მერიის თანადგომით მოხდა აღნიშნული სტადიონის შემოღობვა, კლუბმა საკუთარი ძალებით მოაწესრიგა სტადიონზე არსებული შენობა-ნაგებობა და მიმდებარე ტერიტორია, კერძოდ დამონტაჟდა სკამები (მაყურებლების, სათადარიგო ფეხბურთელების და მწვრთნელების), გარე-განათება, ასევე საფეხბურთო მოედნის ირგვლივ განთავსდა სხვადასხვა ორგანიზაციების სარეკლამო ბანერები, საფეხბურთო კარებს უკან დამონტაჟდა ბურთის დამცავი ბადეები. სტადიონზე გაყვანილ იქნა სანიაღვრე არხები.

2020 წელს კლუბმა გაიარა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სკოლების კატეგორიზაცია და კლუბს მიენიჭა **III** კატეგორია. სკოლებისა და აკადემიის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ დაფინანსდა, ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ 15 500 (თხუთმეტი ათას ხუთასი) ლარით, აღნიშნული თანხით მიმდინარე წლის 30 აგვისტოს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე). მიმდინარე წლის 23 სექტემბერს დადებული ხელშეკრულება დასრულების ეტაპზეა და კლუბის საფეხბურთო სკოლის მოზარდებს გადაეცემათ სრული ეკიპირება და სათამაშო ფორმები.

2020 წლის 14 დეკემბერს კლუბმა აიღო 2021 წლის ეროვნული „ბ“ ლიცენზია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლიცენზირების პროცესში მონაწილე ლიგა 4-ის 16 გუნდიდან ეროვნული ლიცენზია მხოლოდ ხუთ კლუბზე გაიცა.

მოგეხსენებათ, საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ასპარეზობს ეროვნულ ლიგა 4 -ში, 2021 წლის 31 მარტიდან 29 ივნისის ჩათვლით საფეხბურთო კლუბი ოდიში 1919“-ის ძირითადმა გუნდმა ჩაატარა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ლიგა 4-ის 14 ტური, აქედან ჩვენს ანგარიშზეა 9 - მოგება, 2 - ფრე და 3 - წაგება, დაგროვილი 29 ქულით კლუბი სატურნირო ცხრილში იკავებდა 3-ე ადგილს, თანაბარი ქულებით 2 ადგილზე მყოფ ს/კ „ზესტაფონ“-თან, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ 5 ქულა იყო სხვაობა „ოდიში 1919“-სა და პირველ ადგილზე მყოფ „დინამო 2“-ს შორის.

მიმდინარე წლის 17 ივლისიდან კლუბი უსახსრობის გამო იძულებული გახდა შეეწყვიტა ხელშეკრულებები გუნდის წამყვან ფეხბურთელებთან (12 ფეხბურთელი). აღნიშნულიდან გამომდინარე კლუბმა დაკარგა რეალური შანსი გადასულიყო ლიგა 3-ში. აგვისტოს თვიდან კი ლიგა 4-ში ადგილის შენარჩუნების მიზნით „ოდიში 1919“ დაკომპლექტდა ძირითადად, კლუბის U-17-ის ფეხბურთელებით, სწორედ ასაკში დიდი სხვაობა გახდა მიზეზი იმისა რომ კლუბის ძირითადი გუნდი დაქვეითდა ლიგა 4-ის ქვედა ჯგუფში, თუმცა აქვე უნდა აღნინიშნოს, რომ ქვედა ჯგუფის სატურნირო ცხრილში უკვე დაგროვილი ქულებით ამ ეტაპზე კლუბი იკავებს პირველ ადგილს.

რაც შეეხება, კლუბის საფეხბურთო სკოლას, წლის დასაწყისიდან ინტენსიურად მიმდინარეობს ვარჯიშები და მზადება ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად, კერძოდ, სხვადასხვა ასაკობრივი გუნდებიდან U-17 მონაწილეობას იღებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში - ვერცხლის ლიგაში. U-17-მა პირველი წრე დაასრულა II ადგილით, „ოდიში 1919“ აგრძელებს ბრძოლას „ოქროს ლიგა“-ში გადასასვლელად.

U-15 ასპარეზობს სფფ-ს მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში, კერძოდ „ბრინჯაოს ლიგა“-ში, ამ ეტაპზე U-15-ის ანგარიშზეა, 5 მატჩიდან: 4- მოგება და 1 - წაგება, ზემოაღნიშნული გუნდი აგრძელებს ბრძოლას „ვერცხლის ლიგა“-ში მოსახვედრად.

სამეგრელო ზემო-სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში მონაწილეობას იღებენ კლუბის შემდეგი ასაკობრივი გუნდები: U-11, U-13 და U-14.

მიმდინარე წლის მაისის თვიდან კლუბი მონაწილეობას იღებს 2022 წლის საქართველოს ეროვნული ლიცენზირების პროცესში.

2021 წლის პირველი ივნისიდან საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“-მა დაიწყო მიღება 6, 7, 8 წლის მოზარდების. ამ ეტაპისთვის აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში კლუბის სახელზე ირიცხება ორი გუნდი.

ასევე, მიმდინარე წლის 28 ივლისს საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“-მა ორგანიზება გაუწია ბადრი დარასელიასა და ზვიად ქაძანაიას ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს ფეხბურთში, სადაც ჩაერთვნენ სხვადასხვა რეგიონებიდან 15 წლამდელთა ასაკობრივი გუნდები, სულ 4 გუნდი, კერძოდ:

- ფოთის საფეხბურთო სკოლა „კოლხეთი“;
- სენაკის ს/კ „ეგრისი“;
- ზუგდიდის ს/კ „დინამო“;
- ზუგდიდის ს/კ „ოდიში 1919“

პირველი ადგილის მფლობელი გახდა საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“; მეორე ადგილი: ზუგდიდის ს/კ „დინამო“; მესამე ადგილი: ფოთის საფეხბურთო სკოლა „კოლხეთი“. გუნდები დასაჩუქრდნენ თასებით, მედლებითა და სერთიფიკატებით.

ტრადიციული ტურნირი ფეხბურთში „პიერო“-ს თასზე გაიმართა 10 სექტემბერს, რომელსაც საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“-ის ხელმძღვანელობამ, საფუძველი ჩაუყარა 2020 წელს. ბავშვთა საფეხბურთო ტურნირი ეძღვნება ახალგაზრდა ზუგდიდელის, აწგარდაცვლილი ზუკა კოკაიას (იგივე „პიერო“-ს) ხსოვნას. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს „ოდიში 1919“-ისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რუხის აკადემიის U -15-ისა და U- 17-ის ასაკობრივმა ჯგუფებმა. პირველი ადგილი დაიკავა საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“-მა, გუნდები დასაჩუქრდნენ თასებით, მედლებით და სერთიპიკატებით.

- **ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“**

2020 წლის 1 ნოემბრიდან 2021 წლის 30 სექტემბრამდე *ზუგდიდის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში სასწრაფო და რუტინული შეტყობინების საფუძველზე დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დზეი) დარეგისტრირებული იქნა ინფექციური დაავადებების 15731* შემთხვევა. მათ შორის ტუბერკულოზზე საეჭვო 151 შემთხვევა, რომელთა შორის აქტიური ტუბერკულოზი მგბ(+) დაუდასტურდა 18-ს, მგბ(–)19-ს. ანტირაბიული ღონისძიებების განხორციელებაში ზუგდიდიში მონაწილეობს 3 სამედიცინო დაწესებულება. „სს“ სამედიცინო კორპორაცია ევექსის ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი“, სს. სამედიცინო კორპორაციის ზუგდიდის ამბულატორია“ და შპს კლინიკა ‘ნლი“. კლინიკებიდან საანგარიშგებო პერიოდში შემოსულია ცხოველის მიერ დაკბენილ–დადორბლილის შემთხვევის 2053 შეტყობინება, აფხაზეთში მცხოვრები 16 პირი, სხვა რაიონის მცხოვრები 295 პირი, რომლებზეც

შეტყობინება გადაეცა შესაბამისი რაიონების საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცეტრებს. ანტირაბიული მკურნალობა დაენიშნა 2525 პირს, ვაქცინაციის სრული კურსი ჩაუტარდა 607 პირს, პირობითი 1690პირს. შეწყვიტა მკურნალობა 228–მა პირმა, რომლებზეც დამყარდა აქტიური ზედამხედბველობა შესაბამისი ღონისძიებების გატარებით.

სურსათის უვნებლობის ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სააგენტოს სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონალურ ფილიალში გადაცემულია 1520 შეტყობინება ცხოველებზე 10 დღიანი მეთვალყურეობის დამყარების მიზნით

,,დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის'' სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ორსულთა გამოკვლევა ,,ბ'' ჰეპატიტის, აივ-ინფექციას, სიფილისსა და C ჰეპატიტზე. სულ 9 თვის განმავლობაში გამოკვლეული იყო 751 ორსული, გაგზავნილი იყო კონფირმაციული კვლევისთვის 10ორსულის ლაბორატორიული მასალა, მ/შ დადასტურდა ,,ბ" ჰეპატიტზე-10 სიფილისზე -0 , აივ-ინფექციაზე- 0 დაცჰეპატიტზე -0.

საქართველო სოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელბისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-20/ნ (2021 წლის 4 მარტი) შესაბამისად„სს" სამედიცინო კორპორაცია ევექსის ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალ"-ში, შ.პ.ს''აკ.საყვარელიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის რუხის ფილიალში",სს ევექსის კლინიკების_ზუგდიდის პოლიკლინიკაში ,შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკაში", ზუგდიდისმუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის იმუნიზაციის ცენტრში", 15 მარტიდან სულ ადმინისტრირებული იქნა covid-19 საწინააღმდეგოდ ვაქცინაციის 51534 დოზა; მ.შ ასტრა ზეენეკა-2144 ; სინოფარმი- 10916 ; სინოვაკი - 3057; ფაიზერი-35417 აცრა.

გეგმიური იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 11 თვის განმავლობაში ზუგდიდის ტერიტორიაზე სულ განხორციელდა 10373 აცრა. ბცჟ ვაქცინაცია ჩაუტარდა 719 ახალშობილს; ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო 733-ს, იმუნიზაცია ჰექსაქციმით (6 ვალენტიანი ვაქცინა 6 დაავადების საწინააღმდეგო) ჩატარდა 2019 აცრა, ,ტეტრაქსიმი(18 თვ;5 წლის ასაკში)-1180, წითელა-წითურა-ყბაყურის საწ. 1,2 დოზით აიცრა 1595 , როტა 1,2 დოზით- 1221 , პნევმოკოკი 1900, ტდ ვაქცინით 487, აპვ ვაქცინით-449 .

3 სამედიცინო დაწესებულებასა და სოფლის 29 ამბულატორიაში ჩატარებულ იქნა 32 გეგმიური მონიტორინგი.

2020 წლის 1 ნოემბრიდან 2021 წლის 30 სექტემბრის თვის პერიოდში იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული იქნა 3909086, 29 ლარის და გაცემული 3991986,66 ლარის ვაქცინა, სტრატეგიული შრატები, სწრაფი მარტივი ტესტები, სახარჯი მასალა.

61 სკოლამდელი დაწესებულებებში ჩატარებული იქნა მონიტორინგი, სანიტარული მდგომარეობის სტანდარტთან შესაბამისობის მიზნით.

თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციი სიმპლემენტაციის ფარგლებში აღნიშნულ პერიოდში ჩატარდა 594 მონიტორინგი სხვადასხვა მიმართულებით შემდეგ დაწესებულებებში:სასწავლო დაწესებულება-45; სამედიცინო დაწესებულება-55;სახელმწიფო დაწესებულება-40;კაფე/რესტორანი-73;სასტუმრო-45; კინო/თეატრი-14;სილამაზის სალონი-45;მედია ორგანიზაცია-15;ტრანსპორტი-101;გარე რეკლამირება-11;სავაჭრო-150. მონიტორინგი ხორციელდება სტანდარტული კითხვარის და მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სტომატოლოგიურკაბინეტებში ინფექციის კონტროლის ღონისძიებების შესრულებაზეგანხორციელდა 36 მონიტორინგი, დღეისათვის მომქმედი ყველა კაბინეტი აღჭურვილია პერსონლის და პაციენტებისათვის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით რეკომენდაციის გათვალისწინებით.

ჯანდაცვის ცენტრმა აღნიშნულ პერიოდში განახორციელა ზედამხედველობა და მონიტორინგი ზუგდიდის ტერიტორიაზე მდებარე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: მონიტორინგი ჩაუტარდა 89 ბიზნესოპერატორს. რეგულაციების მოთხოვნები სრულად არის დაცული 73 შემთხვევაში, არასრულად 16-ში,რომელთაც მიეცათ გონივრული ვადა მდგომარეობის გამოსწორების მიზნითთ მეორადი გადამოწმებით მდგომარეობა გამოსწორდა.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულების ,,კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ შესამბამსად, ცენტრის მიერ ჩატარებულ იქნა 156043 ტესტირება, დიაგნოსტირებული იქნა 12 401 კოვიდინფიცირებული პირი, რომლებზეც დამყარდა აქტიური ზედამხედველობა.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის 322 დადგენილების ,,იზოლაციისა და კარანტინის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისადწარმოებდა კონტაქტირებული პირების დადგენა და ზედამხედველობა, სულ გამოვლინდა 11 513 იზოლაციაში მყოფი პირი.

2021 წლის პირველ კვარტალში ცენტრში შემოვიდა 927 კორესპონდენცია დავალებების შესასრულებლად, შესაბამისი ღონისძიებების ჩასატარებლად, ინფორმაციის სახით მისაღებად, ამავე პერიოდში ცენტრში მომზადდა და გადაიგზავნა 414 კორესპოდენცია.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამაზე 2020 წლის 1 ნოემბრიდან 2021 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 060101 კოდზე გაიხარჯა 310978 ათასი ლარი, 060102 კოდზე -19843 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებიდან 11 თვის განმავლობაში სულ გახარჯულია 480497 ათასი ლარი.

- **ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახური**

ქონების მართვის განყოფილება

საანგარიშო პერიოდში შესასრულებლად ქონების მართვის განყოფილებას შესარულებლად დაეწერა სულ 681 წერილი. აღნიშნულ წერილებზე განხორციელდა 657 რეაგირება, ხოლო ინიცირებულ იქნა 64 წერილი. მათ შორის: მოქალაქეების - 110 წერილი. კერძო სამართლის იურიდიული პირების-115 წერილი; სახელმწიფო სტრუქტურები- 190 წერილი; სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცი-117 წერილი; მერიის სამსახურები- 41 წერილი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო-33 წერილი; სხვადასხვა ორგანიზაციები-75 წერილი.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადმოეცა 6 (ექვსი) ერთეული უძრავი ქონება. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი-სულ 63533,00კვ.მ. მათ შორის ქალაქის

ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე 660,00კვ.მ, ხოლო სოფლის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე 62 329,00კვ.მ.
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტს, შემდგომი განკარგვის მიზნით, ქალაქის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე საკუთრებაში გადაეცა 205,00 კვ. მ (100,00კვ.მ; 30,00კვ.მ და 75,00კვ.მ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტს უვადო სარგებლობის უფლებით გადაეცა სულ 170 872,00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი. მათ შორის ქალაქის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე 84 333,00კვ.მ, ხოლო სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში 86 539კვ.მ.
ელექტრონული აუქციონზე პრივატიზებულ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 (სამი) ერთეული სატრანსპორტო საშუალება, 1(ერთი) ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 და დემონტაჟის მიზნით სოფ. ინგირში, სოფ. ჭითაწყარში, ქალაქ ზუგდიდში (ნიკოლაძის ქუჩა და თავისუფლების ქუჩის პირველი შესახვ. N5) მდებარე მიწის ნაკვეთებზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. ადგილობრივ ბიუჯეტში პრივატიზებიდან შემოსულია სულ: 164490 ლარი.
პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაეცა 13 იურიდიულ და ფიზიკურ პირს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული უძრავი ქონება, ხოლო ელექტრონულ აუქციონით იჯარის ფორმით სარგებლობაში გაიცა 5 (ხუთი) ერთეული უძრავი ქონება. საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს სულ: 158902 ლარს.
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტისა და უსასყიდლო თხოვების ფორმით კერძო სამართლის იურიდიულ პირებს სარგებლობაში გადაეცათ სულ 82 (ოთხმოცდაორი) ერთეული უძრავი ქონება და 29 (ოცდაცხრა) ერთეული მოძრავი ქონება.
14 (თოთხმეტი) ფიზიკურ პირს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცათ მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართი (საცხოვრებელი ბინა).
პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლიანი აღნაგობის ფორმით სარგებლობაში გადაეცათ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (თაბუკაშვილის და გამსახურდიას ქუჩის შესახვევებში მდებარე) 2(ორი) იურიდიულ პირს (ლტოლვილთა დანიის საბჭოს საქართველოს წარმომადგენლობას და ააიპ რეაბილიტაციისა და საქველმოქმედო განვითარების ცენტრი თანაზიარს)
ამავე დროს განყოფილება აქტიურად ჩართულია ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში სადაც, შემოსულია სულ 956 განცხადება აქედან, განხილულ იქნა 736 განცხადება მათ შორის დადებითად გადაწყდა 487, უარი ეთქვა118-ს, ნახაზების კორიქტირებაზე მოთხოვნილია 71 განცხადება, ცვლილების რეგისტრაციაზე 60.

ტრანსპორტის განყოფილება

საგზაო ნიშნების მოწყობისა და მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის დასაფინანსებლად 9 თვეში გამოიყო 36.2 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას, კერძოდ:
მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე შესყიდული იქნა 1756 ერთეული სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი (ე.წ „ბორცვი“) და შესაბამისი საგზაო ნიშნები, რომელიც განთავსდა ქალაქ ზუგდიდის ადმინისტრაციული ერთეულის ერევნის, ბაქოს, ცაიშვილის, ლენინგრადის, ფოთის, თამარ მეფის, გოგებაშვილის, პუშკინის, კოსტავას, თათარაშვილის, ჭყონდიდელის, ლერმონტოვის, ლაზის,

ერისთავის, ოდიშის, მანჯგალაძის, გორკის ქუჩებზე, აგრეთვე მუნიციპალიტეტის სასოფლო ზონის ორსანტიის და უჩაშონას ადმინისტრაციულ ერთეულებში.
პარკირებისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე მოეწყო ჰორიზონტალური მონიშვნები, ასევე აღნიშნულ ქუჩებზე ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელები ე.წ. ,, ზებრა ‘’ ხაზები , რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა.
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტობუსის 5 გაჩერებაზე განთავსდა საინფორმაციო ელექტრონული ტაბლოები.
მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პერიოდულად ვახორციელებთ საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნების დამატებასა და განახლებას, გამოცხადებული ტენდერების საფუძველზე წლის ბოლომდე დამატებით გათვალისწინებულია საგზაო ნიშნების შეძენა-მონტაჟი, გზების ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონიშვნის სამუშაოები, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებით შემცირებისათვის სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის შეძენა, სატრანსპორტო საშუალებათა პარკირების მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას და მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილებას.

საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება

2021 წლის თებერვალი -საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილებამ დაასრულა მუშაობა პროექტზე- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პროფილის შემუშავება. საინვესტიციო პროფილი მომზადდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში- ფაზა 2 (FRLD 2)” ფარგლებში. გამოიცა ბეჭდური ვერსია ორ ენოვანი (ქართული-ინგლისური).
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრს (REC Caucasus) შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილების გამომწვევი სათბურის აირების გაფრქვევების შემზღუდავი, კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ სტიქიურ მოვლენებთან საადაპტაციო და მდგრადი ენერგეტიკის ხელშემწყობი საქმიანობის დაგეგმვის და მონიტორინგში მდგრადი მომავლის უზრუნველყოფის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი ატრენინგებს მერიის მიერ დასახელებულ თანამშრომლებს კლიმატის სფეროში არსებული ანგარიშგების სისტემის შესახებ , მათ შორის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმების მომზადებასა და ანგარიშგების წესთან და ტექნიკასთან დაკავშირებით. აღნიშნულ პროექტს კოორდინაციას უწევს საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება.
2021 წლის მარტი- დაიწყო საქართველო-პოლონეთის ერთობლივი პროექტის განხორციელება “ საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდა და მეწარმეობის განვითარება“. პროექტის დონორი: პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. აღნიშნული პროქტი სამი წლიანია (2021-2023 წწ) და მოიცავს როგორც პრაქტიკულ ასევე სასწავლო ვიზიტებს პოლონეთის რესპუბლიკაში. პირველი სასწავლო ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 26-30 ივლისს პოლონეთის ქალაქ ვარშავასა და გდანსკში. ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან სასწავლო ვიზიტში მონაწილეობას იღებდა საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი ლექსო თოდუა. პროექტს კოორდინაციას უწევს საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება.
2021 წლის ივნისი- ევროკავშირის მიერ მუნიციპალიტეტებისთვის გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გაიგზავნა პროექტი - “ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და მდგრადი ეკონომიკური განვითარება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში“. აღნიშნული პროექტის ღირებულება არის 1 000 000 (ერთი მილიონი) ევრო. დაფინანსების შემთხვევაში მოხდება ჭაქვინჯის

ციხის სრული რეაბილიტაცია და კონსერვაცია. პროექტის კონცეფცია წარმატებით გადავიდა ფინალურ ეტაპზე. 2021 წლის ნოემბრის ბოლოს კი ცნობილი გახდება საბოლოო შედეგი.
2021 წლის სექტემბერი- ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მონაწილეობას იღებს ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ " EU4CULTURE" -საგრანტო კონკურსში, რომლის მიზანია მხარი დაუჭიროს ქალაქებს, კულტურის განვითარების იმ სტრატეგიების მომზადებაში, რომლებიც ევროპული კულტურული დედაქალაქების მიდგომებს შეესაბამება. კონკურსის შემდეგ ეტაპზე გადავიდა სულ 5 (ხუთი) ქალაქი: ზუგდიდი ახალციხე, ფოთი, თელავი და ქუთაისი. შერჩეულ ქალაქებს სრული საკონკურსო განაცხადის მოსამზადებლად გადაეცათ გრანტი 1000 (ათასი) ევროს ოდენობით. კონკურსის მომდევნო ეტაპზე სამი ქალაქი მიიღებს 30 000 (ოცდაათი ათასი) ევროს ოდენობის გრანტს, კულტურის განვითარების სტრატეგიის სრული ვერსიის მოსამზადებლად. შერჩეული ქალაქები 2021 წლის ნოემბერში გახდება ცნობილი. აღნიშნული საპროექტო განაცხადი მოამზადებულია საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილების მიერ.

მუნიციპალური სერვისებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილება

შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი''-დან შემდეგი ობიექტების შიდა და გარე ქსელით გაზმომარაგება:
ა) საბავშვო ბაღის შენობის - 1 ობიექტის
1. ზუგდიდი, თაბუკაშვილის ქუჩის ახალი საბავშვო ბაღის შენობის ბუნებრივი აირით მომარაგების (გარე ქსელის)-2800 ლარი და შიდა ქსელის მოწყობა -5200 ლარი.
მიმდინარე წელს სერვისების განყოფილებამ უზრუნველყო ,,ენერგო პრო ჯორჯია"-დან შემდეგი ობიექტების ელ. მომარაგება:
ა) ჭაბურღილი(წყალმომარაგების) - 6 ობიექტის
1. დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში, პატრიოტთა პარკის ტერიტორიაზე, ჭაბურღილის ელ. ენერგიით მომარაგება-600 ლარი
2. დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში, დიხაგუძუბას დასახლებაში, რუსთვაელის ქუჩაზე წყალმომარაგების სისტემა ჭაბურღილის ელ.ენერგიით მომარაგება-400 ლარი
3. დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში, თავისუფლების ქუჩაზე ჭაბურღილის ელ. ენერგიით მომარაგება-400 ლარი
4. ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯინჯოლავაბის უბანში ჭაბურღილის ელ.მომარაგების ქსელზე დაერთება-400 ლარი
5. შამადელას ადმინისტრაციულ ერთეულში, საზარანდიოს უბანში, ჭაბურღილის ელ. მომარაგების ქსელზე დაერთება-400 ლარი
6. ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ზედა სანაჭყებიოს და ცენტრის უბანში, ჭაბურღილის ელ. მომარაგების ქსელზე დაერთება 1200 ლარი
ბ) გარე განათების - 4 ობიექტის
1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯ. ნარმანიას ქუჩაზე გარე-განათების ელ.ენერგიის ქსელზე დაერთებაზე-1800 ლარი
2. შამადელას ადმინისტრაციულ ერთეულში, კ. ლომაიას ქუჩის დასაწყისიდან შუა ქუჩამდე გარე-განათების ელ.მომარაგების ქსელზე დაერთება-600 ლარი.
3. შამადელას ადმინისტრაციულ ერთეულში, კ. ლომაიას ქუჩის შუა ნაწილიდან ქუჩის ბოლომდე გარე-განათების ელ.მომარაგების ქსელზე დაერთება-600 ლარი
4. ზუგდიდი, თამარ მეფისა და მაია წყნეთელის ქუჩების კვეთაზე სკვერის ელ. მომარაგების ქსელზე დაერთება-600 ლარი
გ) მუნიციპალური ავტობუსების ავტოსადგომის - 1 ობიექტის
რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, ავტობუსების სადგომისა და დამხმარე შენობა-ნგებობების ელ. მომარეგების ქსელზე დაერთება-10,500 ლარი.

დ) საჯარო სკოლის შენობის -1 ობიექტის
ჯიხაშკარის საჯარო სკოლის ელ. მომარაგების სიმძლავრის გაზრდაზე - 1200 ლარი
ე) საბავშვო ბაღის შენობის - 1 ობიექტის
ზუგდიდი, თაბუკაშვილის (ყოფ. ლაღიძის) ქუჩაზე ახალი აშენებული საბავშვო ბაღის ელ. მომარაგების ქსელზედა ერთება 10 500 ლარი
ვ) საარჩევნო უბანის შონეობა -2 ობიექტი
ანკლიის ადმინისტრაციულ ერთეულოში რუსთაველის ქუჩაზე საარჩევნო უბანი N91 ელ. მომარაგების ქსელზე დაერთება-100 ლარი
ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულოში საარჩევნო უბანი N65 (ყოფილი საშუალო სკოლის სპორტული დარბაზის შენობის) ელ. მომარაგების ქსელზე დაერთება-100 ლარი.
შპს ,, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომანია''-დან შემდეგი ობიექტების წყალმომარაგება და წყალარინება:
ა) ადმინისტრაციული შენობის - 1 ობიექტის
1. ქ. ზუგდიდი ზვ. გამსახურდიას გამზირი N45 მდებარე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წყალარინების სისტემაზე მიერთება.-1800 ლარი.
ბ) შადრევანების - 2 ობიექტის
1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტ. მუზეუმის ტერიტორიაზე განთავსებული შადრევანის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთება-1800 ლარი
2. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზირზე, ცენტრალური მოედანზე შადრევანის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთება-1800 ლარი.
გ) სკვერის და პარკის - 1 ობიექტის
1.ზუგდიდი, თამარ მეფისა და მაია წყნეთელის ქუჩების კვეთაზე სკვერის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთება-400 ლარი
დ) მუნიციპალური ავტობუსების ავტოსადგომის - 1 ობიექტის
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოხუმის ქუჩის მე-6 შესახვევში მდებარე, მშენებარე ავტობუსების სადგომი და დმხმარე შენობა-ნაგებობების წყალარინების სისტემაზე მიერთება-5000 ლარი
ე) საჯარო სკოლის შენობის -1 ობიექტის
ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა N192-ში მდებარე მე-3 საჯარო სკოლის შენობის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემაზე მიერთება-7200 ლარი
ე) საბავშვო ბაღის შენობის - 1 ობიექტის
ზუგდიდი, თაბუკაშვილის(ყოფ. ლაღიძის) ქუჩაზე მდებარე ახალი საბავშვო ბაღის შენობის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემაზე მიერთება-6800 ლარი

- **შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრასპორტი“**

2021 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეძენილ იქნა 40 ახალი ავტობუსი და გადაეცა სარგებლობაში შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრასპორტს“, რამაც გაუმჯობესა მოქალაქეთა შიდა და გარე საუბნო გადაადგილებები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დაინერგა მგზავრობის საფასურის ელექტრონული გადახდის სისტემა, რისთვისაც ავტობუსებში დამონტაჟდა ელექტრონული გადახდის აპარატები. მგზავრობის შეღავათიანი პირობებით სარგებლობენ სკოლის მოსწავლეები, სოციალური დაუცველები პირები , ვეტერანები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. გაჩერებებზე მოეწყო ელექტრონული ტაბლოები, სადაც ასახულია მოძრაბის გრაფიკი, მოსვლისა და გასვლის დროის ჩვენებით.

შეიქმნა ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტის ფეისბუქგვერდი, სადაც შეიძლება ყველა მოქალაქემ „ზუგდიდტრანსპორტის“ შესახებ ყველა სახის ინფორმაცია მიიღოს. მოქმედებს ცხელი ხაზი, რომლითაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ნებისმიერი ინფორმაცაია ტრანსპორტთან დაკავშირებით. სამგზავრო ავტობუსებს გააჩნიათ უსაფრთხოების სისტემები, კერძოდ, აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით. ავტობუსები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

2021 წელს აშენდა ახალი შენობა შპს ,,ზუგდიდის მუნიციაპალური ტრასპორტი'' -სთვის.

2021 წელს კორონავირუსის პანდემიასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ფარგლებში შპს ,,ზუგდიდის მუნიციაპალური ტრასპორტი''-ს მიერ გატარდა შემდეგი ღონისძიებები: ორი ავტობუსი მაისსა და აგვისტოს თვეში ემსახურებოდა მედპერსონალის გადაყვანას რუხის მრავალპროფილურ საუნივერსიტეტო საავადმყოფოში, ასევე 6 სექტემბრიდან დღემდე გამოფილია ერთი ავტობუსი ვაქცინაციის მოძრავი პუნქტისთვის.

- **ა(ა)იპ ,, ზუგდიდდასუფთავების ცენტრი „**

ბოლო წლებში ა(ა)იპ ,, ზუგდიდდასუფთავების ცენტრი „ გამოირჩეოდა სტაბილური წარმატებული საქმიანობით . ცენტრი 2017 წლიდან ღებულობს მონაწილეობას რესპუბლიკურ კონკურსში ,, ყველაზე სუფთა რეგიონი“ და ამ კონკურსების 5 გზის გამარჯვებულია.

2020 წლის შედეგების მიხედვით ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა გაიმარჯვა 4 ნომინაციაში და მიიღო ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტის , ყველაზე სუფთა ქუჩის , ყველაზე სუფთა სოფლის და ყველაზე ლამაზი აივანის მფლობელის ტიტულები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,, ზუგდიდდასუფთავების ცენტრი „ წარმატებით ამთავრებს 2021 წელსაც. მიუხედავად კორონავირუსის პანდემიის შედეგად შექმნილი სფეციფიკური სამუშაო პირობებისა, დაგეგმილი სამუშაოები სრულდებოდა დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, რაზედაც მიუთითებს შემდეგი ინდიკატორული მაშვენებლები:

1. მყარი ნარჩენების მართვის მომსახურეობის სერვისი მიეწოდებოდა ქალაქში 475 ქუჩაზე მცხოვრებ 13113 ოჯახს, ანუ ქალაქის მოსახლეობის 100% -ს; 48 სოფლის მაცხოვრებელ 16385 კომლს, ანუ სოფლის მოსახლეობის 90 %; 1180 საჯარო და კომერციულ ობიექტს .
2. მუნიციპალიტეტში მთლიანად არის ლიკვიდირებული სტიქიური ნაგავსაყრელები, მაშინ როცა სულ რამოდენიმე წლის უკან ქალაქსა და სოფლებში ასეთი 72 ნაგავსაყრელი ირიცხებოდა.
3. მიმდინარეობს მზადება 2022 წლისათვის ნარჩენების დახარისხებული (სეპარირებული) შეგროვების საფუძვლიანად დანერგვის, ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების და მყარი ნარჩენების (ქაღალდი, პლასტმასი, მინა , ლითონი) 30 – 35 % - ის რეციკლირების ანუ გადამუშავებაში დაბრუნება - რეალიზაციისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ შემცირდება ნაგავსაყრელებში განსათავსებელი - გადაყრილი ნარჩენების მოცულობა;
4. პირველად ბოლო წლების განმავლობაში , ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით შეივსო ცენტრის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა: 2021 წლის აგვისტოს თვეში შეძენილი იქნა 500 ცალი 1,1 მ3 მოცულობის ნაგავშემკრები კონტეინერი, რითაც შემცირდა კონტეინერებ მოთხოვნაში არსებული დეფიციტი და რამაც მკვეთრად გააუმჯობესა მომსახურეობის ხარისხი.

ადგილობრივი ბიუჯერის სახსრებით იქნა შეძენილი აგრეთვე 1 ერთეული სატვირთო ავტომანქანა, 2 მოტოროლერი და 2 ერთეული მოტობლოკი ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლისათვის;

ცენტრს გადმოეცა 1 ერთეული სამგზავრო ავტობუსი , რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუშხელისა და სპეციალისტების მობილობას;

5. მიმდინარე წელს იქნა დაწყებული ქალაქ ზუგდიდში 99 მრავალსართულიანი სახლის შიდა ეზოების ყოველდღიური დასუფთავების სამუშაოები, რისთვისაც შემოღებული იქნა 16 მეეზოვის საშტატო ერთეული;

6. ააიპ ,, ზუგდიდდასუფთავების ცენტრის „ მიერ, მიუხედავად სხვადასხვა ობიექტური (კოვიდპანდემია) სიძნელეებისა, დღემდე შესრულებულია ან შესრულების პროცესშია საკრებულოს მიერ დამტკიცებული , ზუგდიდში მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა.

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მყარი ნარჩენების გატანის სერვისი შეუფერხებლად მიეწოდებოდა ქალაქის მოსახლეობისა და ქალაქის მეწარმე იურიდიული და ფიზიკური პირებს, 48 სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობას

პირველ რიგში, სამუშაოების შესრულების შეუფერხებლად მიმდინარეობის უზრუნველყოფასთან ერთად, აქცენტი გაკეთდა მუშა - მოსამსახურეთა უსაფრთხოებაზე და მთავრობის მიერ შემოღებული რეგულაციების დაცვაზე. მუშა - მოსამსახურეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით დამატებით იქნა შეძენილი სპეციალური ტანსაცმელი და სხვა დამცავი საშუალებები: პერიოდულად , სპეციალური ხსნარით მუშავდებოდა ნაგავმზიდები, მუშა - მოსამსახურეებს ყოველდღიურად უტარდებოდათ თერმოსკლირინგი.

- 2020 წლის 1 ნოემბრიდან 2021 წლის 1 ოქტომბრამდე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული და ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებულია სულ 26,5 ათასი ტონა (92,8 ათასი მ^3) მყარი მუნიციპალური ნარჩენი. გაზიდული ნარჩენების მოცულობა 1000 ტონით (3 500 მ3 - ით) მეტია 2018 -2019 წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით(გაზიდული მოცულობის ზრდის ინდიკატორია 108%) . ყოველდღიურად ნაგავსაყრელში გაიზიდებოდა 79 ტონა (277 მ3)მყარი მუნიციპალური ნარჩენი.

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქსა და სასოფლო-ტერიტორიულ ერთეულებში ყოველდღიურად საშუალოდ იგვებოდა 50 - 55 ჰექტარი ფართობი, მათ შორის: ქალაქის ტერიტორიაზე 35 - 40 ჰექტარი, სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების მიხედვით კი 13 - 15 ჰექტარი; დამგველი მანქანით ყოველდღიურად იგვებოდა 20 – 25 ჰექტარი; გარდა ამისა ხელით აკრეფის წესით, სუფთავდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 55 - 60 ჰექტარი; სისტემატიურად იწმინდებოდა ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლის 6 – 7 ჰექტარი; ამდენად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მთლიან დასუფთავებას ყოველდღიურად ექვემდებარებოდა 111 – 122 ჰექტარი ფართობი.

- ქალაქის ტერიტორიაზე მ/ წლის თებერვლის თვიდან მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებლებს, გარდა ნაგავშემკრებ კონტეინერებში განთავსებული მყარი ნარჩენების გაზიდვისა, დაემატა მომსახურეობის ახალი სერვისი, კორპუსების ეზოების დაგვა - დასუფთავება. ქალაქის მრავალსართულიანი სახლის ეზოებში შემოღებული იქნა მეეზოვის ინსტიტუტი და დაინიშნა 16 მეეზოვე.

- ანაკლიაში, საკურორტო სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით, ჩატარდა ზღვის ამონაყარისაგან გაწმენდის სამუშაოები სანაპირო ზოლის 4 კილომეტრზე, დასახელებული ტერიტორიიდან 5 დღის განმავლობაში გაზიდული იქნა 600 ტონაზე მეტი ზღვის ამონაყარი;

გარდა ამისა, საკურორტო სეზონის განმავლობაში 3 ჯერ დასუფთავდა შტორმის შედეგად ზღვის ამონაყარისაგან მძიმედ დანაგვიანებული ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლი.

- საანგარიშო პერიოდში, ყოველდღიურად ხორციელდებოდა 48 სასოფლო ტერიტორიული ერთეულების ცენტრამდე მისასვლელი გზებისა და ქალაქში შემოსასვლელი და გასასვლელი ტრასების, დაახლოებით 700 კილომეტრის მყარი ნარჩენებისაგან ხელით აკრეფის წესით გაწმენდა .

- სისტემატიურად იწმინდებოდა მდინარეების ჩხოუშის, კუჩხობონის, სინწის და გარდა ამისა 9 – 10 - მდე საშუალო და მცირე ნაკადულების კალაპოტები.

- წყალმშხეფი მანქანით, ქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების, სისუფთავის დაცვის, ჰაერში მტვერის კონცენტრაციის შემცირების მიზნით, ყოველდღიურად ირწყვებოდა და ირეცხებოდა ქალაქის ცენტრალური ნაწილის 10 ძირითადი, აგრეთვე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების შედეგად დაზიანებული, გეგმით გაუთვალისწინებელი ქუჩები;

- ყოველდღიურად ხორციელდებოდა ქალაქის მწვანე ნარგაობის დაცვა მოხეტიალე პირუტყვისაგან.

- გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ მიერ სრულდებოდა აგრეთვე დაუგეგმავი და გაუთვალისწინებელი, მაგრამ აუცილებლობით გამოწვეული სამუშაოები, რაზედაც იხარჯებოდა ზეგეგმიური მატერიალური რესურსები. 2021 წლის თვეში არაგეგმიურ სამუშაოებზე გაწეულია 57,8 ათასი ლარის დანახარჯი.

მყარი ნარჩენების მართვაში უმნიშვნელოვანესია წარმოქმნილი ნარჩენების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რაც შეიძლება მინიმუმამდე დაყვანა და ამ მხრივ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გრძელდება 4 მნიშვნელოვან სიახლეზე მუშაობა,კერძოდ:

1. **გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და საქართველოს მთავრობის** დაფინანსებით, 2019 წლიდან (პროექტი დაიწყო 2019 წლის 14 ოქტომბერს) – 2024 წლებში დაგეგმილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაცხვში მდებარე სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონული, მომქმედი ნაგავსაყრელის დახურვა და მის ადგილზე ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა ეროვნული და საერთაშორისო (ევროკავშირის) სტანდარტების შესაბამისად. ამ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტექნიკური აღჭურვა ქუჩების დასუფთავებისათვის , ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის.
2. **მყარი ნარჩენების სეპარირება:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2019 წლის მეორე ნახევრიდან, 5 წლიანი გეგმის შესაბამისად დაიწყო მყარი ნარჩენების , ძირითადად პლასტმასის მასალების სეპარირებული შეგროვება . სეპარირების პროცესში ჩაერთო თურქული კომპანია და გამოიკვეთა ბაზრით უზრუნველყოფის საკითხი. სამწუხაროდ, კორონავირუსის (COVID 19) პანდემიის შედეგად საზღვრების ჩაკეტვის გამო, ამჟამად ეს პრიცესი შეფერხებულია.

   2021 წლის ბოლოსათვის დაგეგმილია სეპარირების პროცესების განახლება, კერძოდ: პლასტმასის ნარჩენების (ძირითადად პლასტმასის ბოთლების) სეპარირების და შესყიდვის მიზნით მიმდინარეობს მოლაპარაკება ზუგდიდდასუფთავების ცენტრსა და შპს ,, პოლივიმ“ - ს შორის.
3. **ნარჩენების რეციკლირების პროგრამა:** ხუთწლიანი გეგმით მუნიციპალიტეტში 2020 წლიდან უნდა დაწყებულიყო მყარი ნარჩენების რეციკლირების პროცესები, რაც შეაფერხა

კოვიდინფექციის გავრცელებამ. გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებითა და ხელშეწყობით შემუშავებულია და 2021 წლის ბოლოსათვის დაგეგმილია დაიწყოს ქაღალდის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და რეციკლირების პროცესი . ბანკის მიერ შემუშავებულია ქაღალდის ნარჩენების რეციკლირების საპილოტე პროგრამის კონცეფცია,მუნიციპალიტეტი ამ პროგრამის განსახორციელებლად დამატების მიიღებს 150 ცალ ნაგავშემკრებ კონტეინერს და 1 ცალ ნაგავმზიდს.

4. **2022 წლიდან იგეგმება ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპ**ოსტირების საპილოტე პროგრამის დაწყება.

ზედამხედველობისა და კონტროლიორთა სამსახურების ერთობლივი მუშაობით ჯარიმების სახით ბიუჯეტში ამოღებულია 57,0 ათასი ლარი.

აბონენტების მომსახურეობით მოსაკრებლების სახით ადგილობრივ ბიუჯეტში მიღებულმა შემოსავალმა საანგარიშო 11 თვეში შეადგინა 448.6 ათასი ლარი , 17,4 ათასი ლარით მეტი წინა შესაბამის პერიოდთან შედარბით.

,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრმა" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან საოპერაციო ხარჯების დაფინანსების სახით 2020 წლის **1 ნოემბრიდან 2021 წლის 1 ოქტომბრამდე** 4 646,3 ათასი ლარი, ხოლო მიმდინარე წლის 9 თვეში 3821,3 ათასი ლარი;

არსებული პრობლემებიდან აღსანიშნავია:

1.. ნაგავშემკრები კონტეინერების ნაკლებობა. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს ადგილობრივმა ბიუჯეტმა გამონახა შესაძლებლობა და შეიძინა 1,1 მ3 მოცულობის 500 ცალი კონტეინერი, ამ კონტეინერებზე მოთხოვნა დაკმაყოფილებულია 40% -ით. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის პროგრამით 1000 ცალი კონტეინერის გამოყოფის თაობაზე.

გარდა ამისა შესაძენია სხვა კატეგორიის ურნები, კერძოდ:

ურნები 240 ლიტრი ტევადობის სულ მცირე 400 ცალი და 50 – 80 ლიტრი ტევადობის 250 ცალი.

2. მუყაოს და ქაღალდის რეციკლირების საპილოტე პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის მე -4 კვარტალში გასარემონტებელია სასაწყობე მეურნეობისათვის განკუთვნილი შენობა.

3. მომსახურეობის უფრო ეფექტურ და ხარისხიან მოდელზე გადასასვლელად, მყარი ნარშენების მართვის 5 წლიანი გეგმის მოთხოვნების შესასრულებლად და მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ისეთი სახის ტექნიკის შეძენა, როგორიცაა:

- ნაგავმზიდი კომპაქტორიანი 19-20 მ3 ტევადობის 2 ერთეული;
- ნაგავმზიდი კომპაქტორიანი 7 -14 მ3 ტევადობის 2 ერთეული;
- წყალმშხეფი ავტომანქანა 1 ერთეული;
- დამგველი ავტომანქანა 1 ერთეული;
- ექსკავატორ - დამტვირთველი 1 ერთეული;

- **ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი"**

ააიპ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრის მიერ 2021 წლის 1იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან სუბსიდიის სახით მიღებულმა დაფინანსებამ შეადგენდა 563 193,2 ლარი. აღნიშნული თანხა გახარჯულ იქნა შემდეგნაირად:

- **417297,61 ლარი - შრომის ანაზღაურება.**

- **128898,77 ლარი - საქონელი და მომსახურება.** აქედან:
- 1555 ლარი - სამივლინებო ხარჯი;
- 34978,63 - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგო
- 49856,43 ლარი - ოფისის ხარჯი (43426,30 ლარი კომუნალური გადასახადები);
- 20838,21 ლარის - ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის მოვლა-შენახვის ხარჯები - 4175 ლარი
- 17495,5 ლარი - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა
- **არაფინანსური აქტივების ზრდის** მუხლით გახარჯულ იქნა - 15 565 ლარი

- 2021 წელს ევროკავშირის სადამკვირებლო მისიამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრს საჩუქრად გადმოსცა ავტომანქანა ნისან პატრული, რომლის განბაჟებისა და გაფორმების ხარჯებმა შეადგინა 5060,50 ლარი. აღნიშნული თანხა გახარჯულ იქნა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.
- ასევე, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით შესყიდულ იქნა ბოტანიკრი ბაღისთვის ხე-მცენარეები -1320 ლარი
- კომპიუტერი -4958,5ლარი
- აუდიო აპარატურა საკონფერენციო დარბაზისთვის - 3176 ლარი
- სხვა მანქანა-დანადგარები- 1050 ლარი

- **დამქირავებლის მიერ ფულადი სახით გაცემულმა სოციალური დახმარებამ შეადგინა 1431,82 ლარი**

2021 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრის საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 23411.5 ლარი.

- ქვეყნის მასშტაბით პანდემიის შედეგად შემოღებულმა შეზღუდვებმა გამოიწვია შემოსავლების შემცირება. კერძოდ, დროებით გაუქმდა ბოტანიკურ ბაღში ვიზიტის საფასური. ასევე, იანვარ-მარტის (18 მარტამდე) თვეების საიჯარო ქირისგან განთავისუფლებულ იქნა ადმინისტრაციის შენობის ნაწილში განთავსებული კაფე-ბარის მოიჯარე საიჯარო ქირისგან. ხოლო მარტი-ივნისის თვეებში დაუწესდათ 30 პროცენტიანი შეღავათი.
- მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შემოსავლის ძირითად წყაროს შეადგენდა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრის ადმინისტრაციული შენობის ნაწილის იჯარით გაცემის შედეგად მიღებული საიჯარო ქირა. მიღებული თანხამ შეადგინა - 17810.5 ლარს.
- საკონფერენციო დარბაზებითა და ღია სივრცით სარგებლობის შედეგად მიღებული შემოსავალი - 5600 ლარი.
- 2021 წლის დასაწყისში საკუთარი შემოსავლების წინა წლის ნაშთი შეადგენდა 6,088.87 ლარს.
- მიღებული საკუთარი შემოსავლებიდან 19634.4 ლარი გახარჯულ იქნა საქონელი და

მომსახურების მუხლით, ხოლო 1180 ლარი - არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით. მიღებული დაფინანსების ფარგლებში ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში აქტიურად მიმდინარეობდა ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობის სამუშაოები:

- ადრე გაზაფხულსა და ზაფხულში ღია გრუნტში მოეწყო მერქნიან და ბალახოვან მცენარეთა სანერგე.
- ადრე გაზაფხულსა და გვიანი ზაფხულის პერიოდში ჯამურად დამზადდა და დაკალმდა 135 490-მდე (135 487) -ცალი 49 სახეობის მცენარის კალამი.
- ბაღის ტერიტორიაზე დასარგავად და სარეალიზაციოდ, ღია და დახურული ფესვთა სისტემით, ადრე გაზაფხულსა და ზაფხულის პერიოდში, გამოყვანილ იქნა დეკორატიულ, ბალახოვან-ყვავილოვან მცენარეთა 35 სახეობის 50 000 ჩითილი.
- ბზის ხეივნების მოწყობისა და აღდგენის მიზნით გვიანი ზაფხულის პერიოდში დამზადდა და დაკალმდა 5370 კოლხური ბზის კალამი.
- ადრე გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში ბაღის ტერიტორიაზე მოეწყო დეკორატიული კუთხეები, ყვავილნარები (სულ 25 ყვავილნარის კომპოზიცია). (დაირგო 21 სახეობის ერთწლოვან მცენარეთა 11 798 ჩითილი და მრავალწლოვან მცენარეთა 6 სახეობის 250 ნერგი).
- წლის განმავლობაში ბოტანიკური ბაღის მიერ გაცემულ იქნა (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კეთილმოწყობის მართვის ცენტრსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტექნოპარკზე) 10 სახეობის 3220 ჩითილი.
- ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ისტორიული იერსახის დაბრუნების მიზნით დაიწყო რცხილნარი ხეივნის აღდგენის სამუშაოები (დაირგო 39 ძირი რცხილის ახალგაზრდა ნერგები)
- დაიწყო ეთნობოტანიკური კუთხის მოწყობის სამუშაოები, გაზაფხულზე დაითესა ღომი, ფეტვი, სელი და ბამბა, ასევე დაირგო 4 ძირი ჩეხარდანი და 4 ძირი კოლოში.
- მოეწყო ოჯალეშის ხეივანი (დაირგო 16 ძირი ოჯალეში)
- დაიწყო კამელიებისა და ოქროწვიმების ხეივნის მოწყობა (ამ ეტაპზე დარგულია 30 ძირი კამელია და 16 ძირი ოქროწვიმა)
- ივნისის თვეში ჩატარდა ორი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ტრენინგ-სემინარი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლების ეკო-კლუბებისათვის.
- მომზადდა 152.1 $მ^2$ ფართობი ნიადაგი, სადაც სარეალიზაციოდ და ბაღის საჭიეროებისათვის, დაითესა 24 სახეობის დეკორატიულ ყვავილოვან-ბალახოვან მცენარეები.
- ბოტანიკურ ბაღში არსებულ მცენარეებზე ჩატარდა ფიტოსანიტარული და აგროტექნიკური ღონისძიებები (შეწამვლა, გამოკვება).
- ბაღის ტერიტორიაზე ეტაპობრივად მიმდინარეობს დეკორატიულ ბალახოვან მცენარეთა თესლების შეგროვება, შრობა, აღრიცხვა, დაფასოება-შეფუთვა. ამ ეტაპისთვის შეგროვებულია 25-მდე სახეობის მცენარეთა თესლები.
- ბაღის ტერიტორიაზე მეჩხერი ადგილი შეივსო მწვანე საფარით.
- მერქნიან მცენარეთა პერიოდული მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა ზეხმელი და ავარიულ მდგომარეობაში მყოფი მცენარეები; გაფორმდა შესაბამისი აქტი.
- ვიზიტორთა და თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და მცენარეთა გაჯანსაღების მიზნით, ხმელი, დაზიანებული და ავარიული ტოტებისაგან გასუფთავდა ბაღის ცენტრალური ბილიკის მიმდებარედ და ტურისტულად აქტიურ სივრცეებში არსებული 50-მდე ასწლოვანი ხე.
- ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე პერიოდულად მიმდინარეობს მწვანე საფარის

კორექციის სამუშაოები (გათიბვა) - ეფექტურ სათიბ ტერიტორიას წარმოადგენს 14 ჰა, რომელიც წლის განმავლობაში რამდენჯერმე ითიბება.

- ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე მუდმივად მიმდინარეობს ჩამოცვევნილი ფოთლებისაგან ბილიკების დასუფთავების სამუშაოები ჰაერდამბერი აპარატის საშუალებით.
- შემოდგომაზე ბიოლოგიური ნარჩენების ეფექტურად მართვისა და ბაღის ტერიტორიაზე მათი უსაფრთხოდ დასაწყობების მიზნით მოეწყო 70 m^2 ზომის მოედანი.
- წლის განმავლობაში პერიოდულად (თითქმის ყოველდღიურად) ხორციელდება ბაღის ტერიტორიის დასუფთავება ჩამოცვევნილი ტოტებისაგან, რომელთა ნაწილიც (ზომების მიხედვით ხარისხდება) საწყობდება როგორც საშეშე მერქანი ან როგორც ბიოლოგიური ნარჩენი და გადის ბაღის ტერიტორიიდან.
- მცენარეთა კოლექციების შექმნისა და გამრავლების მიზნით აფხაზეთის მთავრობის ფინანსრი ხელშეწყობითა და ჩართულობით დაიგეგმა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე აფხაზური ფლორის ალპინარიუმის მოწყობა.
- ტროპიკულ-სუბტროპიკულ მცენარეთა კოლექციის შექმნის მიზნით, ბოტანიკურ ბაღებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ეროვნული ბოტანიკური ბაღიდან ჩამოტანილ იქნა 80-მდე სახეობის 300-მდე ნერგი. (საორანჟერიო მცენარეები).
- ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო და ადგილობრივ გარემოსდაცვით პროექტებსა და ექსპერიმენტებში, მათ შორის კავკასიის ტყეების ბიომრავალფეროვნების კვლევასა და კავკასიაში გავრცელებული მუხის მავნებელ/დაავადებების შესწავლაში (უკანასკნელი პროექტის განხორციელებაში ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, ქუთაისის ბათუმისა და ეროვნულ ბოტანიკურ ბაღებთან ერთად მონაწილეობს).
- საქართველოში ბუნებრივად გავრცელებულ მცენარეთა შესწავლისა და თესლებისა და საჰერბარიუმო მასალების შეგროვების მიზნით ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის თანამშრომლების მიერ აქტიურად ეწყობა სამეცნიერო ექსპედიციები.
- ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში მიმდინარეობს მერქნიან მცენარეთა ინვენტარიზაცია /პასპორტიზაციის სამუშაოები, სადაც ხდება მცენარეთა აღწერა სექტორებისა და თარგების მიხედვით, თითოეული მერქნიანი მცენარის (ხეები, ბუჩქები, ლიანები) იდენტიფიცირება, მახასითებლების დადგენა, ფიზიკური პარამეტრების განსაზღვრა და საინვენტარიზაციო ნომრის მინიჭება. ამ ეტაპზე აღწერილია და საინვენტარიზაციო ნომერი მინიჭებულია 3500 მერქნიან მცენარეზე.

2021 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით და COVID რეგულაციების შემსუბუქების შემდეგ ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში 100-ზე მეტი ღონისძიებაა ორგანიზებული. ბოტანიკური ბაღში იმყოფებოდნენ საერთშორისო მაღალი რანგის სტუმრები, რომელთა შორის აღსანიშანავია აშშ-სა და იაპონიის ელჩები.

ჩამოყალიბების პროცესშია საქმიანი ურთიერთობების განვითარება ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღსა და ვენისა და სტრასბურგის ბოტანიკურ ბაღებს შორის. ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ჩვენს მიერ სტრასბურგისა და ვენის ბოტანიკური ბაღებისთვის შეთავაზებულია კავკასიის რეგიონის ველური ფლორის მონიტორინგისა და ადგილობრივ მცენარეთა სახეობების თესლების შეგროვების ფარგლებში დაგეგმილი ექსპედიციების პროცესში ჩართულობას, სურვილის შემთხვევაში, დავეხმაროთ (საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული) ცალკეული სახეობების ჰაბიტატებისა და თესლების მოძიებაში და მიღება/გაცვლაში, ხოლო თავის მხრივ, ვენისა და სტრასბურგის ბუტანიკური ბაღების მხრიდან შესაძლებელია როგორც სხვადასხვა სახის

ინფორმაციებისა და საგანმანათლებლო მასალების, ასევე, ცალკეული კოლექციების ფორმირებისათვის საჭირო მცენარეთა თესლების მიღება/გაცვლა.

ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღს საქმიანი ვიზიტის ფარგლებში პერიოდულად სტუმრობენ ბათუმის, ქუთაისის და საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის წარმომადგენლები. ვიზიტი ეხება გამოცდილების გაზიარებას და სამომავლო თანამშრომლობის გეგმების განვითარებას.

საინფორმაციო-საგანმანათლებლო და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ზუგდიდის ბოტაიკურ ბაღს პერიოდულად სტუმრობენ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტების პროფესორ- მასწავლებლები და სტუდენტები.

ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე მიმდინარე დუალური განათლების პროგრამის მონიტორინგის მიზნით ბოტანიკურ ბაღს ასევე სტუმრობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი.

ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში კიდევ ერთ მნიშვნელოვან პროექტს ჩაეყარა საფუძველი, რომელიც გულისხმობს მემორანდუმის გაფორმებას სამ მხარეს შორის, ესენია: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, ა.(ა)ი.პ. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი ” და „გრინ ფორ ჯორჯია.“

- **შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“**

2021 წელს შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის მიერ განხორციელებული იქნა

შემდეგი სამუშაოები, ძირითადი ღონისძიებები:

- ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ზოლის ფიტოსანიტარული მონიტორინგი და ფიტოსანიტარული მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის (დასკვნის) საფუძველზე განხორციელდა ხე-მცენარეების შეწამვლა და ნიადაგის გაჯერება მინერალური სასუქებით. აღნიშნული სამუშაოებისათვის ჯამში გაიხარჯა 19052 ლარი;
- განმუხურის სპორტული კომპლექსის საფეხბურთო სტადიონის მოვლა-პატრონობა აღნიშნულის ფარგლებში გაიხარჯა 6338 ლარი;
- ჩატარდა აუდიტორული საშემფასებლო მომსახურებები განმუხურის 4 კაფეს, აკვაპარკისა და განმუხურის გასაქირავებელი მიწის ფართების ღირებულების დადგენის მიზნით, რომლის ფარგლებშიც გაიხარჯა 5950 ლარი.
- ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად შემენილ იქნა სამეურნეო საქონელი, ელ. საქონელი, საკრეჭი აპარატი, სტადიონის მინდვრის საკრეჭი ტრაქტორის სათადარიგო ნაწილები და სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები, აღნიშნულის ფარგლებში გაიხარჯა 23618 ლარი;
- განმუხურის აკვაპარკის მართვის ოპერატიულ სისტემა BMS-ს ჩაუტარდა ტექნიკური გამართულობის ანალიზი, ჩატარებული ანალიზის საფუძველზე განხორციელდა BMS სისტემის სათადარიგო ნაწილების შესყიდვა და ინსტალაცია რომლის ფარგლებშიც გაიხარჯა 100329ლარი.

- აკვაპარკის წყლის შიდა მაგისტრალის დაზიანებული მილები იქნა შეძენილი და შეცვლილი სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 19928 ლარი.
- აკვაპარკისა და ანაკლია-განმუხურის ბულვარის ზედამხედველებისთვი შეძენილ იქნა შესაბამისი ბრენდირებული კეპები და მაისურები ღირებულერბით 3402 ლარი.
- დასრულდა ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიის გარე განათების სისტემების მოდერნიზების სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც გაიხარჯა 150000 ლარი.
- გარე განათების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში შეძენილი იქნა ელ. სადენები ღირებულებით 5410 ლარი.
- განხორციელდა განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის შემზღუდავი ბადის, ბადის სამაგრების, კარის ბადეების მოწყობისა და შემზღუდავი ბადის მილების შეღებვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა ღირებულებით 800 ლარი.
- შესყიდული იქნა მინი ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების ბადეები ღირებულებით 1850 ლარი.
- რეაბილიტაცია ცაუტარდა განმუხურის სპორტულ-გამაჯანსარებელი კომპლექსის სათვალთავალო ვიდეო-კამერებს ღირებულებით 4705 ლარი.
- ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ქოთნებისთვის შეძენილი იქნა შესაბამისი ხე-მცენარეები ღირებულებით 4200 ლარი.
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა განმუხურის სპორტულ-გამაჯანსარებელი კომპექსის სტადიონის მინდვრის სარწყავ ტუმბოებს, რომლის ფარგლებშიც გაიხარჯა 7500 ლარი.
- აკვაპარკისთვის შეძენილ იქნა საჩრდილობელი ქოლგა 200ცალი ღირებულებით 25000 ლარი.
- აკვაპარკის წყლის მიწოდებისა და გამანაწილებელი ტუმბოების ოთახისთვის შეძენილ იქნა კოლონური ტიპის 2ცალი კონდენციონერის ღირებულებით 11000 ლარი.
- აკვაპარკში არსებულ დანარჩენ კონდენციონერებს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები ღირებულებით 1860 ლარის.
- შესყიდული იქნა აკვაპარკის წყლის გასაფილტრი ქლორი და სხვა სადეზინფექციო საშუალებები, რომლის ფარგლებშიც გაიხარჯა 16200 ლარი.
- განხორციელდა ანაკლია-განმუხურის სანაპორო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ქვიშის ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნების მოფარცხვა-მოწესრიგების სამუშაოები ღირებულებით 1250 ლარი.
- სეზონის განმავლობაში განხორციელდა ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიის 8 ჯერადი მოთიბვა, რომლის ფარგლებშიც გაიხარჯა 50000 ლარი.

ზემოთაღნიშნული ხარჯების ჯამი შეადგენს 458392 ლარს.

- **სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა - 513 მოქალაქე. მათ შორის 143 წვევამდელის პირადი საქმე გადაიგზავნა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 2020 წლის საშემოდგომო და 2021 წლის საგაზაფხულო გაწვევა. ამჟამად მიმდინერეობს 2021 წლის საშემოდგომო გაწვევა. საანგარიშო პერიოდში წვევამდელთა შემკრებ გამანაწილებელ პუნქტში გაგზავნილ იქნა 317 წვევამდელი; მათ შორის 209 წვევამდელმა

მუდმივმოქმედი სამედიცინო საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე მიიღო გადავადება ჯამრთელობის მდგომარეების გამო. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნა 105 წვევამდელი, არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის გასავლელად ჩაირიცხა 3 წვევამდელი.
გამწვევი კომისიის მიერ სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან განთავისუფლების ან გადავადების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 879 წვევამდელზე; აქედან სამხედრო ვალდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ 2; გაწვევისაგან განთავისუფლების შესახებ 11; სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების შესახებ 866;
გაწვევისაგან თავის ამრიდებელ 11 წვევამდელზე მასალები გადაეგზავნა სასამართლოს და სასამართლოს დადგენილებით დაჯარიმდა 5 წვევამდელი.
საანგარიშო პერიოდში სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა 519 რეზერვისტი. მათ შორის სავალდებულო და საკონტრაქტო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი 146; ძალოვანი სტრუქტურებიდან დათხოვნილი 53 რეზერვისტი. 27 წლის ასაკის შესრულების გამო რეზერვში ჩაირიცხა 317; რეგისტრაციის ადგილის შეცვლის გამო 3 რეზერვისტი.
ამავე პერიოდში სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნილ იქნა 169 რეზერვისტი; მათ შორის გადაყვანილ იქნა შესაბამისი ორგანოს სპეციალურ აღრიცხვაზე 71; გადავიდა სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებლად 46; გარდაიცვალა 52.
გაგზავნილია საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის გასავლელად 46 რეზერვისტი, აქტიურ რეზერვში ჩაირიცხა 16. სანგარიშო პერიოდში გაცემულ იქნა რეზერვისტის დროებითი მოწმობა (სამხედრო ბილეთის შემცვლელი) – 147 რეზერვისტზე და წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო ბარათი 250 წვევამდელზე. სამსახურის მუშაობის ხელისშემშლელ პირობას წარმოადგენს სსიპ საქართველოს ქრისტიანული, ევანგელური, პროტესტანტული ეკლესია "ბიბლიური თავისუფლება"-ს მიერ წვევამდელებზე გაცემული მოწმობები მღვდელმსახურის წოდების მინიჭების შესახებ (წარმოადგინა 254 წვევამდელმა). 2021 წლის საშემოდგომო გაწვევა გრძელდება 25 დეკემბრამდე.

- **შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური**

აუდიტორული საქმიანობა

- ✓ 2020 წლის 01 ნოემბრიდან 2021 წლის 08 ოქტომბრამდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების მიერ ჩატარდა 3 აუდიტი, მათ შორის 1 - შესაბამისობის და 2 - შესაბამისობის და ფინანსური აუდიტი;
- ✓ ჩატარებული აუდიტებიდან სულ გაიცა 14 რეკომენდაცია;
- ✓ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი განხორციელდა 7 ობიექტში;
- ✓ ამჟამად მიმდინარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემის და ზედამხედველობის პროცესის შესაბამისობის აუდიტი და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების მართვის პროცესის სისტემური აუდიტი.

ინსპექტირება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის ინსპექტირების განყოფილების მიერ, მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და იურიდიულ პირებში 2020 წლის 01 ნოემბრიდან 2021 წლის 08 ოქტომბრამდე პერიოდში:

- ✓ ჩატარდა 104 ინსპექტირება;
- ✓ შედგენილ იქნა 6 ინსპექტირების ოქმი და 7 ინსპექტირების დასკვნა;
- ✓ გაცემულ იქნა რეკომენდაცია კერძო სამართლის იურიდიული პირების 2 მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების თაობაზე;
- ✓ მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა 2 დისციპლინური წარმოება, რომლის საფუძველზეც შედგენილ იქნა დისციპლინური წარმოების დასრულების შესახებ 2 დასკვნა. აღნიშნული დასკვნების შესაბამისად გაცემულ იქნა რეკომენდაცია მერიის 2 მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომების გამოყენების შესახებ, რომლის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით ორივე მოსამსახურეს შეეფარდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა;
- ✓ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საგარანტიო ვადებში ხარვეზების/ნაკლოვანებების გამოვლენის და შემდგომი რეაგირების მიზნით, დათვალიერებულ იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული 239 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთაგან 46 ობიექტთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიმართ გაცემულ იქნა 46 მითითება უზრუნველეყოთ აღნიშნული ხარვეზების/ნაკლოვანებების აღმოფხვრა კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ შემსრულებლების მიერ სამშენებლო სამუშაოების დასრულების შესახებ მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, განხორციელდა 126 ინფრასტრუქტურული პროექტი შემოწმება, რომელთაგან 12 ობიექტზე გამოვლინდა შეუსაბამობა ინფრასტრუქტურული პროექტების შემსრულებლების მიერ მერიაში წარმოდგენილი დოკუმენტაციასა და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის, შესაბამისად აღნიშნულთან დაკავშირებით გაცემულ იქნა 12 მითითება მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიმართ;
- ✓ განხორციელებულ იქნა შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის მიერ გაცემული 29 მითითების შესრულების მონიტორინგი, რა დროსაც გამოვლინდა, რომ მონიტორინგის განხორციელების მომენტისთვის 12 მითითება იყო სრულად შესრულებული, 3 მითითება იყო ნაწილობრივ შესრულებული, ხოლო 14 მითითება იყო შეუსრულებული.

საანგარიშო პერიოდში შემუშავებულმა რამდენიმე ათეულმა პროგრამამ და ქვეპროგრამამ სრულად შეავსო ის მუნიციპალური ვალდებულებები, რაც მოსახლეობის ღირსეულ მომსახურებას სჭირდება. მიუხედავად უამრავი შესრულებული სასიკეთო საქმისა, მუნიციპალიტეტში მუდმივად ბევრი გამოწვევა და საჭიროებაა. ყველა პრობლემის ერთბაშად მოგვარება წარმოუდგენელია. მაგრამ შეზღუდული საბიუჯეტო რესურსების პირობებში, ადმინისტრციული ხარჯების შემცირებით და ოპტიმალური ხარჯვით ჩვენ შევძელით ძირითად გამოწვევებზე პასუხი გაგვეცა, რამაც ბევრ უბანში სასიკეთოდ შეცვალა ჩვენი თანამოქალაქეების ცხოვრება. ყოველივე ეს თითოეული სამსახურის ეფექტური და კოორდინირებული მუშაობის შედეგია, რაც პირდაპირ აისახა მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისა და მუშაობის ეფექტიანობის ხარისხზე.